# HELLO! GEORGIA

#009 • აპრილი 2017 • 4.00₾

## FASHION Special

+370 საქორწილო რჩევა



**ეკა ნიჟარაძე**
შვილები და პირადი

**სოფო და ნუნუკა ჯაფარიძეები**
ახდენილი ოცნებების შესახებ

**ანჯელინა ჯოლი**
ექსკლუზიურ ინტერვიუში

**სოფია ვერგარა & ჯო მანგანიელო**
ჰოლივუდელი მასპინძლები

**EXCLUSIVE**
INTERVIEW AND PHOTOSHOOT

# HOSTAGES

ბოლო ათწლეულის ყველაზე გახმაურებული ქართული კინოპრემიერა

ISSUN 2449-2590


ახალი მგრძნობიარე არომატი
faberlic
by
VALENTIN YUDASHKIN


6+
შპს "ფაბერლიკ-საქართველო", ს/კ 204540005; საქართველო, თბილისი,
faberlic
by
VALENTIN
YUDASHKIN
faberlic.com

# რედაქტორის წერილი



*აპრილი მთლიანად სიყვარულსა და საქორწილო ციებ-ცხელებას დაეთმო. ჩვენმა პროფესიონალთა გუნდმა მოამზადა მასალა, რომელიც სპეციალურად შეიქმნა მათთვის, ვინც საკურთხეველთან სანუკვარი სიტყვების წარმოთქმას აპირებს.*

**HELLO!**-ს ფურცლებზე საუკეთესო რჩევებს მიიღებთ, რათა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას იდეალურად გამოიყურებოდეთ და ზუსტად ისეთი ზღაპრული პატარძალი იყოთ, როგორიც ბავშვურ ოცნებებში წარმოგედგინათ. ნომერში ნახავთ საუკეთესო კაბებს, აქსესუარებს, ყვავილებს, სასაჩუქრე იდეებს, თავის მოვლის საშუალებებსა და ყველაფერს, რაც წინასაქორწილო სამზადისს გაგიმარტივებთ. ასევე დაათვალიერებთ სპეციალურ ფოტოსესიას, რომელმაც მთავარი გმირისა და მისი მშვენიერი მეჯვარეების ბედნიერება ჩვენს ფურცლებზე აღბეჭდა. რასაკვირველია, **HELLO!**-მ ქორწილის შემდგომ პერიოდზეც იზრუნა და თაფლობისთვის საუკეთესო მიმართულებები შეგირჩიათ.

ტრადიციულად, შოუბიზნესის ყველაზე ცხელ ამბებსაც მიმოვიხილავთ. ჩვენი სტუმარი იქნება **ანჯელინა ჯოლი**, რომელმაც თავისი ახალი ფილმი **FIRST THEY KILLED MY FATHER** კამბოჯაში წარადგინა, პრემიერის შემდეგ კი **HELLO!**-ს ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა და ბრედთან განშორებაზე გულახდილად ისაუბრა.

საგაზაფხულო განწყობას გაგიორმაგებთ **სოფია ვერგარასა** და **ჯო მანგანიელოს** ინტერვიუც, რომელიც პოზიტივით სავსე წყვილის ბედნიერ თანაცხოვრებაზე, ჰოლივუდურ სახლსა და კარიერულ წარმატებაზე გვიამბობს.

რასაკვირველია, ქართულ ამბებსაც მიმოვიხილავთ. აპრილის ნომრის მთავარი გმირები არიან **„მძევლები“**, **დები ჯაფარიძეები**, **ეკა ნიჟარაძე** და **ანა ტყებუჩავა**, რომელიც მეორე შვილს ელოდება.

მივადექით ჟურნალის ყველაზე „მსუყე“ და ქალბატონებისთვის განსაკუთრებით საყვარელ LIFESTYLE-ის ბლოკს. ხომ გახსოვთ ფილმი „ქორწილების ორგანიზატორი“? ამ ნომერში მოდის, სილამაზისა და თავის მოვლის ჩვენმა რედაქტორებმა სწორედ ჯენიფერ ლოპესის გმირის ფუნქციები შეითავსეს. ყველაფერს, რაც ქორწილის დაგეგმვის საკმაოდ შრომატევად პროცესს შეგიმსუბუქებთ, სწორედ **HELLO!**-ს აპრილის ნომერში წაიკითხავთ.

მოკლედ, თქვენ წინაშე ბედნიერებით, ფერებით, სილამაზითა და პოზიტივით სავსე ჟურნალია, რომელიც მკითხველთა შეფასებებს მოუთმენლად ელის და იმედოვნებს, რომ მათ განწყობას ამჯერადაც გააუმჯობესებს. გისურვებთ, აპრილმა თავი სასიამოვნო სიურპრიზებით დაგამახსოვროთ!

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი



გვ. 42



გვ. 94




გვ. 78



გვ. 86



გვ. 88



JIMMY CHOO
ORLY®
MADE IN L.A.
ORLY®
LACQUER • VERNIS • ESMALTE
.6 Fl Oz / 18 mL ℮
ოფიციალური წარმომადგენელი
PROF BEAUTY
facebook.com/professionalbeauty.ge
სალონი-მაღაზია **PROF BEAUTY**, ა. თვალჭრელიძის ქ. N2 სავაჭრო-გასართობი ცენტრი ისთ ფოინთი), **გლამური** (ზ. ფალიაშვილის ქ. N72), **მიქსი** (ყაზბეგის ქ. N17), **G&L** (პეკინის ქ. N39), **არტ ჰაუსი** (აფაქიძის ქ. N12), **გოგასუს** (არაყიშვილის ქ. N3), **რედრესი** (ყაზბეგის ქ. N31), **პრესტიჟი** (დიღმის მასივი, III კვარტალი, ბ კორპუსი), **სტოპ თაიმი** (ტაშკენტის ქ. N23), **ფლირტი** (მირიან მეფის ქ. N8) **მილანო** (ყიფშიძის ქ. N13), **FOR YOU** (მიცკევიჩის ქ. N29), **მელანჟი** (ფალიაშვილის ქ. N72; ხიზანიშვილის ქ. კარფურის შენობა; ჭავჭავაძის ქ. N34; ვაჟა-ფშაველას ქ. N32; დადიანის ქ. N7), **კლასი** (პეკინის ქ. N22), **სითი სთაილი** (ალექსიძის ქ. N1), **ნიუ სტილი** (ცინცაძის ქ. N45), **პოდიუმი** (ქავთარაძის ქ. N1; ვეკუას ქ. N3; ფალიაშვილის ქ. N41), **ME&ME** (გამსახურდიას ქ. N37ა), **ოდრი** (ფიფიას ქ. N25)

HELLO! GEORGIA
#009 • აპრილი • 2017

# სარჩევი





YOUR WEDDING 110

56 მომავალი პატარძლები



სოფია ვერგარა 22



ანჯელინა ჯოლი 46

## ვარსკვლავური ისტორიები


**8** **მძევლები** – ერთი ამბის ყველა გმირი

**22** **სოფია ვერგარა და ჯო მანგანიელო** – ბედნიერი ოჯახი ჰოლივუდიდან

**32** **დები ჯაფარიძეები** ახდენილი ოცნებების შესახებ

**42** **ეკა ნიჟარაძე** – ოჯახი, პირადი და ტკბილი სახლი

**46** **ანჯელინა ჯოლი** ახალი ფილმითა და ახალი ცხოვრებით

**52** **ქეთა თოფურია** და **ნატა ფხაკაძე** ზღაპრული ქორწილის დედოფლები

**56** **მომავალი პატარძლები** – ვარსკვლავები, რომლებიც ქორწილისთვის ემზადებიან


## მუდმივი რუბრიკები


**20** **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! გადაღება!

**30** **INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

**38** **PANORAMA** – #კაცებიბრუნავენ

**40** **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

**130** **HALF HOUR** – ბესო ტურაზაშვილი


დასაწ. 65 გვ.-დან

## lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია



# PHYTO

BOTANICAL POWER

PHYTO PARIS

# მბზინავი და ჯანსაღი თმა ფიტოსგან



## PHYTOLOGIST 15

- ყველა ტიპის თმის ცვენის საწინააღმდეგო ამპულები
ებრძვის თმის ცვენასა და ზრდის შემაფერხებელ ბიოლოგიურ 15 ნიშანს.
- 99% მცენარეულ, ბუნებრივი ინგრედიენტების ბაზაზე დამზადებული ფორმულა.
ცვენა მაქსიმალურად შეჩერებულია ორთვიანი კურსის შემდეგ.
- + 5942 ახალი თმის ღერი.

**ჯანსაღი ლამაზი და სქელი თმა**




## PHYTODENSIA

### ინოვაცია

შესძინეთ თქვენს თმას ახალი სიცოცხლე

- ფიტოდენსია თავისი უნიკალური, აქტიური მცენარეული ინგრედიენტების წყალობით პრევენციას უწევს ჭაღარა თმის გაჩენას, აქვს გლობალური ასაკსაწინააღმდეგო მოქმედება.
- ვერონიასა და ყურძნის ექსტრაქტი აჯანსაღებს თმის ბოლქვებს და უზრუნველყოფს ახალი სიცოცხლისუნარიანი თმის ზრდას.
- ჰიალურონის მჟავა და აკაციას კოლაგენი მატებს თმას მოცულობას, ბზინვარებას, სიჯანსაღესა და სირბილეს.

## PHYTOLOGIST 15

ყველა ტიპის თმის ცვენის საწინააღმდეგო შამპუნი

- მცენარეულ ბაზაზე დამზადებული Phytologist 15 იცავს, აჯანსაღებს დაძალას მატებს თმას.
- კაკაოს ექსტრაქტი ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედებით იცავს და აუმჯობესებს თმის ბოლქვის გარემოს.
- გუარანას ექსტრაქტი არის ძლიერი მიკრო-ცირკულაციური სტიმულატორი, რომელიც სიძლიერესა და სიცოცხლისუნარიანობას მატებს თმის ღერს.
- ზღვის წყალმცენარეების ექტრაქტი მატებს თმას სისქეს.
- გამდიდრებულია შვიტას ექსტრაქტით, რომელიც ებრძვის თმის ცვენას.

**თმა სუფთავდება ნაზად და საფუძვლიანად, ხდება მეტად ძლიერი, ლამაზი და ბზინვარე**

ექსკლუზიურად ჯიპისის სააფთიაქო ქსელში

ჯიპისი GPC

## რეზო გიგინეიშვილი: „ამ ისტორიის ყველა მონაწილეს აქვს იმის უფლება, რომ მათ სიკვდილს გლოვობდნენ“





„ბერლინალე“ მსოფლიოს ერთ-ერთი უმ-თავრესი კინომოვლენაა. ნებისმიერი ნამუშევარი, რომელიც ამ ფესტივალზე ხვდება, მომენტალუ-რად ხდება საერთაშორისო პრესისა და კინემა-ტოგრაფისტების ინტერესის საგანი.

## ბოლო ათწლეულის ყველაზე გახმაურებული ქართული კინოპრემიერა

# მძევლები

## ახალგაზრდა ვარსკვლავებმა გააცოცხლეს

რეჟისორმა რეზო გიგინეიშვილმა მხატვრულ ფილმ „მძევლებზე“ მუშაობა დაახლოებით რვა წლის წინ დაიწყო. სცენარის ავტორი – ლაშა ბუღაძე სამუშაო პროცესში სამი წლის წინ ჩაერთო. ფილმის საპრემიერო ჩვენება ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. პირველმა მაყურებლებმა რეზო გიგინეიშვილის ნამუშევარი წლის კინოაღმოჩენად შეაფასეს. ვიდრე ფილმი საფესტივალო პროგრამაშია, მისი ძირითადი ხაზი საიდუმლოდ რჩება, თუმცა რეჟისორის თქმით, მთავარი მიზანი არა თვითმფრინავის გატაცების რეკონსტრუქცია, არამედ იმ შვიდი ადამიანის ისტორიის გადმოცემა იყო, რომლებსაც ამჯერად ახალგაზრდა ქართველი მსახიობები ასახიერებენ. ▶



## „ძალიან შთამბეჭდავია მაყურებლის რეაქცია. ეს მხოლოდ ჩვენი ტრაგედია არაა – მის გარშემო უამრავი ადამიანი ტრიალებს“

**მიაღწიეთ თუ არა იმას, რაც გინდოდათ?**

**რეზო გიგინეიშვილი** ყველას მადლობას ვუხდი, ვინც ამ ფილმზე მუშაობდა. ურთულესი პროცესი იყო და ასეთი შედეგების მიღწევა მხოლოდ იმ იდეალისტთა ჯგუფს შეეძლო, რომელიც ჩვენს ფილმში შეიკრიბა.

**როგორი იყო ახალგაზრდა მსახიობებთან მუშაობის პროცესი?**

**რ.გ.** მე მსოფლიო დონის დიდ მსახიობებთან მუშაობის გამოცდილება მქონდა, რამაც ბევრი რამ მასწავლა, მაგრამ არასოდეს გამომიცდია ისეთი შემოქმედებითი სიამოვნება, როგორიც ჩემს ახალგაზრდა მსახიობებთან მუშაობისას ვიგრძენი. მამაცები, ერთგულები და ძალიან ნიჭიერები არიან და ურთულეს სცენებში თამაში მოახერხეს. გაოგნებული ვიყავი მათი კონცენტრირებულობითა და იმ პასუხისმგებლობის გრძნობით, რომელიც საკუთარი საქმისა და რაც მთავარია – მასალის მიმართ ჰქონდათ.

**აშკარაა ფილმის მიმართ საერთაშორისო მედიის ინტერესი. რა მოგიტანათ „ბერლინალემ“?**

**რ.გ.** „ბერლინალე“ მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი კინომოვლენაა. ნებისმიერი ნამუშევარი, რომელიც ამ ფესტივალზე ხვდება, მომენტალურად ხდება საერთაშორისო პრესისა და კინემატოგრაფისტების ინტერესის საგანი. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ დარბაზები სავსე იყო. რიგებშიც კი იდგნენ ჩვენებაზე მოხვედრის მსურველები. ნამუშევრის მიმართ უზარმაზარი ინტერესი გაჩნდა. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია მაყურებელთან დიალოგი, ბერლინში კი ბევრი ობიექტური და უკომპლექსო ადამიანი გავიცანი, რომლებიც ჩვენს საერთაშორისო გუნდს ფილმის შესახებ სიამოვნებით ესაუბრებოდნენ.

**ბატონო ლაშა, თქვენთვის, როგორც სცენარის ავტორისთვის, რითი იყო გამორჩეული „მძევლებზე“ მუშაობა?**

**ლაშა ბუღაძე** ეს არის სრულიად ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც ეყრდნობა საარქივო მასალას, ინტერვიუებს, დაკითხვების ოქმებსა და უშუალო შეხვედრებს ამ ამბის მოწმეებსა თუ მონაწილეებთან. ეს გახლავთ იმ ისტორიული მოვლენის მხატვრული რეკონსტრუქცია, რომელიც 1983 წელს მოხდა. ჩვენ შევეცადეთ აღგვეწერა პროცესი, რომელიც ამ მოვლენას რამდენიმე თვით უსწრებდა და რაც უკვე გატაცების მცდელობას მოჰყვა.

**რა ეტაპები გაიარეთ სცენარზე მუშაობისას? რა იყო მთავარი სირთულე?**

**ლ.ბ.** ვიდრე სცენარის წერას შევუდგებოდით, ყველაზე დიდი დრო მითისა და რეალობის განცალკევებაზე დაგვეხარჯა. მე და რეზო მთავარი გმირების პროტოტიპების ინტონაციებს, ლაპარაკის მანერას, ტერმინოლოგიასა და სხვა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო მახასიათებლებს ვეძებდით. ვინც მათ იცნობდა, თითქმის ყველას





ვეკითხებოდით, როგორ მეტყველებდნენ, როგორ იცვამდნენ, როგორ მოძრაობდნენ, როგორ ხუმრობდნენ. ჩვენი ფილმი ნამდვილი მოვლენებითაა ინსპირირებული, მაგრამ ამ ისტორიის მხატვრულ ვერსიას წარმოადგენს. ბუნებრივია, ამ ფილმის ფონი ისტორიულია, მაგრამ უშუალოდ ჩვენი პოზიცია მხატვრულია.

**რისი თქმა გინდოდათ მაყურებლისთვის?**
ლ.ბ. რთულია რამენაირი მორალური სქემა მოარგო „თვითმფრინავის" ფატალურ ახალგაზრდებს და შესაძლოა სწორედ ესაა მიზეზი, თუ რატომ გვიზიდავს ეს შვიდი ადამიანი თითქმის ოთხი ათეული წლის გასვლის შემდეგ: ვინ იყვნენ? რა უნდოდათ? რატომ ჩაიდინეს ის, რაც ჩაიდინეს? არა მგონია, ჩვენი ფილმი პასუხს იძლეოდეს ამ შეკითხვებზე, მაგრამ რა-რა და, ის კი ნამდვილად დაგვიდასტურა კაცობრიობის ისტორიამ, რომ მართებულად დასმულ შეკითხვებს ოდესმე აუცილებლად მოეძებნება პასუხი.

**ახალგაზრდა თაობის მსახიობებზე მეტად, ეს ისტორია თქვენთვის უფრო პირადულია. იგივე თაობის წარმომადგენელი ხართ და ალბათ განსაკუთრებით რთული იყო პირადი აზრის გვერდზე გადადება...**
მერაბ ნინიძე რა თქმა უნდა, ეს ისტო-

„ჩვენ წინაშეა ანტიკური ტრაგედია, რომელშიც მტყუან-მართალი არ არსებობს"



## „ყველა ეტაპზე, ყველანი რაღაცის მძევლები ვართ: სიყვარულის, ურთიერთობების, და ამ ამბის“

რია ჩემთვის განსაკუთრებით პირადულია. მათი თაობა ვარ და მათგან რამდენიმეს პირადად ვიცნობდი, მაგრამ როლზე ამ ყველაფერს გავლენა არ უნდა ჰქონოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ როლს ვერც კი ვითამაშებდი. მსახიობის მოვალეობაა დაივიწყოს ის მოცემულობა, რომელშიც ამბავი მოხდა. არ მქონია იმის შეგრძნება, რომ რეალურ ადამიანს ვასახიერებდი. ეს იყო ისტორია მამასა და შვილზე, შეუმდგარ ოჯახზე, და აქცენტი სწორედ მათ ურთიერთობებზე გამახვილდა.



**„ეს არის სრულიად ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც ეყრდნობა საარქივო მასალას, ინტერვიუებს, დაკითხვების ოქმებსა და უშუალო შეხვედრებს ამ ამბის მოწმეებსა თუ მონაწილეებთან. ეს გახლავთ იმ ისტორიული მოვლენის მხატვრული რეკონსტრუქცია, რომელიც 1983 წელს მოხდა. ჩვენ შევეცადეთ აღგვეწერა პროცესი, რომელიც ამ მოვლენას რამდენიმე თვით უსწრებდა და ის, რაც უკვე გატაცების მცდელობას მოჰყვა“.**

**რა იყო რეჟისორის მთავარი დავალება? რომელი მხრიდან უნდა გეჩვენებინათ ისტორია?**

მ.ნ. როდესაც რაღაც ამბავზე ყველას საკუთარი აზრი აქვს, ყველაზე მეტად მაშინაა რთული, იყო ნეიტრალური. მიმაჩნია, რომ რეზო გიგინეიშვილი ყველაზე სწორად მიუდგა ამ ისტორიას. სცენარში არ არის გმირობის არანაირი თემა. მთავარი ხაზი გაქცევის შეუმდგარი მცდელობაა.

**რა იყო როლზე მუშაობის ყველაზე დიდი სირთულე?**

მ.ნ. სცენები რთულადაა დაწერილი. მინდოდა ის მიდგომა შემენარჩუნებინა, რომელიც ლაშას სცენარზე მუშაობისას ჰქონდა. ძალიან დიდი სიამოვნებაა რეზოსთან ერთად გადასაღებ მოედანზე ყოფნა. ზუსტად იცის რა სურს და როგორ გაგაკეთებინოს ის, რაც მას უნდა.



**ვინ იგულისხმება „მძევლებში“?**

მ.ნ. ყველა ეტაპზე, ყველანი რაღაცის მძევლები ვართ: სიყვარულის, ურთიერთობების, და მთლიანად ამ ამბის. მით უმეტეს, როდესაც ამ ყველაფრის მომსწრე ხარ. გატაცების შემდეგ, ფილმში „მონანიება“ თორნიკე არავიძის როლი გეგა კობახიძის მაგივრად ვითამაშე და ალბათ ამას ვერასოდეს გავექცევი. გაცილებით დიდი კავშირი მაქვს ამ ისტორიასთან, ვიდრე ვამბობ.

**„ვიზუალურად ამ ყველაფრის შექმნა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. როდესაც საბჭოთა თვითმფრინავის აწყობა დავიწყეთ, მივხვდით, რომ წინ სერიოზული სამუშაო გველოდა. ეპოქალურად ყველაფერი მიმსგავსებული უნდა ყოფილიყო რეალურ მოვლენასთან, თუმცა კონტექსტუალურად ჩვენთვის მთავარი არა იარლიყების ჩამოკიდება, არამედ ამ ხალხის ტკივილის ბოლომდე გათავისება იყო“.**




**რამდენად განსხვავდება რეალური პიროვნება ფილმის მთავარი გმირისგან – ნიკასგან?**

ირაკლი კვირიკაძე ვერ ვიტყვი, რომ ფილმში საკვანძო ფიგურა ჩემი გმირია. ყველა მონაწილეს დიდი დატვირთვა აქვს. არ ვიცი ხალხს პირადად ჩემგან რა მოლოდინი აქვს, მაგრამ ძალიან ბევრი ვიმუშავე იმისთვის, რომ რეჟისორის ჩანაფიქრი განმეხორციელებინა. საზოგადოებამ ბევრი რამ იცის ამ ამბავზე. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რითი ვგავარ ან საერთოდ ვგავარ თუ არა რეალურ პიროვნებას. სჯობს საზოგადოებას მივცე იმის საშუალება, რომ ჩემი სამსახიობო ნამუშევარი შეაფასოს. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ „მძევლები“ ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში ყველაზე განსაკუთრებული ფილმი იქნება.



**„ვფიქრობ, აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს და ყოველთვის ყველანი რაღაცის მძევლები ვართ. არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს სისტემა, ყოველდღიურობა, თუ ადამიანური გრძნობები“.**

**რა ადგილი უჭირავს ფილმში თქვენი და თინა დალაქიშვილის გმირების სასიყვარულო ისტორიას?**

ი.კ. ჩემი და თინას გმირების სიყვარული ფილმის ერთგვარი ფონია. რთულია ახსნა, რადგან ვცდილობ ფილმის მთავარი ხაზი არ გავთქვა.



## „ჩემი და თინას გმირების სიყვარული ფილმის ერთგვარი ფონია. რამის ახსნა რთულია, რადგან ვცდილობ ფილმის მთავარი ხაზი არ გავთქვა“

**ფილმში ბევრი მძიმე სცენაა. რომელი იყო თქვენთვის საკვანძო მომენტი?**

ი.კ. ყველა სცენა რთული და მნიშვნელოვანი იყო, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ ჩემთვის ყველაზე საკვანძო თვითმფრინავის სცენაა. ალბათ აქ ვხედავთ ყველაზე ნათლად ნამდვილ ნიკას. ყველაზე მეტად ამ სცენის გადაღებისას ვნერვიულობდი და მეშინოდა. არ ვიცი, რას ვაკეთებდი, რას ვფიქრობდი. ეს დღემდე არ ვიცი...

**ვინ იგულისხმება „მძევლებში“?**

ი.კ. მძევლებში ბევრი ვინმე იგულისხმება. ჩვენ – გამტაცებლების მძევლები ვართ. ასევე ჩვენი მშობლები არიან მძევლები. ხალხიც მძევალია იმ სისტემის, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა.

**როგორი იყო როლისთვის სამზადისი?**

თინა დალაქიშვილი ვცდილობდით დრო ერთად გაგვეტარებინა და კარგად გაგვეცნო ერთმანეთი. იმისთვის, რომ ეკრანზე დიდი ხნის მეგობრები განასახიერო, გუნდთან ძალიან შეკრული უნდა იყო. გადაღებებზე რეზომ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ამ ეფექტისთვის მიეღწია. მოკლედ, ვცხოვრობდით, როგორც ერთი დიდი ოჯახი.

**რა ისწავლეთ მძევლებზე მუშაობის პროცესში?**

თ.დ. დავიწყებ იმით, რომ ამ შანსისთვის რეზოს მადლობელი ვარ. მან ამ ისტორიის ნაწილად გახდომის შესაძლებლობა მომცა. მახსოვს ჩემი თავი ფილმამდე და ვხედავ, როგორი გავხდი მის შემდეგ. ვხედავ, ვგრძნობ, რომ ძალიან გავიზარდე. ამ ისტორიის საკუთარ თავზე მორგებამ ბევრი კარგი გაკვეთილი მასწავლა. ბევრი რაღაც გადავაფასე და მივხვდი, რომ პროტესტი უნდა იყოს პროტესტისთვის. დავეთანხმები ჩემს პერსონაჟს და ვიტყვი, რომ თავისუფლება არ ღირს სხვა ადამიანის სიცოცხლის ფასად.

**რეზო გიგინეიშვილთან მუშაობის დიდი გამოცდილება გაქვთ, თუმცა მსგავსი თემატიკის ფილმზე პირველად ითანამშრომლეთ. რამდენად რთული იყო მძიმე სცენარზე მუშაობა?**

თ.დ. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და რეზოს ვენდობი, ამიტომ ერთმანეთთან მუშაობის სპეციფიკა ასე თუ ისე ვიცით. როცა რაღაცის გაკეთება მიჭირს, ყოველთვის იცის როგორ დამეხმაროს, ამიტომ მასთან მუშაობა ჩემთვის მუდამ საინტერესო, კომფორტული, პროდუქტიული და სასურველი იქნება.

**ვინ იგულისხმება „მძევლებში“?**

თ.დ. ვფიქრობ აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს და ყოველთვის ყველანი რაღაცის მძევლები ვართ. არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს სისტემა, ყოველდღიურობა, თუ ადამიანური გრძნობები. ▶

## „ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული ამ ამბით. პირველად, როცა ეს ისტორია ცნობიერ ასაკში მოვისმინე, ჩემთვის საოცრად შემზარავი, საინტერესო, ლამაზი და სამწუხარო იყო“

**გიორგი ხურცილავა** „რეზო გიგინეიშვილთან „მძევლებზე“ მუშაობა დიდ გამოცდილებასთან ერთად ძალიან დიდი სიამოვნებაც იყო. მას გადაღებაზე განსაკუთრებული ძალა ჰქონდა, რითაც მსახიობები და მთელი გადამღები ჯგუფი ერთი მიზნისკენ გაგვაერთიანა. იმ რეალური გმირის გაცოცხლება და თამაში, რომელიც ჩვენს გარემოში რამდენიმე ათეული წლის წინ ცხოვრობდა ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, რთული, მაგრამ ორმაგად საინტერესო და საპასუხისმგებლო იყო. გადაღებამდე მისი თაობის ადამიანებისგან გავეცანი რეალურ ისტორიებს, ვაგროვებდი მასზე ინფორმაციას. წავიკითხე მათი დაკითხვის ოქმები, რომლებიც კიდევ უფრო დამეხმარა გმირის შეცნობაში. ამ გმირმა და იმ სცენებმა, რომლებიც ფილმში ვითამაშე, ჩემში დიდი გარდატეხა მოახდინა და კომპლექსი მომიხსნა. მივხვდი, რომ მსახიობს ყველაფრის თამაში შეგიძლია“.

**გიორგი გრძელიძე** „მსგავსი ღირებულების მხატვრულ ფილმში „მძევლებამდე“ არასდროს მიმიღია მონაწილეობა. როცა გავიგე, რომ როლზე დამამტკიცეს და ამ ფილმის მნიშვნელობა და მასშტაბურობა გავაანალიზე, თავიდან ძალიან შემეშინდა. მერე მივხვდი, რომ ნერვიულობის დრო არ მქონდა, მობილიზება იყო საჭირო და ბოლომდე ჩავერთე სამუშაო პროცესში. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში რეზიკო დამეხმარა. მან ყოველთვის ზუსტად იცის, რა უნდა მსახიობისგან, ზუსტ მითითებას გაძლევს და ეს ძალიან აადვილებს სამუშაო პროცესს. გადაღებების დაწყებამდე გავიცანი ჩემი გმირის დედა, დეიდა, მეგობრები და ის ადამიანები, ვისთანაც მას უშუალოდ ჰქონდა შეხება. მასზე ბევრი ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, ჩემს თავში დავალაგე გმირი და მივხვდი, ფილმში რისი ყოფნა იყო უფრო მნიშვნელოვანი. ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე გავიარე – ჩემი გმირი არ უნდა ყოფილიყო ზუსტად არც ის ადამიანი და არც მისგან რადიკალურად განსხვავებული პერსონაჟი. ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც ჩემს გმირს რეალურ ცხოვრებაში იცნობდნენ“.

**ბექა ლემონჯავა** „მძევლების კასტინგზე ჯერ კიდევ სამი წლის წინ, 2014 წელს ვიყავი. ძალიან გამიმართლა და მოვხვდი ჩემთვის საოცნებო პროექტში. ჩემი გმირი თაობის იმ ნაწილის სახეა, რომელიც არ იყო თვითმფრინავში. ცოტა გამოგონილი პერსონაჟია, პროტოტიპია. უზომოდ საინტერესო გახლდათ მუშაობის პროცესი – რეზიკოსგან უამრავი რამ ვისწავლე, ბევრ ნიჭიერ ადამიანთან ერთად მომიწია მუშაობა, შემოქმედებითად გავიზარდე და ▶





ბექა ლემონჯავა: „მძევლების კასტინგზე ჯერ კიდევ სამი წლის წინ, 2014 წელს ვიყავი. ძალიან გამიმართლა და მოვხვდი ჩემთვის საოცნებო პროექტში. ჩემი გმირი თაობის იმ ნაწილის სახეა, რომელიც არ იყო თვითმფრინავში“.

„ძნელია, როცა შეზღუდული ხარ იმპროვიზაციაში. შენ არ იგონებ გმირს, პირიქით – მას უნდა მოერგო და მაქსიმალურად შეეცადო არ გამოხვიდე მისი პიროვნებიდან“

„მსახიობები ვცდილობდით სიტუაციიდან არცერთი წამით არ ამოვვარდნილიყავით, მთელი ჯგუფი ერთმანეთს გვერდში ვედექით და მუდმივად ერთად ვიყავით“



„ძალიან ვინერვიულე და უზომოდ გამახარა საერთაშორისო მაყურებლისა და პრესის დადებითმა გამოხმაურებამ, თუმცა ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ქართველი მაყურებლის წინაშე გვაქვს“, – გიგა დათიაშვილი.



„ამ ფილმის მთავარი გამარჯვება ალბათ სწორედ ისაა, რომ რეზომ მოახერხა და ორივე მხარე აჩვენა მაყურებელს. მესამეც კი დაგვანახა – შეიძლება თუ არა განსაჯო ადამიანები ასე მარტივად“, – კატო კალატოზიშვილი.

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კინოსურათის მთავარ როლში ბევრი დამწყები მსახიობია



უდიდესი გამოცდილება შევიძინე. გადაღებებზე იდეალური სამუშაო განწყობა იყო შექმნილი – კოსტიუმებით, მხატვრობითა და სხვა დანარჩენი დეტალებით. მსახიობები მუდმივად ვცდილობდით სიტუაციიდან არცერთი წამით არ ამოვვარდნილიყავით, მთელი ჯგუფი ერთმანეთს გვერდში ვედექით და  მუდმივად ერთად ვიყავით.

**გიგა დათიაშვილი** „მძევლები“ ჩემთვის პირველი მხატვრული ფილმია, აქ შედგა ჩემი სამსახიობო დებიუტი. საოცრად საპასუხისმგებლო მისია დამეკისრა – გეგას მეგობრის როლს ვთამაშობ. ყველა მოქმედებას ძალიან გააზრებულად და ფაქიზად ვაკეთებდი. საქართველო ვიწრო მასშტაბების ქვეყანაა – ყველა ყველას იცნობს და თითოეულს სხვადასხვა წარმოდგენა ჰქონდა იმ ადამიანზე, ვის პერსონაჟსაც მე ვთამაშობ. ბევრი რამ წავიკითხე და მოვისმინე მასზე, თუმცა არავის ზეგავლენის ქვეშ არ მოვექეცი. როგორც მსახიობს, საკუთარი წარმოდგენა ჩამომიყალიბდა პერსონაჟზეც და აქედან შევქმენი გმირი. „ბერლინალეზე“ დავესწარი ფილმის ჩვენებას. ძალიან ვინერვიულე და უზომოდ გამახარა საერთაშორისო მაყურებლისა და პრესის დადებითმა გამოხმაურებამ, თუმცა ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ქართველი მაყურებლის წინაშე გვაქვს. ესაა თემა, რომელზეც ბევრი დაწერილა, სპექტაკლები დადგმულა, მუდამ აქტუალურია და საზოგადოების აზრი ორადაა გაყოფილი. ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი გმირები იყვნენ, ნაწილი კი მათ ტერორისტებად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ყველაზე საპასუხისმგებლო სწორედ ქართველი მაყურებლის წინაშე წარდგენაა“.

**კატო კალატოზიშვილი** „ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული ამ ამბით. პირველად, როცა ცნობიერ ასაკში მოვისმინე ეს ისტორია, ჩემთვის საოცრად შემზარავი, საინტერესო, ლამაზი და სამწუხარო იყო. ძალიან რთული აღმოჩნდა იმის გაცნობიერება, რომ ერთ დღესაც ამ ისტორიასთან ასე ახლოს მომიწევდა შეხება. ნებისმიერი მსახიობისთვის ძალიან დიდი გამოცდილება ▶



## „რეზო გიგინეიშვილთან „მძევლებზე“ მუშაობა დიდ გამოცდილებასთან ერთად ძალიან დიდი სიამოვნებაც იყო“



და პრივილეგიაა მსგავს მასშტაბურ პროექტში მონაწილეობა. ყოველივე ეს იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ თითოეული ჩვენგანისთვის, რომ რეჟისორით დაწყებული, აბსოლუტურად ყველა ძალიან სათუთად ვეპყრობოდით და ვუფრთხილდებოდით იმ მთავარ თემას, რომელსაც ვეხებოდით. ეს ძალიან მძიმე ისტორიაა. ბევრი დეტალი უცნობი იყო, ზოგს ერთი მხრიდან ჰქონდა დანახული ეს ამბავი, ზოგს კი მეორედან. ამ ფილმის მთავარი გამარჯვება ალბათ სწორედ ისაა, რომ რეზომ მოახერხა და ორივე მხარე აჩვენა მაყურებელს. მესამეც კი დაგვანახა – შეიძლება თუ არა განსაჯო ადამიანები ასე მარტივად“.

**გიორგი ტაბიძე** „რეზო შემთხვევით გავიცანი. სანამ ფილმზე მუშაობას დაიწყებდა, ჩემთან მოვიდა მამაჩემის ამბის დეტალურად გასაგებად. სპექტაკლში მამის როლს ნიკო გომელაური თამაშობდა. ძალიან მაინტერესებდა ფილმში ამ როლზე ვის დაამტკიცებდნენ. მოგვიანებით, რეზო ქუჩაში შემხვდა და ვკითხე, მამაჩემის როლზე ვინ შეარჩიე-მეთქი. პირდაპირ მითხრა, შენ ითამაშებო. გამიკვირდა – მსახიობის გამოცდილება საერთოდ არ მქონდა – პროფესიით რეჟისორი ვარ. ბევრი ვიფიქრე და მივხვდი – სჯობდა ისევ მე ამეღო ამხელა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. სამი წლის ვიყავი, როცა ეს ამბავი მოხდა, ამიტომ მამას თვისებები არ მახსოვს. თუმცა არც იყო მოთხოვნა, რომ მას დავმსგავსებოდი. გმირი ისე ვითამაშე, როგორც მე მოვიქცეოდი იმ სიტუაციაში“.

**ვახო ჩაჩანიძე** „ძალიან რთული იყო იმ პერსონაჟის თამაში, რომელიც რეალურ ცხოვრებაში 30-40 წლის წინ არსებობდა. მისი შვილები, ოჯახის წევრები და ახლობლები დღესაც აგრძელებენ ცხოვრებას. ძნელია, როცა შეზღუდული ხარ იმპროვიზაციაში. შენ არ იგონებ გმირს, პირიქით – მას უნდა მოერგო და მაქსიმალურად შეეცადო არ გამოხვიდე მისი პიროვნებიდან. რეზო ძალიან მასშტაბურ, დიდ პროექტს შეეჭიდა. ფილმში ბევრი მასიური, ტექნიკურად ურთულესი სცენაა. რეჟისორმა გასაოცრად იმუშავა მთლიან გადამღებ ჯგუფსა და მსახიობებთან. დიდ წარმატებას ვუსურვებ მას – არა მარტო ამ პროექტში. რეზოს აქვს ძალა, ღირებული პროექტები შექმნას“. H

---


**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი, ნინუცა მაისურაძე
**ფოტო**: KOLYA ZVERKOV, VLADISLAV OPELYANTS, DINA OGANOVA, იკა პირველი
**ჩაცმულობა**: SARAR, ALDO, KETI CHKHIKVADZE
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ლოკაცია**: FABRIKA




m²
უძრავი ქონება
REAL ESTATE

# 22 აპრილამდე

# შეიძინე ბინა

დასრულებული რემონტით

და დასაჩუქრდი

ელექტროსკუტერით

იცხოვრე უკეთეს ქალაქში

optim²a ოპტიმა ისანი

გაყიდვების ოფისები თბილისში:

- ვაჟა-ფშაველას გამზ. №35
- ალ. ყაზბეგის გამზ. №19ა
- პ. ქავთარაძის ქ. №1 (m² გალერეა)

www.m2.ge 2 444 111



„არ მინდა, რომ ნენემ პატარაზე იეჭვიანოს, შეიძლება ამას ვერც ავცდეთ, მაგრამ აქედანვე ვუხსნით, რომ მალე პატარა და ეყოლება“.

# ანა ტყებუჩავა მეორე შვილს ელოდება

სერიალის **„ჩემი ცოლის დაქალები“** მსახიობი და ერთ-ერთი მთავარი გმირი **ანა ტყებუჩავა**, მაყურებლისთვის იგივე **ნინა**, ზაფხულში **მეორე შვილს ელოდება**. ბავშვის სქესი სავარაუდოდ მდედრობითია და ის ქვეყანას ივლისის ბოლოს მოევლინება. მშობლებს სახელი ჯერ არ შეურჩევიათ. ანას სურს, რომ მის მეორე გოგონასაც, ნენეს მსგავსად, მარტივი, ლამაზი სახელი შეურჩიოს, რომელიც გვარსაც მოუხდება.

ანასა და მის მეუღლესთან – რეჟისორ ლევან ბარამიძესთან ერთად, ოჯახის ახალი წევრის დაბადებას განსაკუთრებით ელოდება მათი პირველი შვილი – 3 წლის ნენეც, რომელიც მუცელში მყოფ პატარა დაიკოს უკვე ეთამაშება და ეფერება. იმისთვის, რომ პატარა დაზე არ იეჭვიანოს, მშობლები მასზე დოზირებულად ესაუბრებიან და სიახლისთვის ნელ-ნელა ამზადებენ. ***„არ მინდა, რომ ნენემ პატარაზე იეჭვიანოს. შესაძლოა ამას ვერც ავცდეთ, მაგრამ აქედანვე ვუხსნით, რომ მალე პატარა და ეყოლება. იცის, რომ დედიკოს მუცელში მისი პატარა დაიკო ჰყავს, რომელიც იქიდან ხელებს ურტყამს. ნენეც ხან „ძილა მშვიდობისა“-ს ეუბნება, ხან „ძილი ნებისა“-ს, და ზოგჯერ თვითონაც თამაშობს – მეც მყავს მუცელში ბაიაო. განსაკუთრებული გრძნობა და პასუხისმგებლობაა დედობა. ამას ბავშვის დაბადების შემდეგ, ნელნელა აცნობიერებ“.***

სიახლეა ტელესერიალშიც: რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ **„ჩემი ცოლის დაქალები“** ეთერში მეთერთმეტე სეზონით დაბრუნდა. ანას გმირი – ნინა, სერიალშიც ფეხმძიმედაა და მეხუთე შვილს ელოდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონის განმავლობაში გოცირიძეების ოჯახის ხაზი გააქტიურდება. აქედან გამომდინარე, ხშირად გამოჩნდება დათოს მეორე ცოლ-შვილიც. ნინას კი, როგორც ყოველთვის, ბევრი საფიქრალი, სანერვიულო და საქჭვიანო ექნება.

ახალ სერიებს მაყურებელთან ერთად ანაც დიდი ინტერესით ელოდება. **„ჩემი ცოლის დაქალების“** ახალი სეზონი მაყურებელს ყოველ პარასკევს, შაბათსა და კვირას ძალიან ბევრ საინტერესო ისტორიას, ინტრიგასა და სიურპრიზს ჰპირდება. ***„ნინა სეზონზე მუდამ აკრიტიკებდნენ ჩემს გმირს – ყველაფერზე ჩხუბობს, ყველაფერზე ჯუჯღუნებს ეს გოგო, რით ვეღარ აპატია დათოს, ან თუ აპატია, რაღას აძახებსო?! მაყურებლები უზომოდ განიცდიან ხოლმე თითოეულ სცენასა და დიალოგს. მე ძალიან მომწონს ეს რეზონანსი. ხელოვნების ამ სფეროს და ზოგადად, თეატრისა და კინოს ერთ-ერთი დანიშნულებაც ხომ ის არის, რომ სარკესავით აირეკლოს რეალობა და საკუთარი მანკიერებები გვაჩვენოს. თუ მათ საკუთარ თავში ამოვიცნობთ და კარგი თვისებებით ჩავანაცვლებთ, გადასარევი იქნება. ძალიან გვიხარია, რომ სერიიდან სერიამდე ამხელა მოლოდინი აქვს მაყურებელს და ჩვენი შრომა მათი სიყვარულით გვიბრუნდება“.***

ტექსტი: ხატია მახარაშვილი. ფოტო: ბაჩი თაბატაძე.

# ედ შირანი „სამეფო კარის თამაშების“ ახალ სეზონში გამოჩნდება

არცთუ დიდი ხნის წინ **ედ შირანი** ახალი ალბომით გამოჩნდა და როგორც ყოველთვის, ჰიტალბუმების სათავეები დაიპყრო. მომღერალი ამით არ დაკმაყოფილდა და ახალი კარიერული მწვერვალის დაპყრობა განიზრახა – იგი **„სამეფო კარის თამაშების“** მეშვიდე სეზონში მიიღებს მონაწილეობას. **HBO**-ს ფანტასტიკურ დრამაში მას სტუმრის სტატუსით მიიწვევენ.

***„ჩვენ წლების განმავლობაში ვცდილობდით, ედი დაგვეთანხმებინა და წელს, როგორც იქნა, შევძელით“,*** – აღნიშნა სერიალის ერთ-ერთმა შემქმნელმა **დევიდ ბენიოფმა.** ინფორმაცია **HBO**-ს წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, თუმცა არ გაამხილეს, კონკრეტულად ვის როლს მოირგებს ბრიტანელი შემსრულებელი.

შირანმა **Twitter**-ზე უკვე დაწერა, რომ საინტერესო სიახლეებს ელოდება. თუმცა სერიალში მონაწილეობა არაფერია იმ წარმატებასთან, რომელიც ახალ ალბომში შესულმა სიმღერებმა მოუტანა. ცნობილმა **Billboard 200**-მა დაადასტურა, რომ **Divide**-მა წლის მთავარი ალბომის ტიტული უკვე დაიმსახურა და მის კონკურენტებს სასწაულის ჩადენა მოუწევთ, ლიდერის პოზიცია რომ დაისაკუთრონ.

რაც შეეხება **„სამეფო კარის თამაშებს“**, სერიალი მაყურებელს ორი ახალი სეზონით დაუბრუნდება. მეშვიდე სეზონი შვიდ სერიას გააერთიანებს და **HBO-ს ეთერში 16 ივლისს გამოჩნდება**. მერვე სეზონი კი, რომელიც ფინალური იქნება, მხოლოდ ექვსი ეპიზოდით შემოიფარგლება.



ტექსტი: ელენე მარგალითაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.


GEOX
RESPIRA
ჯეოქსი
სუნთქავს
თქვენი კომფორტისთვის
თბილისი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 26; ც. დადიანის 7 ს/ც "ქარვასლა"; აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ ს/ც "თბილისი მოლი"; ბათუმი: მ. აბაშიძის 13
www.icr.ge
დაპატენტებულია იტალიაში



სოფია და ჯო კალიფორნიული ამინდით ყოველდღე ტკბებიან. დამატებით კომფორტს ქმნის იდეალური სახლი, სადაც წყვილი 24 წლის მანოლოსა და სოფიას დისშვილთან ერთად ცხოვრობს. ოჯახის ხშირი სტუმრები არიან ჯოს ნათესავებიც. „აქ ძალიან ბედნიერები ვართ. ჩვენი სახლი უზომოდ გვიყვარს“, – აღნიშნავს Modern Family-ს ვარსკვლავი.



## ჰოლივუდელი მასპინძლები

# სოფია ვერგარა და ჯო მანგანიელო

## სახლზე, კარიერასა და ოჯახურ თანაცხოვრებაზე გვესაუბრებიან

სოფია ვერგარასა და ჯო მანგანიელოს ცხოვრებაზე წიგნს რომ ვწერდეთ, აუცილებლად „ნამცხვრების სამყაროს“ დავარქმევდით. თუმცა, ამჯერად ამ ორი ვარსკვლავის ოჯახურ თანაცხოვრებაზე, კარიერულ ამბებზე, მშვენიერ სახლსა და რომანტიკულ თავგადასავლებზე უნდა გიამბოთ. HELLO! წყვილს ჰოლივუდში მდებარე თანამედროვე „სასახლეში“ ესტუმრა ...

**სოფია, საოცარი მასპინძელი ხართ...**

**სოფია** ასე გამოდის. შინ ყოველთვის მაქვს საჭმელი, სასმელი და ნამცხვრები. ჯო და მანოლო დამცინიან ხოლმე, აქაურობა სასტუმროს დაამსგავსეო. მე კი არ ვიშლი და ძილის წინ ორივე მათგანს პატარა ბოთლით ვუტოვებ ხოლმე წყალს. კიდევ ბევრ ისეთ რაღაცას ვაკეთებ, რასაც სასტუმროებში ყოფნისას მივეჩვიე.

**ამ სახლს აშკარად ეტყობა თქვენი ხელი...**

**სოფია** ყველაფერი მე შევარჩიე და იმიტომ. დეკორატორმა სხვადასხვა ვარიანტი მაჩვენა, მაგრამ მე საკუთარი შეხედულებები მქონდა და მინდოდა შემექმნა გარემო, რომლითაც ყველა ისიამოვნებდა. აქ ყოველთვის ბევრი ხალხია – მანოლო და ჩემი დისშვილი ჩვენთან ცხოვრობენ, ჯოს ძმის ოჯახი კი ძალიან ხშირად გვსტუმრობს. ეს არის სახლი, რომელიც ყველასთვის კომფორტულია.

**როგორც ჩანს, ჯოს ფავორიტი მისაღები ოთახის თეთრი დივანია...**

**სოფია** დიახ, ჯო ყველაფერს აქ აკეთებს – მიირთმევს, თვლემს, ამერიკულ ფეხბურთს უყურებს... ოთახის ფანჯრები მუდამ ღიაა ხოლმე, რომ სუფთა ჰაერმა იმოძრაოს. ჩემი ფავორიტი კი სააბაზანოა. არ შემიძლია არ გამოვყო საკუთარი გარდეროზიც – მართალია ისეთი დიდი არ არის, როგორიც მინდოდა, მაგრამ მამაკაცის განყოფილებაც ავითვისე და ჯო დავარწმუნე, რომ თვითონ დიდი ადგილი არ დასჭირდებოდა.

**ჯო, სახლის გაფორმებაში მონაწილეობდით?**

**ჯო** სოფიამ მხოლოდ სავარჯიშო დარბაზისა და ▶

„ოჯახის შექმნის
გადაწყვეტილება
უყოყმანოდ მივიღეთ.
ჩვენს ქორწილს
400 სტუმარი ეწვია“






**„ჯო საოცრად მხიარულია და ამას თავიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთმანეთს დღემდე დაწვრილებული ხმით ველაპარაკებით ხოლმე – ეს ხმა პირველი შეხვედრისას „გამოვიგონეთ““**

ჩემი ოფისის გაფორმება მომანდო. ძალიან მიყვარს ხელოვნება – ხშირად დავდივარ გამოფენებზე და ბევრი მხატვარი და კოლექციონერი მეგობარი მყავს. როცა ახალი სახლის გაფორმება დავიწყეთ, მთელი ჩემი კოლექცია გამოვიყენე და ახლებიც დავამატე. ძალიან დამეხმარა როლანდ ბერი, რომელმაც ენდი უორჰოლისა და სოფია ლორენის სურათები დამიხატა და მათი დაკიდება მისაღებ ოთახში შემომთავაზა.

**სოფია** ჯო ძალიან დამთმობი და სულგრძელია. მთელი ორი წლის განმავლობაში მოთმინებით უძლებდა ჩემს იდეებსა და პრეტენზიებს. სამაგიეროდ, საკუთარი ოფისი მთლიანად თვითონ გააფორმა.

**ჯო** ამ პროცესით ორივემ ძალიან ვისიამოვნეთ. ბედნიერებაა, როცა საკუთარი და შენი მეორე ნახევრის გემოვნება ერთმანეთს აბსოლუტურად ემთხვევა.

**როგორც ჩანს, აქაურობა ძალიან გაბედნიერებთ...**

**სოფია** აქ ძალიან ბედნიერები ვართ. ჩვენი სახლი უზომოდ გვიყვარს. წვეულებების მოწყობა კი ჩემი ჰობია. ამას ჯოს საქმიანი შეხვედრები ანაცვლებს ხოლმე – ვინაიდან ძმასთან ერთად საპროდიუსერო კომპანიას ხელმძღვანელობს, ხშირად უწევთ შინ მოთათბირება. მსიამოვნებს, როცა ვხედავ ხოლმე, რომ ჩვენთან თავს კომფორტულად გრძნობენ.

**გვიხარია, რომ თქვენი ოჯახური მყუდროება ჩვენც გაგვიზიარეთ.**

**სოფია** მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ძვირფასი ურთიერთობის ზედმეტად გასაჯაროებას ვერიდებით, იმასაც ვიაზრებთ, რომ ყველაზე საყვარელი ფანები გვყავს და ისინი ჩვენი ბედნიერების გაზიარებას იმსახურებენ. სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ამერიკული HELLO! – თქვენი დამსახურებით გულშემატკივრები ჩვენს სამყაროში იმოგზაურებენ.

**ერთმანეთი გაცნობისთანავე შეგიყვარდათ?**

**ჯო** ჩვენი ურთიერთობის პირველი მომენტები საათობით სიცილს უკავშირდება. აშკარა იყო, რომ ერთნაირ იუმორსა და ღირებულებებს ვიზიარებდით.



„კიბეების დანახვისთანავე მივხვდი, რომ ეს სახლი ჩვენი გახდებოდა. თანამედროვე იერი რომ შეგვექმნა და ბუნებრივი სინათლე შეგვენარჩუნებინა, არჩევანი ღია ფერებზე შევაჩერეთ“.





## სოფიას სახლში ყოველთვისაა საჭმელი, სასმელი და ბევრი ნამცხვარი

**სოფია** ჯო საოცრად მხიარულია და ამას თავიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთმანეთს დღემდე დაწვრილებული ხმით ველაპარაკებით ხოლმე – ეს ხმა პირველი შეხვედრისას „გამოვიგონეთ“ და ვირების ხმას უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანებისას. ვისაც ესმის, ყველა ჩვენი ფსიქიკური მდგომარეობით ინტერესდება! მოკლედ, ჯო არასოდესაა ცუდ განწყობაზე. მეც ვცდილობ ხოლმე განწყობა არაფერს გავაფუჭებინო და იმაზე დარდს შევეშვა, რისი შეცვლაც არ შემიძლია.

**ჯო** თავიდანვე გააზრებული გვქონდა, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ერთმანეთის ბედნიერება და კეთილდღეობა იქნებოდა. როცა ადამიანთან ასეთი დამოკიდებულება გაკავშირებს, ხვდები, რომ ცხოვრებამ საჩუქარი მოგიძღვნა. როგორც კი ეს გავიაზრე, წავედი და სოფიას ნიშნობის ბეჭედი ვუყიდე.

**სოფია** ხელი რომ მთხოვა, ემოციებად დავიღვარე, მაგრამ პირობებიც წავუყენე, რაზეც ძალიან ბევრი იცინა. ჯო ყველაფერს მშვიდად უმკლავდება. „სიმშვიდის ღმერთს“ ვეძახი ხოლმე. ერთადერთხელ ვნახე წყობიდან გამოსული – უეცრად თავი ხელებში ჩარგო და აღმოხდა: „ღმერთო ჩემო!“ სახე არ უჩანდა და ღიმილი რომ ვერ დავინახე, გული გამისკდა – მეგონა, ვინმე მოკვდა! მანამდე ასეთ მდგომარეობაში არასოდეს მენახა. მან კი შემომხედა და სიცილით მითხრა: „არაფერი, არაფერი მომხდარა. მაპატიე. უბრალოდ, როლზე დამამტკიცეს“. საუბარი მის საოცნებო როლზე იყო. ის იცინოდა, მე კი გულგახეთქილი ვლაპარაკობდი. ისე კი, ჯომ ჩემს ცხოვრებაში ენით აღუწერელი სიმშვიდე შემოიტანა.

**ოჯახი ექვსთვიანი რომანის შემდეგ შექმენით...**

„სახლი დამოუკიდებლად გავაფორმე, დეკორატორმა სხვადასხვა ვარიანტი მაჩვენა, მაგრამ მე საკუთარი შეხედულებები მქონდა და მინდოდა შემექმნა გარემო, რომლითაც ყველა ისიამოვნებდა“





ვარსკვლავური წყვილის სახლს სოფიას ხელი და ჯოს აქცენტები ეტყობა. „ზოგჯერ ზედმეტად მონოქრომული ვარ ხოლმე, მაგრამ ჯოს ნახატები და ჩემი ყვავილები ყველაფერს აფერადებენ“, – ამბობს დიასახლისი.

**სოფია** დიახ, წამითაც არ გვიყოყმანია. ჩვენს ქორწილს 400 სტუმარი ეწვია. ყველაზე ემოციურად მანოლოს გულაჩუყებული გამომეტყველება და ცრემლები მახსენდება. ერთი წლის იყო, როცა მამამისს დავშორდი და მას შემდეგ არავისთან მიცხოვრია.

**ჯო, True Blood-ში, Magic Mike-სა და Smurfs: The Lost Village-ში მიღებულ როლებს თავი შესანიშნავად გაართვით. რას იტყოდით ოჯახის უფროსის როლზე – როგორ ართმევთ თავს?**

**ჯო** მსახიობობაში კარგად რომ არ მიხდიდნენ, აუცილებლად სხვა საქმიანობას გამოვნახავდი. ეს იმიტომ, რომ ოჯახის უფროსობა ამ ოჯახის ყველანაირად უზრუნველყოფის ვალდებულებასაც ნიშნავს. არასოდეს ვოცნებობდი იმაზე, რომ ვინმეს შევემჩნიე და ყურადღების ცენტრში ვყოფილიყავი. უბრალოდ, მინდოდა კარგად მეცხოვრა. ვერც კი წარმოიდგენთ, მსახიობობამდე რამდენი ვარიანტი მოვსინჯე. საბოლოოდ კი ავირჩიე საქმე, რომელიც კარგად მინაზღაურდებოდა.

**სოფია** ჰოლივუდში კარიერის აწყობა ძალიან რთულია. ამ ოცნების ახდენას 20 წელიწადზე მეტი შევალიე და მივხვდი, ▶

რომ თავი მსხვერპლად არასოდეს უნდა წარმოაჩინო – ეს უარყოფით ენერგიას იზიდავს და ცხოვრების ყველა ასპექტზე მოქმედებს. თავიდანვე უნდა იცოდე, რომ შესაძლოა ყველაფერი მოხდეს – უბრალოდ, ასეთია ცხოვრება.

**თქვენი ცხოვრება Modern Family-მ შეცვალა. Forbes-ის მონაცემებით, 2016 წელს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ტელემსახიობი იყავით...**

**სოფია** ასე გამოდის. ახლა მერვე სეზონს ვიღებთ და იმედი მაქვს ეს შოუ კიდევ ორ წელიწადს მაინც გაგრძელდება. ზუსტად ვიცი, რომ ასეთ იდეალურ საქმეს ვეღარ მივაგნებ. ყოველი წამით ვტკბები და სამსახურში ყოველდღე მიმიხარია! ჩემი პერსონაჟის განსახიერება საოცარ სიამოვნებას მანიჭებს. არც ტირილი მიწევს, არც ვინმესგან გაქცევა და არც ძალადობრივ სცენებში მონაწილეობა. ყველაფერი მხოლოდ იუმორს ემსახურება. გადაღებებზე ყველანი ვიცინით და კარგ დროს ვატარებთ. ფინანსურადაც მომგებიანია. თანაც, ჩემს აგენტთან მუდმივი კავშირი მაქვს და ვცდილობ, სანამ შემიძლია, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო.

**ზოგი ამბობს, რომ თქვენი პერსონაჟი ლათინოსების ნამდვილ ყოფას ვერ გამოხატავს...**

**სოფია** გლორიას პერსონაჟი დედაჩემისა და დეიდაჩემის ცხოვრებითაა შთაგონებული. ისინიც, როგორც მე, კოლუმბიაში გაიზარდნენ. გიჟდებიან ფერებზე, პრინტებზე, ფეხსაცმელზე... მეც გლორიასნაირი ვარ – ვნებიანი, ემოციური, ძლიერი და ბედნიერი ქალი, რომელიც მზად არის, პარტნიორს ყველანაირად დაეხმაროს. ჩემი პერსონაჟი მილიონერზე თხოვდება და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოქროს მაძიებელია. პირიქით – ქმარზე ყურებამდეა შეყვარებული. ძალიან მწყინს ხოლმე, როცა გლორიაზე ცუდად საუბრობენ. ნეტავ ყველას შეეძლოს ოჯახზე მასავით ზრუნვა. ვამაყობ, რომ ჩემი აქცენტის დამსახურებით ამ ქალის განსახიერების საშუალება მომეცა. რვა წლის წინ ასეთი აქცენტით ტელევიზორში არავინ გამომაჩენდა, ახლა კი საწუწუნო აღარაფერი მაქვს. როცა Modern Family-ს ვუყურებ, ვხედავ, რომ ჩემი პერსონაჟი ყველაზე ბედნიერი და სრულყოფილია, ყველას კომფორტსა და კეთილდღეობაზე ზრუნავს და ცდილობს არავის ეჩხუბოს. გლორია მშვენიერია და მის პერსონაჟში არანაირ ცვლილებას არ შევიტანდი. სწორედ მისი დამსახურებაა ჩემი წინსვლა და წარმატებები. ხალხი იაპონიაშიც კი მცნობს და შეუძლებელია ამას ვერ ვაფასებდე. მოკლედ, გლორიას განსახიერება ჩემთვის დიდი პატივია.

**თანაც გლორია ნამცხვარს სინდისის ქენჯნის გარეშე მიირთმევს...**

**სოფია** მეც ვგიჟდები ნამცხვრებზე! მათი ყურებაც კი მაბედნიერებს! აღარაფერს ვამბობ ჭამაზე. გარდა ამისა, The Birthday Cake Project-ის მოხალისე ვარ და იმაზეც ვზრუნავ, რომ ნამცხვრებმა გაჭირვებული ბავშვებიც გააბედნიეროს.

**ჯო, ნამცხვრები თქვენც ასე გიყვართ?**

**ჯო** ამ შეკითხვაზე ერთი ამომწურავი პასუხი მაქვს: ამქვეყნად არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ნამცხვარი ჩემს ცოლზე მეტად ეყვარება. H

**ინტერვიუ**: CRISTY MARRERO
**ფოტო**: JOHN RUSSO
**დამატებითი ფოტოები**:
GETTY IMAGES. WIREIMAGE



**ჯო: „ჩვენი ურთიერთობის პირველი მომენტები საათობით სიცილს უკავშირდება. აშკარა იყო, რომ ერთნაირ იუმორსა და ღირებულებებს ვიზიარებდით“.**









**True Blood და Magic Mike ჯო მანგანიელოს სავიზიტო ბარათებია. ის მალე გამოჩნდება Smurfs: The Lost Village-სა და Batman-შიც. რაც შეეხება სოფიას, მაყურებელმა ის გლორიას პერსონაჟით შეიყვარა. მსახიობს 2015 წელს ვარსკვლავიც გაუხსნეს. „რვა წლის წინ ასეთი აქცენტით ტელევიზორში არავინ გამომაჩენდა, ახლა კი საწუწუნო არაფერი მაქვს. როდესაც Modern Family-ს ვუყურებ, ვხედავ, რომ ჩემი პერსონაჟი ყველაზე ბედნიერი და სრულყოფილია, ყველას კომფორტსა და კეთილდღეობაზე ზრუნავს და ცდილობს არავის ეჩხუბოს. გლორია მშვენიერია და მის პერსონაჟში არანაირ ცვლილებას არ შევიტანდი. ჩემი წინსვლა და წარმატებები სწორედ მისი დამსახურებაა. ხალხი იაპონიაშიც კი მცნობს და შეუძლებელია ამას ვერ ვაფასებდე. გლორიას განსახიერება ჩემთვის დიდი პატივია“.**


IKKS
NEW COLLECTION
IKKS MEN
მაღაზია IXXS
ალ. ყაზბეგის გამზ. 24
SHOPING@AXIS
ტელ.: 032 231 25 33
IXXS



**„საოცრად მაბედნიერებს იმაზე ფიქრი, რომ ისინი უკვე ჩემი ოჯახის განუყოფელი ნაწილები არიან“**





# მადონა
## ტყუპი გოგონების დედა გახდა

**მადონას** ბედნიერების ახალი მიზეზი აქვს – პოპის დედოფალმა მალავიდან ტყუპი გოგონები იშვილა, რის შემდეგაც ექვსშვილიანი დედა ოფიციალურად გახდა. სტელა და ესტერი 4 წლის არიან და ახალ ოჯახში თავს ძალიან კარგად გრძნობენ. მათთვის დამატებით კომფორტს ქმნის ის ფაქტიც, რომ **მადონამ** მალაველი გოგონა და ბიჭი მანამდეც იშვილა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა სრულიად მარტომ დაიწყო.

მომღერალმა სიახლე სოციალურ ქსელ Instagram-ზე გამოაქვეყნა. ფოტოზე ის ტყუპებთან ერთად სეირნობს, აღწერაში კი წერს: ***„ოფიციალურად ვადასტურებ, რომ მალავიდან ტყუპი გოგონები ვიშვილე და საოცრად მაბედნიერებს იმაზე ფიქრი, რომ ისინი უკვე ჩემი ოჯახის განუყოფელი ნაწილები არიან. უღრმესი მადლობა ყველას, ვინც დამეხმარა. მედიის წარმომადგენლებს კი ვთხოვ, ბავშვების პირადი სივრცე არ დაარღვიონ და ცვლილებების პროცესი გაუმარტივონ***“.

ტყუპი გოგონების ნამდვილი დედა მათზე მშობიარობისას გარდაიცვალა, მამას კი ბავშვებზე ზრუნვა არ შეეძლო და ეს სასამართლოზეც დაადასტურა. მოსამართლე **ფიონა მუეილმა** პროცესი მარტივად წარმართა და მიღებული გადაწყვეტილების გამო სიხარულიც გამოხატა: ***„ახალი მეურვე ამ ბავშვებს საუკეთესო განათლების მიღებასა და სრულყოფილ ადამიანებად ჩამოყალიბებაში დაეხმარება. მან დაამტკიცა, რომ გულწრფელად სურდა ტყუპებისთვის სახლი, სიყვარული, უსაფრთხოება და მზრუნველობა შეეთავაზებინა***“.

ცნობისთვის: **მადონას** პირველი ქორწინებიდან 20 წლის **ლურდესი** ჰყავს, ხოლო მეორე ქორწინებიდან – 15 წლის **როკო**. პოპვარსკვლავმა პირველი შვილი – **დევიდი**, 2006 წელს იშვილა, სამი წლის შემდეგ კი ოჯახს **მერსი ჯეიმსი** შეემატა.

**ფოტო:** LAURA BENJAMIN. **ფოტო:** INSTAGRAM, GETTY IMAGES.

# სოფო ნიჟარაძე BAMA MUSIC AWARDS-ის ნომინანტია

**DAF BAMA MUSIC AWARDS** პრესტიჟული მუსიკალური დაჯილდოება, რომელიც ყოველწლიურად გერმანიის ქალაქ ჰამბურგში იმართება. დაჯილდოებაში საქართველო წელს პირველად მონაწილეობს. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი **სოფო ნიჟარაძე** ნომინირებულია კატეგორიაში „საუკეთესო მომღერალი ქალი საქართველოდან“.

სოფო: ***„გამარჯვებული ხმის მიცემის პრინციპით გამოვლინდება. ხმის მიცემა შესაძლებელია Facebook-ით, Twitter-ითა და Instagram-ით. უბრალოდ, დღეში ერთხელ სტატუსად ან კომენტარებში აკრიფეთ შემდეგი – #DafBama2017_SofiaNizharadze, და თქვენი ხმა ჩაითვლება. არ დაგავიწყდეთ, რომ პოსტი საჯარო უნდა იყოს. მადლობას ვუხდი ჩემს ყველა გულშემატკივარს! დიდი პასუხისმგებლობაა შენი ქვეყნის წარდგენა უცხოეთში***“.

სოფოს პროდიუსერი **სტეფანე მღებრიშვილი**, რომელიც აზერბაიჯანის სახალხო არტისტ **აიგუნ კაზიმოვას** პროდიუსერიც გახლავთ, წელს დაჯილდოებაზე ორი ქვეყნის – საქართველოსა და აზერბაიჯანის საუკეთესო მომღერლებს წარადგენს.

სტეფანე: ***„ეს ფესტივალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის და განსაკუთრებით ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მოლოდინი გვაქვს. სოფოს გამარჯვებას ვუსურვებ და მოვუწოდებ ყველას, რომ სოციალური ქსელების მეშვეობით მას მხარი დაუჭირონ!***“

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს აზერბაიჯანელმა მომღერალმა ცნობილ რეპერ **Snoop Dogg**-თან შესრულებული სიმღერით **Coffee From Colombia** გაიმარჯვა ნომინაციაში **„საუკეთესო აზერბაიჯანელი შემსრულებელი ქალი“**. დაჯილდოება **Bama Music Awards**-ი აგვისტოში გაიმართება.

> **„ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა შენი ქვეყნის წარდგენა უცხოეთში“**

**ტექსტი**: ლულუ კახიანი. **ფოტო**: მარიამ ღვავჯიავი. **მაკიაჟი**: ქრისტინა რაჭინი.



# საერთო ღირებულებები და ხასიათის განსხვავებული თვისებები

# ნუნუკა და სოფო ჭაფარიძეები

ნუნუკა საქართველოში ბოლოს შვიდი წლის წინ იყო. ამჯერად სამშობლოში სულ რაღაც ექვსი დღით დაბრუნდა. ნუნუკას თბილისურ გრაფიკს სოფო განაგებს. ყოველი დღე წინასწარ გაწერილია. მცირე დროისა და დატვირთული დღის განრიგის მიუხედავად, დები ჟურნალ HELLO!-ს ინტერვიუსა და ფოტოსესიაზე მარტივად დათანხმდნენ.

ნუნუკა სოფოზე თერთმეტი თვით უფროსია. ერთ სკოლაში სწავლობდნენ, ერთი სამეგობრო წრე ჰყავთ და ფაქტობრივად ერთად გაიზარდნენ. მოზარდობის ასაკში, სამოქალაქო ომისა და თანმდევი პრობლემების გამო რთული პერიოდი გამოიარეს, თუმცა მშობლებმა მაქსიმუმი გააკეთეს იმისათვის, რომ შვილებს საუკეთესო განათლება მიეღოთ და ბედნიერი ბავშვობა ჰქონოდათ.

ნუნუკას სწავლა ბავშვობიდან გამორჩეულად უყვარდა. 10 წლის იყო, როცა აშშ-ში პირველად, ბალეტის ტურზე წავიდა. სასტუმროს ტელევიზორში თვალი ლამაზად ჩაცმულ წამყვანებს მოჰკრა და გადაწყვიტა, რომ ერთ დღეს მაყურებელს ეკრანიდან თავადაც მიესალმებოდა. ორი მიზანი დაისახა: პირველი – დაბრუნებულიყო ამერიკაში და მეორე – ჟურნალისტიკის სფეროში დიდი გამოცდილება დაეგროვებინა. ოცნებების ასახდენად ბრძოლა სკოლის მერხიდანვე დაიწყო და მიზანსაც მიაღწია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, „კენტუკის“ უნივერსიტეტში ოთხწლიანი სასწავლო პროგრამის დაფინანსება მოიპოვა.

„კენტუკის“ უნივერსიტეტში სწავლისას მუშაობა ადგილობრივ ტელევიზიაში დაიწყო და მიზნად CNN-ში მუშაობა დაისახა. მიზნის მისაღწევად კი მალე საცხოვრებლად ატლანტაში გადავიდა და ოცნების ტელევიზიაში სტაჟიორად მივიდა.

„როცა პირველად CNN-ის უზარმაზარ ოფისში ფეხი შევდგი, თავი ზღაპარში მეგონა – ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდებოდა. არარეალური გრძნობა იყო, როცა ის ხალხი, რომლებსაც წლების განმავლობაში ეკრანზე ვხედავდი, ჩემ გარშემო დადიოდნენ, გამარჯობას მეუბნებოდნენ და ჩემს ამბავს კითხულობდნენ“.

სტაჟირების გავლის შემდეგ ე.წ. „რისერჩერის“ პოზიციაზე მუშაობა დაიწყო. შემდეგ იყო წარმოების ასისტენტი, სეგმენტპროდიუსერი და საინფორმაციო გადაცემების პროდიუსერი, ბოლოს კი ატლანტიდან ვაშინგტონის ოფისში გადავიდა და CNN-ის ყველა პლატფორმის, 3 სხვადასხვა მიმართულების პროდიუსერი გახდა. CNN-ზე სულ 14 წელი დაჰყო და ამ დროის განმავლობაში ყოველდღე ცდილობდა ჟურნალისტიკის „ლეგენდებთან“ ერთად მუშაობით ესარგებლა და მათგან რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიეღო და დიდი გამოცდილება დაეგროვებინა.



„ჩვენ წარმატებას საკუთარი ცოდნით, გამოცდილებითა და დაუღალავი შრომით მივაღწიეთ. ასევე გადამწყვეტი როლი თამაშა ჩვენმა ისეთმა პიროვნულმა თვისებებმა, როგორებიცაა მიზანდასახულობა და შეუპოვრობა. ყოველთვის ვიცოდით რა გვინდოდა და მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, დაჟინებით ვაგრძელებდით წინსვლას“



„ჩვენ ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები ვართ და ერთმანეთზე ძვირფასი არავინ გვყავს. საოცარი გრძნობაა, როცა იცი, რომ რაც უნდა მოხდეს, შენი და საუკეთესო რჩევას მოგცემს და ყოველთვის შენ გვერდით იქნება. ერთმანეთის იმედი ყოველთვის გვაქვს“

## „ისეთ ასაკში წავედი ამერიკაში, რომ იქ ჩამოვყალიბდი ადამიანად. ამერიკა ჩემთვის უკვე სახლია, საქართველოში კი თავს სტუმრად ვგრძნობ“



„ფიზიკურად ერთმანეთისგან შორს ვართ და ხშირ კომუნიკაციას ვერ ვახერხებთ, თუმცა ამის მიუხედავად იმდენად დიდი შინაგანი კავშირი გვაქვს, რომ რა დროც უნდა გავიდეს, მუდამ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ნუნუკა რამდენიმე საათის წინ ვნახე“.

ნუნუკას ცხოვრებაში ახალი გამოწვევა იყო ტელეკომპანია FOX-ზე სამუშაოდ გადასვლა – არხზე, რომელიც CNN-ისგან რადიკალურად განსხვავდება და მისი პირდაპირი კონკურენტია. CNN-მა ნუნუკას შესანარჩუნებლად კონკურენტ არხთან ბევრი იბრძოლა, მოლაპარაკებებიც აწარმოა, თუმცა უშედეგოდ.

დღეს ნუნუკა ყველაზე რეიტინგული ყოველდღიური პოლიტიკური შოუ SPECIAL REPORT BRET BAIER-ის პროდიუსერია და ამბობს: „ჩემთვის წარმატებული ქალი არ ნიშნავს მხოლოდ კარიერას. წარმატებული ქალი არის ის, ვინც აკეთებს იმას, რაც მთელი გულით მოსწონს და რაც ბედნიერებას ანიჭებს“.

სოფო საოცრად ჯიუტი ბავშვი იყო და ყველაზე ხშირად ამბობდა ფრაზას: „მე თვითონ“. არასოდეს ემორჩილებოდა აკრძალვებს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც არგუმენტირებულად უსაბუთებდნენ აკრძალვის მართებულობას. ალბათ ამან განაპირობა მასში შინაგანი თავისუფლებისა და პრინციპულობის საწყისების ჩამოყალიბება, რაც დამოუკიდებელ და ძლიერ ქალად ქცევაში დაეხმარა.

ყოველთვის გამოირჩეოდა სხვების დაცვით. როცა უსამართლობას აწყდებოდა, შინაგანი წინააღმდეგობა უჩნდებოდა და ადამიანის დაცვის ავტომატური  იმპულსი ერთვებოდა. სწორედ ამიტომ იფიქრა, რომ ბუნებრივად იყო უფლებადამცველი და სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე უნდა გაეგრძელებინა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციაში დაიწყო. 2006 წლიდან კი მუშაობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში გააგრძელა. „არ დამავიწყდება განცდა, რომელიც პირველი საკონსტიტუციო სარჩელის მოგების შემდეგ დამეუფლა – როდესაც გრძნობ, რომ შეგიძლია გააუმჯობესო კანონმდებლობა და შეცვალო მანკიერი პრაქტიკა. იმაზე დიდი პროფესიული ჯილდო არაფერია, როდესაც ადამიანს დარღვეული უფლებების აღდგენაში ეხმარები და სამართლიანობის განცდას უბრუნებ“.

სწავლის გასაგრძელებლად დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა. „ჩევენინგის“ სტიპენდიის წყალობით ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალში მაგისტრატურას სრულიად უფასოდ აკეთებდა, როცა მონაწილეობა მიიღო კონკურსში, გაიმარჯვა და სტაჟირება დაიწყო ლონდონში დაფუძნებულ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ცენტრში INTERIGHTS. სტაჟირება 6 თვე უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა 3 თვე არ იყო გასული, როდესაც ორგანიზაციაში სამხრეთ კავკასიაზე მომუშავე იურისტზე კონკურსი გამოცხადდა. ცდუნებას ვერ გაუძლო და მაღალი კონკურენციის მიუხედავად, გაიმარჯვა, რამაც შესაძლებლობა მისცა, სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეებზე სამხრეთ კავკასიის მასშტაბით უაღრესად გამოცდილ პროფესიონალებთან ერთად ემუშავა. თუმცა ოჯახისგან შორს ყოფნა რთული აღმოჩნდა და ბრიტანეთში 3-წლიანი ცხოვრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

უკვე მესამე წელია ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერმინისტრის თანაშემწეა. საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს და ემოციურად მძიმე საკითხებთან ხშირი შეხება უწევს. თუმცა ნელ-ნელა ხედავს იმ შედეგებს, რომლებიც მისი საქმიანობით ჩნდება და ეს დამატებით მუხტს აძლევს იმისთვის, რომ მეტი გააკეთოს და მეტად დაიხარჯოს. ბედნიერია, ვინაიდან აქვს შესაძლებლობა საკუთარი საქმიანობით სხვა ქალებს დაეხმაროს და ის სირთულეები ააცილოს, რომელსაც თავად შეხვდა – თუნდაც გენდერული სტერეოტიპების რღვევისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისას.

**ინტერვიუ**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო**: იკა პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**: AVTANDIL


Delfy Professional
Delfy
NAIL
delfycosmetics.com
fb.com/DelfyCosmetics
Made in France
**ლოტუსი** აფაქიძის ქ. 11; **პოდიუმი** ქავთარაძის ქ. 2; **ფრანკ პროვო** აბაშიძის ქ. 22; **ლა სოლეი** აბაშიძის ქ. 49; **კალა** ვაჟა-ფშაველას გამზ. 17
**ნეო ნეო** ბახტრიონის ქ. 11ბ; **4U** მიცკევიჩის ქ. 27გ; **V&M** ჭავჭავაძის გამზ. 2; **მწვანე სალონი** კეკელიძს ქ. 6; **2X2** კეკელიძის ქ. 8

# ახალი სახე INSTAGRAM-ზე

# VIKI FDN

## ვიკი ფერერ დალმაუ

### „ჩემს ფოტოებს ისეთი დეტალები გამოარჩევს, რომლებსაც სხვებთან ვერ შეხვდებით“




„მომენტები და ფერები, რომლებიც ყველაფერშია, რასაც ხედავთ – ასეთია ჩემი ფოტოგრაფია“.

ფოტოებს მხოლოდ მობილური ტელეფონით იღებს. ერთადერთი ქსელი, რომელიც მის ნამუშევრებს „მასპინძლობს“, INSTAGRAM-ია. ტექნიკა, ფერები, ვიზუალური ეფექტები და ფილტრები – ვიკი ფერერ დალმაუს ფოტოგრაფიას ფანტაზია და განსხვავებული აქცენტები გამოარჩევს. „შინაგანი სამყაროს ანარეკლი“ – ასეთია მისი ნამუშევრების დახასიათება ვებგვერდზე VIKIFDN.COM, სადაც ავტორი წერს: „ჩემი სურათები თავისუფლებას გამოხატავს, ფილტრები კი მოულოდნელ ეფექტებს ქმნის და ემოციებად გარდაიქმნება. მომენტები და ფერები, რომლებიც ყველაფერშია, რასაც ხედავთ – ასეთია ჩემი ფოტოგრაფია“. HELLO! ესპანელ ვიკის ექსკლუზიურად გაგაცნობთ...

**როდის და რატომ გადაწყვიტეთ ფოტოგრაფობა?**

ვიკი ყოველთვის ვგრძნობდი საკუთარი თავის გამოხატვის საჭიროებას. სწორედ ამის გამო გავხდი დეკორატორი და ხატვაც დავიწყე. ამის შემდეგ კი გამოხატვის ახალი გზა – ციფრული ფოტოგრაფია ავირჩიე. ვისწავლე სხვადასხვა ფილტრისა და ტექნიკის გამოყენება და ფოტოებს ჩემი ხელი და ხედვა დავატყვე.

**რა არის თქვენი შთაგონების წყარო?**

ვიკი ამჟამინდელ პროექტში მთავარ აქცენტს თანამედროვე ქალებზე ვამახვილებ და მათ სხეულს სხვადასხვა კუთხიდან ვიღებ, რითაც ვცდილობ თითოეულ დეტალს განსაკუთრებული მნიშვნელობა შევძინო.

**ვიცით, რომ ძალიან გიყვართ ბარსელონა. რას ნიშნავს ეს ქალაქი თქვენთვის?**

ვიკი ეს არის ქალაქი, სადაც მთელი ცხოვრება გავატარე; ქალაქი, სადაც ვმუშაობ. ბარსელონა ყველანაირად მიყვარს – თავისი ცხოვრების რიტმით, ძველისა და ახლის იდეალური ნაზავით, ურბანული სტილით, ისტორიით... მასზე როცა ვფიქრობ, ერთდროულად მახსენდება საყვარელი კაფეები, ბარები, გოთური შენობები, მაღაზიები, ჩემი მეგობრების სახლები და მშობლიური სახლი. ძალიან მიყვარს ახლომდებარე სოფლებიც, რომელთაგან ზოგი ზღვისპირას მდებარეობს, ზოგი კი მაღალ მთებში.

**რა გამოარჩევს თქვენს ფოტოებს?**

ვიკი ჩემს ფოტოებს ისეთი დეტალები გა-



„ჩემი სურათები თავისუფლებას გამოხატავს, ფილტრები კი მოულოდნელ ეფექტებს ქმნის და ემოციებად გარდაიქმნება“



„ბარსელონა ყველანაირად მიყვარს - თავისი ცხოვრების რიტმით, ძველისა და ახლის იდეალური ნაზავით, ურბანული სტილითა და ისტორიით“, – აღნიშნავს ვიკი.



„ჩემი ფოტოები ყოველდღიურ ამბებზე, ადამიანების ნამდვილ სახეებსა და ქცევებზე ყვება – როგორ სვამენ, როგორ იცინიან, როგორ იდებენ ფეხს ფეხზე, როგორ დგებიან კედელთან...“



მოარჩევს, რომლებსაც სხვებთან ვერ შეხვდებით. ამ დეტალებს ყოველთვის ვადიდებ ხოლმე და ფერს ვუმატებ, რაც მათ მეტად გამოკვეთაში მეხმარება. ჩემი აზრით, კადრები ძალიან პირადული და ინტიმურია. თითოეულ მათგანში დიდი გრძნობებია ჩაქსოვილი. სხვაგვარად რომ გითხრათ, ჩემი ლინზა საკუთარ წარმოსახვას აფიქსირებს.

**რას უყვებიან თქვენი ფოტოები ადამიანებს?**

**ვიკი** ისინი ყოველდღიურ ამბებზე, ადამიანების ნამდვილ სახეებსა და ქცევებზე ყვებიან – როგორ სვამენ, როგორ დგებიან კედელთან, როგორ იცინიან, როგორ იდებენ ფეხს ფეხზე... უკვე რამდენიმე თვეა, ქალის სხეულზე ვმუშაობ და ვიღებ საქმიან, მაცდურ, კლასიკურ, თავდაჯერებულ, განსხვავებული სტილის ქალებს...

**რას ურჩევდით მათ, ვისაც ხელოვნებაში თავის დამკვიდრება სურთ?**

**ვიკი** მთავარია მიჰყვეთ გულის ხმას, შეინარჩუნოთ საკუთარი თავის რწმენა და არ შეგეშინდეთ უარყოფის. იპოვეთ თქვენი შთაგონების წყარო და არავითარ შემთხვევაში არ მიბაძოთ სხვას. თავის გამოხატვასა და დამკვიდრებას მხოლოდ ასე თუ შეძლებთ...

**როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

**ვიკი** ვაპირებ ამჟამინდელის მსგავს პროექტზე ვიმუშაო და ამჯერად ჩემს ფოკუსში მამაკაცის სხეული მოვაქციო. ძალიან მინდა ჩემი ფოტოებით ისევ გააფორმონ სახლები, სასტუმროები, მაღაზიები, რესტორნები და სხვა საყვარელი ადგილები. ვოცნებობ, რომ ჩემი ფოტოგრაფია მთელმა მსოფლიომ გაიცნოს. H

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი
**ფოტო**: ვიკი ფერერ დალმაუს ფოტოარქივი





# კამპანია მათთვის, ვისაც უყვარს
# #კაცებიზრუნავენ
## გენდერის კვირეული საქართველოში



გენდერის კვირეული საქართველოში წელს განსაკუთრებულად აღინიშნა. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო **გაეროს მოსახლეობის ფონდის** (UNFPA) საქართველოს ოფისის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომელმაც კამპანიის **„კაცები ზრუნავენ“** მონაწილეები და მხარდამჭერები გააერთიანა. მათ ისეთ მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეს, როგორებიცაა მშობლების თანაბარი ჩართულობა შვილის აღზრდაში, დეკრეტული შვებულების პოპულარიზაცია მამაკაცებში და ა.შ. ეს ყველაფერი ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა – ხაზგასმულიყო ის, რომ გენდერული თანასწორობა თანაბრად მნიშვნელოვანია ქალებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც...

ღონისძიებას ასამდე სტუმარი დაესწრო. ყველა შეთანხმდა, რომ მიზანი, რომელსაც **„კაცები ზრუნავენ“** ემსახურება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზროვნების სწორად განვითარებისთვის. შეთანხმდნენ იმაზეც, რომ გენდერული თანასწორობის შესახებ წამოწყებულ დისკუსიაში რაც შეიძლება მეტი მამაკაცი უნდა ჩაერთოს. ერთ-ერთი მაგალითი აღმოჩნდა **კახა კალაძე**, რომელმაც სტუმრებს თავისი დამოკიდებულება გაუზიარა. ***„სწორედ ჩვენ – მამაკაცები, მამები, მომავალი მამები – უზრუნველვყოფთ ჩვენი შვილების მენტალობის სწორად ჩამოყალიბებას, რათა თავი კომფორტულად იგრძნონ სახლშიც და საზოგადოებაშიც“***, – აღნიშნა საქართველოს ვიცეპრემიერმა, – ***„ეს არის ბრძოლა საკუთარ თავთან, გარშემო არსებულ არასწორ მიდგომებთან, სისხლსა და აზროვნებაში გამჯდარ მახინჯ სტერეოტიპებთან... ოჯახის უფროსი უნდა იყოს არა მხოლოდ მამაკაცი ან ქალი, არამედ – სიყვარული და ურთიერთგაგება“***.

კამპანიის მხარდაჭერა დაადასტურა პარლამენტარმა **არჩილ თალაკვაძემაც**, რომელმაც ხაზი გაუსვა პრიორიტეტების სწორად გადანაწილებას: ***„გადაწყვეტილება, ჩვენი დრო მოვაკლოთ შვილებს და ეს დრო სხვისი პრობლემების მოგვარებასა და დამატებითი საქმის კეთებას დავუთმოთ, ნამდვილად არ არის მართებული“***. მას დაეთანხმა **ლევან კობიაშვილიც** და HELLO!-სთან საუბრისას დასძინა: ***„ვერც ვხვდები, როგორ არ უნდა ვიყო ამ კამპანიის ნაწილი. ყველა წუთი, რომელსაც შვილსა და მეუღლესთან ერთად ვატარებ, ჩემთვის ბედნიერებაა“***.

სტუმრებს შორის იყვნენ ისინიც, ვისაც მამობა ჯერ არ გამოუცდიათ, თუმცა კამპანიის მხარდამჭერები არიან და მთავარ იდეას გულწრფელად იზიარებენ. როგორც **გიორგი კეკელიძემ** HELLO!-სთან აღნიშნა, ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაზე აქტიური საუბრის წამოწყებაა: ***„სწორედ ამას ემსახურება ეს კამპანიაც. მამაკაცსაც ისევე სჭირდება ზრუნვაზე ორიენტირება, როგორც ქალს, და ეს ჩვენი ტრადიციის ნაწილია – ადრეც ბევრნი იყვნენ ისინი, ვინც ზრუნავდნენ“***.

ცნობისათვის: კამპანია ***„კაცები ზრუნავენ“*** **გაეროს მოსახლეობის ფონდის** (UNFPA) საქართველოს ოფისმა 2016 წლიდან, არასამთავრობო ორგანიზაცია **We Care**-თან თანამშრომლობით წამოიწყო. მისი მიზანია წაახალისოს მამაკაცების, როგორც არამოძალადე და მზრუნველი მამებისა და მეუღლეების ჩართულობა ოჯახების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, რათა მამაკაცებმა მეტად დაუჭირონ მხარი გენდერულ თანასწორობას. შეგახსენებთ, რომ კამპანია გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში ხორციელდება. H

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო**: UNFPA Georgia.


HELLO!
GEORGIA
შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია
FASHION
Special
+370
საქორწილო რჩევა
ეკა ნიჟარაძე
შვილები და პირადი
სოფო და ნუნუკა ჯაფარიძეები
ახდენილი ოცნებების შესახებ
ანჯელინა
სოფია ვერგარა & ჯო მანგანიელო
ჰოლივუდელი მასპინძლები
EXCLUSIVE
INTERVIEW AND PHOTOSHOOT
HOSTAGES
ბოლო ათწლეულის ყველაზე გახმაურებული ქართული კინოპრემიერა
ISSN 2449-2590
იკითხეთ
HELLO!
მთელ მსოფლიოში
სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე
ჩამოტვირთეთ ქართული HELLO! მსოფლიოს უმსხვილესი დახლებიდან
ZINIO და MAGZTER
ANDROID APP ON Google play
Available on the App Store
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge

# 30 დღე
## ახალი ამბების დასტა



**ნანა ჯორჯაძის** ნამუშევარი — „ღვინის ნულოვანი მერიდიანი“ ჰოლივუდის საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის ხუთი ნომინაციის გამარჯვებული გახდა: „საუკეთესო პროდიუსერი“ (შალვა ხეცურიანი), „საუკეთესო სცენარი“ (თამარ ბართაია), „საუკეთესო რეჟისორი“ (ნანა ჯორჯაძე), „საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი“ (მიხეილ კვირიკაძე) და „საუკეთესო მსახიობი“ (რევაზ ხეცურიანი). ფილმი მაყურებელს ქართული ღვინის კულტურის შესახებ უყვება.



**JAMIROQUAI** საქართველოში კონცერტს გამართავს! მუსიკოსი ბათუმს 28 ივლისს ეწვევა და შავი ზღვის რიგით მე-11 ჯაზფესტივალის ფარგლებში ახალ ალბომს წარადგენს. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 250 ლარი იქნება. Jamiroquai-ს გარდა, 27-დან 30 ივლისამდე ჯაზფესტივალს ისეთი მუსიკოსები ეწვევიან, როგორებიც Joss Stone, De La Soul, Cory Henry And The Apostles და MF Robots არიან.



**ელისო ბოლქვაძე** გაეროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას ანჯელინა ჯოლისთან ერთად დაესწრო. ორივე მათგანი საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული. საღამოზე, რომელიც ადამიანის უფლებათა დამცველის – ბრაზილიელ სერხიო ვიეირა დე მელოს ხსოვნას ეძღვნებოდა, ქართველმა პიანისტმა რამდენიმე ნაწარმოები შეასრულა, შემდეგ კი ანჯელინასთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო. შეგახსენებთ, რომ ელისო ბოლქვაძეს „იუნესკოს მშვიდობის არტისტის“ ტიტული 2015 წელს, ფონდ „ლირას“ დაარსებისა და ქველმოქმედებისთვის გადაეცა.



**ანა ჩუბინიძის** „ჯიბის კაცი“ მონრეალის საერთაშორისო კინოფესტივალის ორი პრიზის მფლობელი გახდა. ქართულ-ფრანგული ანიმაცია საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად აღიარეს და ახალგაზრდული ჟიურისგან სპეციალური პრიზიც გადასცეს. გარდა ამ წარმატებისა, ანა ჩუბინიძის ნამუშევარი ანსის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაშიც მოხვდა. ანასთან ერთად, კონკურსში მონაწილეობას მიიღებს კიდევ ერთი ქართული პროექტი – დავით კიკნაველიძის „ჯინო“, რომელიც პირველი ქართული სამგანზომილებიანი ანიმაციაა.





**საბავშვო ევროვიზია 2017** საქართველოში ჩატარდება. რიგით მე-15 კონკურსი 26 ნოემბერს, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ საბავშვო ევროფესტივალზე საქართველომ უკვე მესამედ გაიმარჯვა, რაც რეკორდული მაჩვენებელი აღმოჩნდა. 2016 წლის პრიზიორი მარიამ მამადაშვილი გახდა, რომელმაც ჯამში 239 ქულა მოიპოვა. წელს საბავშვო ევროვიზიაზე ქართველი მონაწილე უკვე მეთერთმეტედ გამოჩნდება.



**მარკ ცუკერბერგი** მეორე შვილის მამა გახდება. Facebook-ის დამფუძნებელმა ახალი ამბავი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და გულშემატკივრებს ოჯახური ფოტოც გაუზიარა. „მე და პრისილა სიხარულით გაცნობებთ, რომ გოგონას ველოდებით! პრისილას ორსულობაზე რომ გავიგეთ, მხოლოდ იმაზე ვოცნებობდით, ბავშვი ჯანმრთელი ყოფილიყო. ბედნიერი ვარ, რომ მაქსსა და მის დაიკოს ერთმანეთი ეყოლებათ. ძლიერი ქალები უკეთეს ადამიანებად გვაქცევენ. ერთი სული გვაქვს, ჩვენს პატარას შევეგებოთ და ისიც ძლიერ ქალად აღვზარდოთ“, – წერს ცუკერბერგი.

**ფოტოები:** ელენე მარგალიტაშვილი



# 28:14
## საქართველო-რუსეთი

საქართველო-რუსეთის შეხვედრა ქართველი რაგბისტების გამარჯვებით დასრულდა. დინამო არენაზე გამართულ მატჩში საქართველოს რაგბის ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთს 2-ჯერ მეტი ანგარიშით სძლია და მეტოქე შედეგით 28:14 დაამარცხა. შეხვედრაზე, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში იმართებოდა, ქართველმა რაგბისტებმა ოთხი ლელო დადეს და ოთხივე გარდასახვა წარმატებით შეასრულეს. ცნობისთვის: საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის ჩატარებული თამაშების სტატისტიკური მონაცემებით, 1993 წლიდან დღემდე ჩვენი ეროვნული ნაკრების ანგარიშზე 19 გამარჯვება, 1 მარცხი და 1 ფრედ დასრულებული შეხვედრაა.






**სალომე ბენიძის** „ქალაქი წყალზე“, რომელიც გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში“ გამოსცა, გერმანულად გადაითარგმნება. ბესტსელერის საავტორო უფლებები Aviva Verlag-მა მოიპოვა. თარგმანზე იუნონა გურული მუშაობს. აღსანიშნავია, რომ წიგნის ილუსტრაციები, რომლებიც თათია ნადარეიშვილმა სპეციალურად ნაწარმოებისთვის შექმნა, გერმანიაში უცვლელად გადაიბეჭდება. „ქალაქი წყალზე“ გერმანულენოვანი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი წლის ბოლოდან იქნება.



**ანჯელინა ჯოლიმ** ლონდონის ეკონომიკის სკოლაში პირველი ლექცია წაიკითხა. ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში მსახიობი მაგისტრატურის სტუდენტებს ასწავლის და ლექციებს ადამიანთა უფლებების შესახებ უკითხავს. მისი თქმით, პირველ დღეს ძალიან ღელავდა და ამავდროულად, ამ წამოწყებით აღტაცებული იყო. ჯოლიმ იმედი გამოთქვა, რომ ლონდონის ეკონომიკის სკოლას სხვებიც მიბაძავენ და ქალთა უფლებებზე დისკუსია უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს.



**არნოლდ შვარცენეგერი** პოლიტიკას უბრუნდება. კალიფორნიის ყოფილ გუბერნატორს მიაჩნია, რომ დონალდ ტრამპს არასწორი პოლიტიკა აქვს და მისი ახალი კანონი, რომელიც მუსლიმური ქვეყნების მოქალაქეთა აშშ-ში შეშვებას კრძალავს, აბსურდულია. „ტერმინატორის“ ვარსკვლავი ამბობს, რომ ახალი პრეზიდენტი ამერიკას იდიოტების ქვეყნად წარმოაჩენს და აპირებს, 2018 წელს კალიფორნიის სენატორობისთვის იბრძოლოს.




**ვიზალიბერალიზაცია** ამოქმედდა. ოფიციალური გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ ჟურნალში 8 მარტს გამოქვეყნდა, 28 მარტიდან კი ბიომეტრიული პასპორტის ყველა მფლობელს ევროპაში უვიზოდ გამგზავრების შესაძლებლობა მიეცა. გამოქვეყნდა რეგულაციაც ე.წ. შეჩერების მექანიზმის შესახებ, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, ევროკომისიას უვიზო მიმოსვლის დროებით შეჩერება მოსთხოვოს. ეს შესაძლოა არალეგალების რაოდენობის ზრდამ ან სხვა მსგავსმა შემთხვევებმა განაპირობოს.



მარცხნიდან: ეკა, ტასო და მარიტა. უკან: ნოდო და ჯეჯი.

## ერთი დიდი ოჯახი

# ეკა ნიჟარაძე

## შვილები, პირადი და ყველაზე თბილი სახლი



**„ჩემი ოჯახის მთავარი ღირებულება ისაა, რომ სამივე შვილი განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ამავდროულად ერთნაირად კეთილი, ყურადღებიანი და გულისხმიერი ადამიანები არიან. იციან, რა არის სწორი და არასოდეს ყოფილან ეგოისტები“**

დედა, სამი შვილი და დიდი ოჯახი, რომლის შესახებ ყოველთვის საუბრობენ – ყოველდღიურობა თეატრის სცენის მიღმა ასეთი თბილი და შეკრულია. ეკა ნიჟარაძისა და ნიკო გომელაურის ორ შვილს უკვე საკუთარი მეუღლეები ჰყავთ. ეკასა და თემურ უგულავას 17 წლის ვაჟი კი ოჯახისგან ძალიან შორს – აშშ-ში ცხოვრობს.

**ეკა** „ვცხოვრობთ ერთ დიდ, მეგობრულ ოჯახად. მიუხედავად იმისა, რომ შვილები დამოუკიდებლები არიან, ძალიან მახარებს ყველას ჩემთან ყოფნის სურვილი. ერთადერთი, იმას განვიცდი, რომ ნოდო ჩვენგან შორსაა. საბედნიეროდ, დღეს კომუნიკაციის ბევრნაირი საშუალება არსებობს და მეც „ვჭამ“ ბავშვს ბანალური შეკითხვებით: „რა ჭამე?“ „თბილად გაცვია თუ არა?“ და ა.შ. ჯერ ვერ შევეგუე, რომ ხუთი წელია აქ აღარ ცხოვრობს და უკვე დამოუკიდებელი ადამიანია. მუდამ იმაზე ვფიქრობ, ხომ არ შევცდი, რომ გავუშვი. ეს ალბათ ჩემი ეგოისტური მომენტია. მინდა ჩემი შვილი ჩემთან იყოს, მაგრამ ეს ყველაფერი მისი მომავლისთვის ხდება.

სამივე შვილი ჩემთან ერთად გაიზარდა. ბედნიერი ვარ, რომ ჯეჯი და ტასო ისევ ჩემთან ცხოვრობენ. მინდა რაც შეიძლება დიდხანს ვიყოთ ერთად. მესმის, რომ ერთ დღეს ისინიც წავლენ, მაგრამ შვილები ჩემთვის ყოველთვის ბავშვები იქნებიან.

ჩემი ოჯახის მთავარი ღირებულება ისაა, რომ სამივე შვილი განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ამავდროულად ერთნაირად კეთილი, ყურადღებიანი და გულისხმიერი ადამიანები არიან. იციან, რა არის სწორი და არასოდეს ყოფილან ეგოისტები. რა თქმა უნდა, მერიდება ჩემს შვილებზე ლაპარაკი, მაგრამ ისეთივე კარგები არიან შინ, როგორც გარეთ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ოჯახი თინას გარშემო ტრიალებს. ყველა ვცდილობთ ჩემი პირველი შვილიშვილი მოვარჯულოთ და მთელი ყურადღება მასზეა კონცენტრირებული“.

**ტასო** „თინა ამ ოჯახის მთავარი წევრია. ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს. მეც დედიკოს გოგო ვარ. ამიტომაც ვცხოვ- ▶

## „მუდამ იმაზე ვფიქრობ, შეცდომა ხომ არ დავუშვი, რომ ნოდო გავუშვი, ეს ალბათ ჩემი ეგოისტური მომენტია“



რობ ეკასთან. კოტეს უნდა სახლი ვიყიდოთ და ცალკე გადავიდეთ, მაგრამ აქ თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ძმებთან ყველაზე ახლო ურთიერთობა მაქვს. ნოდო ამერიკაში ცხოვრობს და ყოველდღე ვერ ვკონტაქტობთ, მაგრამ ჯეჯისთან ყველა წვრილმანზე ვრეკავ. არ ვიცი მარიტა როგორ ეგუება ამ ამბავს, მაგრამ ჩემთვის ეს ნორმაა. ალბათ ეკას დამსახურებაა, რომ ასე ახლოს ვართ ერთმანეთთან. იმდენად შეკრული ოჯახი ვართ, მარიტაც მალე მივიღეთ. როდესაც ვხედავ, რომ ჩემს ძმას უყვარს ადამიანი და ბედნიერია, მეც ბედნიერი ვარ“.

**ჯეჯი** „და-ძმებს ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ტასოს უკვე თავისი ოჯახი ჰყავს და ნოდო აქ არ ცხოვრობს, მაინც ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. ოჯახის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წევრი კი ტასოს შვილი – თინაა“.

**მარიტა** „ჯეჯისთან ერთად გავიცანი მისი ოჯახი. მიმაჩნია, რომ მათი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ეს ევროპული ოჯახია. არ აქვთ დისტანციური ურთიერთობები. ყველა ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოჯახის მიმართ დიდი ინტერესია, არასოდეს მიგრძვნია მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. პირიქით – ხალხისგან ყოველთვის დიდი სიყვარული მოდის. ჩემთვის არაა რთული ოჯახის გარეშე ყოფნა იმიტომ, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება ადრეულ ასაკში ვისწავლე. მამაჩემი საფრანგეთში ცხოვრობს და ყოველთვის გვთხოვს, მასთან ჩავიდეთ“.

**ჯეჯი** „ზაფხულობით, ან ზამთარში ხშირად დავდივართ საფრანგეთში, მაგრამ ძირითადი გეგმები მაინც საქართველოს უკავშირდება. მთავარი კი ისაა, რომ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე გადავიდეთ ცალკე  საცხოვრებლად“.

**ნოდო** „რა თქმა უნდა, ჩემთვის მნიშვნელოვანია განათლების მიღება და იმ გეგმების განხორციელება, რაც მაქვს, მაგრამ ოჯახი ძალიან მენატრება. ვცდილობ აქ ხშირად ჩამოვიდე და დრო მათთან ერთად გავატარო. ძალიან შეკრულები ვართ და ხანდახან მიჭირს მათ გარეშე ყოფნა.

მეექვსე წელია ამერიკაში ვარ. წელს გამოცდებს არქიტექტურაზე ვაბარებ და კიდევ 5 წელი მომიწევს იქ სწავლა. ზამთარში და ზაფხულის არდადეგებზე საქართველოში ჩამოვდივარ ხოლმე. მაქსიმალურად ვცდილობ ოჯახის ყოველდღიურობაში ვიყო ჩართული. ბავშვის მოვლა არ ვიცი, მაგრამ მუდამ ვცდილობ დრო თინასთან ერთად გავატარო. ეკას ვიდეოების გამოგზავნას ვთხოვ ხოლმე. ეკა ყველაზე „სწორი დედაა“ დედებს შორის. დედობის განსხვავებული სტილი აქვს. ალბათ იმიტომ, რომ თავისუფლება მაჩუქა“. **H**

---


**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე
**ფოტო**: იკა პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა** (ეკა, ტასო, მარიტა): AVTANDIL



„სამივე შვილი ჩემთან ერთად გაიზარდა. მინდა რაც შეიძლება დიდხანს ვიყოთ ერთად“



HELLO!-ს ექსკლუზიურ ინტერვიუში

# ანჯელინა ჯოლი

## შვილებზე, კამბოჯასა და ახალ ნამუშევარზე საუბრობს

ანჯელინა ჯოლი, ექვსი შვილის თანხლებით, თავისი ახალი ფილმის კამბოჯურ პრემიერას დაესწრო. ბრედთან განქორწინების შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ენჯი ოჯახთან ერთად საჯაროდ გამოჩნდა. 15 წლის მედოქსი, 13 წლის პაქსი, 12 წლის ზაჰარა, 10 წლის შაილო და 8 წლის ტყუპები – ნოქსი და ვივიენი, დედის სარეჟისორო ნამუშევრის პირველი ჩვენების გმირებად იქცნენ და ქათინაურებიც დამსახურებულად მიიღეს. მედოქსი, რომელიც სწორედ ამ ქვეყანაში დაიბადა, და პაქსი, რომელიც კულისებში მიმდინარე მოვლენების ფოტოგადაღებაზე ზრუნავდა, ჯოლის თავდაუზოგავად ეხმარებოდნენ. „შვილებით ყველა დედა ამაყობს, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ მონდომებითა და შრომით ჩემს ყველა მოლოდინს გადააჭარბეს“, – აღნიშნა ანჯელინამ HELLO!-სთან საუბრისას. ექსკლუზიურ ინტერვიუში მსახიობმა კამბოჯას მნიშვნელობაზეც ისაუბრა: „ამ ქვეყანამ 2002 წელს ჩემი ცხოვრება შეცვალა. სწორედ მისი დამსახურებით გავხდი დედა. მედოქსთან ერთად, კამბოჯაც ჩვენი ოჯახის ნაწილია. სწორედ ამიტომ, აქაურების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს და თავს ყოველთვის ისე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში“.

რაც მთავარია, 41 წლის ვარსკვლავი პირველად ალაპარაკდა ბრედ პიტთან განშორებაზე და აღიარა, რომ 12-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ეს მთელი ოჯახისთვის რთული გამოცდა გახლდათ. „ძალიან მძიმე პერიოდი იყო, მაგრამ ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ყოველთვის ერთ ოჯახად დავრჩებით“, – აღნიშნა გაეროს კეთილი ნების ელჩმა, – „მჯერა, რომ ყველაფერს გავუმკლავდებით და ასე უფრო მყარ და ძლიერ ოჯახად ვიქცევით“. ენჯის თვალები უცრემლიანდებოდა და პასუხის გაცემამდე ხშირად ჩუმდებოდა. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი შემთხვევა სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა: „ჩემს სიტუაციაში უამრავი ადამიანია. ყველას გვქონია რთული პერიოდები. მთავარ საზრუნავად ჩემი, ჩვენი შვილები რჩებიან. ვცდილობ სწორი გამოსავალი მოვძებნო და შევძლო, რომ ამ შემთხვევამ ჩემი პატარები კიდევ უფრო დააახლოვოს და გააძლიეროს“.

როცა BBC-ზე ჰკითხეს, რას განიცდიდა მას მერე, რაც განშორების შემდეგ მარტო იღვიძებდა, ენჯიმ გულახდილად უპასუხა: „მთავარი იყო, ▶



15 წლის მედოქსი, 13 წლის პაქსი, 12 წლის ზაჰარა, 10 წლის შაილო და 8 წლის ტყუპები – ნოქსი და ვივიენი, დედის სარეჟისორო ნამუშევრის პირველ ჩვენებას დაესწრნენ. ფილმზე ანჯელინასთან ერთად ლუნგ უნგმაც იმუშავა.



ანჯელინა ჯოლი ახალი ფილმის First They Killed My Father რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერია.

„ჩემი შვილებით ძალიან ვამაყობ და იმედი მაქვს, ჩემს სამომავლო პროექტებშიც ჩაერთვებიან“



41 წლის ვარსკვლავი პირველად ალაპარაკდა ბრედ პიტთან განშორებაზე და აღიარა, რომ 12-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ეს მთელი ოჯახისთვის რთული გამოცდა გახლდათ. „ძალიან მძიმე პერიოდი იყო, მაგრამ ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ყოველთვის ერთ ოჯახად დავრჩებით“, - აღნიშნა გაეროს კეთილი ნების ელჩმა.

# „ჩემმა შვილებმა თავიანთი მონდომებითა და შრომით ყველა მოლოდინს გადააჭარბეს“

დღე ბოლომდე მიმეყვანა. მანამდე კი იმაზე ვფიქრობდი ხოლმე, ვის გაჰყავდა ძაღლი სასეირნოდ, ვინ აკეთებდა საუზმეს და ვის ავიწყდებოდა კბილების გახეხვა“. ოჯახის სიმტკიცესა და ერთიანობაზე ისაუბრა GOOD MORNING AMERICA-ში სტუმრობის დროსაც, სადაც აღნიშნა, რომ ის და ბრედი მაქსიმალურად ცდილობენ ბავშვებს ამ პერიოდის უმტკივნეულოდ გადალახვაში დაეხმარონ: „ერთმანეთთან ჯანსაღი ურთიერთობები გვაკავშირებს და დაბრკოლებებს არ ვუშინდებით. ბრედი შესანიშნავი მამაა და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყოველთვის ერთ ოჯახად დავრჩებით“.

რაც შეეხება ანჯელინასა და კამბოჯას „ურთიერთობას“, ის ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა მსახიობი LARA CROFT: TOMB RAIDER-ში მონაწილეობდა. ქვეყანაში მეორე ვიზიტისას უკვე მედოქსი იშვილა. ალბათ ამიტომაცაა, რომ იქაურობას „მეორე სახლს“ უწოდებს. ენჯის სარეჟისორო ნამუშევარი – FIRST THEY KILLED MY FATHER – წითელი ქხმერების მიერ კამბოჯაში განხორციელებულ გენოციდზე მოგვითხრობს, რომელიც 1970-იანი წლებით თარიღდება. ეს არის ლუნგ უნგის ისტორია – ადამიანის, რომელიც ამ ტრაგედიას გადაურჩა და მოგვიანებით ანჯელინას შვილების საყვარელ „დეიდად“ იქცა.

ფილმის პრემიერამ საოცარი ოვაციების ფონზე ჩაიარა. ანგკორ-თომის უძველესი ქალაქის შემორჩენილი ნაწილი, რომელსაც „სპილოების ტერასას“ უწოდებენ, სტუმრებს მზის ჩასვლის ჯადოსნური პეიზაჟით უმასპინძლდებოდა. „თავი ზღაპარში მეგონა. ფილმმა აუდიტორიაზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა“, – იხსენებს რითი პანი, წითელ ქხმერებს გადარჩენილი კამბოჯელი რეჟისორი და ფილმის პროდიუსერი, – „ეს ამბავი კამბოჯაში მცხოვრებ თითოეულ ოჯახს ეხება. სიუჟეტში ყველა პოულობს კარგად ნაცნობ დეტალებს, სიტუაციებს, შეგრძნებებს. ნამუშევარი აქაურ მაყურებლებს თავიანთ ისტორიებს ახსენებს და ისინი ლაპარაკს იწყებენ – ახალ თაობას ოჯახის მაშინდელი სიმტკიცის, სიმამაცისა და გმირობის ამბებს უყვებიან. FIRST THEY KILLED MY FATHER ყველას აერთიანებს და უამრავ შეკითხვას პასუხობს“.

HELLO!-სთან ისაუბრა ლუნგმაც, რომელმაც ანჯელინას კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა: „არც ვიცი, როგორ გადავუხადო მადლობა ამ ფილმის შემქმნელს. გარდა იმისა, რომ საოცარი მეგობარია, ასეთივე საოცარი ჰუმანიტარი, რეჟისორი და დედაა. ნამუშევარში მთელი სიყვარული და პატივისცემა ჩააქსოვა, რაც ყველა კადრში ჩანს. უამრავი ადამიანის გულს შეეხო და ჟრუანტელი მივლის, როცა წარმოვიდგენ, რომ იქ, სამოთხეში, მამაჩემი, დედაჩემი და ყველა კამბოჯელი, რომელიც ამ სისასტიკეს ემსხვერპლნენ, ამაყად იღიმიან“.

ანჯელინას თქმით, ფილმში განსაკუთრებული წვლილი მისმა საამაყო შვილმა – მედოქსმა შეიტანა: „გამომიცხადა, რომ მზად იყო ფილმზე სამუშაოდ და საამისოდ დიდი სურვილიც ჰქონდა. სცენარს გაეცნო, შენიშვნები შეიტანა და ყველა საქმიან შეხვედრას დაესწრო“. სა-



„ეს ფილმი წარსულის უბედურებაზე კი არა, კამბოჯელების სიკეთის, ნიჭიერებისა და შეუპოვრობის გამარჯვებაზე მოგვითხრობს“, – აღნიშნა ანჯელინამ HELLO!-სთან საუბრისას.

კუთარი თავის წარმოჩენა მედოქსს არც პრემიერაზე გასჭირვებია. მან 10000-იან აუდიტორიას სიამაყით მიმართა: „გმადლობთ მობრძანებისთვის. ჩვენ ეს შევძელით! ჩემთვის დიდი პატივია, ჩემს ოჯახთან ერთად თქვენ წინაშე ვიდგე და ამ ფილმს წარვადგენდე. ამავეს განიცდის ჩემი პატარა დაიკო – შაილო, რომელსაც რაღაცის თქმა უნდა“. მას შემდეგ, რაც მიკროფონი 10 წლის შაილოს გადაეცა, გოგონამ ქხმერულ ენაზე თქვა: „მე შაილო მქვია და მე მიყვარს კამბოჯა!“

რასაკვირველია, აუდიტორიას თავად რეჟისორმაც მიმართა. „თქვენ მენდეთ და ყველაზე მტკივნეული ისტორიები გამიმხილეთ. არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ. ეს ფილმი წარსულის უბედურებაზე კი არა, კამბოჯელების სიკეთის, ნიჭიერებისა და შეუპოვრობის გამარჯვებაზე მოგვითხრობს“, – აღნიშნა ჯოლიმ და დასძინა: „რაც ყველაზე მთავარია, ამ ნამუშევრით მადლობას ვუხდი კამბოჯას, რომლის გარეშეც ვერასოდეს გავხდებოდი დედა. ჩემი გულის ნაწილი ყოველთვის აქ იქნება და ამ ქვეყნის ნაწილი მუდამ იქნება ჩემს გულში“.

HELLO!-მ ანჯელინასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა და ახალი ფილმის რეჟისორს წარმატებულ პრემიერასა და ოჯახის თანადგომაზე ესაუბრა.

**ანჯელინა, თქვენი ახალი ნამუშევრის პრემიერას ათასობით კამბოჯელი დაესწრო და მათ შორის მეფე და დედოფალიც იყვნენ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს ამბავი?**

ა.ჯ. რასაკვირველია, ჩემთვის ეს დიდი პატივია. ყველაზე მეტად იმოქმედა იმან, რომ ჩემ წინ ყველა ასაკის ადამიანი იყო შეკრებილი და ფილმს თითოეული მათგანი ერთნაირად განიცდიდა.

**როგორი შეგრძნება იყო კამბოჯაში გამართულ პრემიერაზე მედოქსის გვერდით დგომა?**

ა.ჯ. კამბოჯამ დედობის ბედნიერება მაჩუქა და ჩემი ცხოვრება დიდი ხნის წინ ძირფესვიანად შეცვალა. არასოდეს დამავიწყდება მომენტი, როდესაც მედოქსი ჩემ გვერდით იდგა და ჩვენს ნამუშევარს წარადგენდა.

**ფილმზე მედოქსი და პაქსიც მუშაობდნენ. ალბათ ძალიან ამაყობთ...**

ა.ჯ. შვილებით ყველა დედა ამაყობს, მაგრამ გულწრფე- ▶

## შაილოს კამბოჯაში ბევრი ახლო მეგობარი ჰყავს. გოგონამ აუდიტორიას სცენიდან ქხმერულად მიმართა: „მე შაილო მქვია და მე მიყვარს კამბოჯა!“





**„ეს კამბოჯელების ამბავია – მათ ეკუთვნით და რასაკვირველია, ფილმი პირველებს სწორედ მათ უნდა ენახათ“**

**ფილმის პრემიერამ საოცარი ოვაციების ფონზე ჩაიარა. სურათის კამბოჯურ პრემიერას ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის მეფე და დედოფალიც იყვნენ.**



ლად უნდა ვაღიარო, რომ თავიანთი მონდომებითა და შრომით ჩემს ყველა მოლოდინს გადააჭარბეს. იმედი მაქვს, რომ ჩემს სამომავლო პროექტებშიც ჩაერთვებიან. ვინაიდან ფილმი ბავშვის თვალით დანახულ ამბავს მოგვითხრობს, საინტერესოდ მივიჩნიე, რომ გადაღებების პროცესი ფოტოებზე პაქსს აღებეჭდა – მისი ასაკი და ემოციური მდგომარეობა ამისთვის იდეალური იყო.

**შაილომ აუდიტორიას ქხმერულად მიმართა. აშკარაა, რომ კამბოჯასთან მასაც ბევრი რამ აკავშირებს...**

ა.ჯ. შაილოს იქ უახლოესი მეგობრები ჰყავს. ზოგადად, კამბოჯა ჩვენი დიდი ოჯახის ნაწილია და იქ თავს ყოველთვის ისე ვგრძნობთ ხოლმე, როგორც საკუთარ სახლში. ხალხთანაც ძალიან ახლოს ვართ.

**როგორ ჩაიარა გადაღებებმა?**

ა.ჯ. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ფილმს ერთი ოჯახის წევრები ვიღებდით. ლუნგს ბავშვობიდან ვიცნობ და ჩემი შვილებისთვის დეიდასავით ძვირფასია. ასეთ მძიმე და მნიშვნელოვან თემებზე ერთობლივად მუშაობა ხალხს ძალიან აახლოებს. ფაქტობრივად, ერთ დიდ ოჯახად ვიქეცით.

**ფილმი ქხმერულ ენაზეა და მასში მხოლოდ კამბოჯელები მონაწილეობენ. რა სირთულეებს გადაეყარეთ გადაღებების დროს და რამ გაგაკვირვათ ყველაზე მეტად?**

ა.ჯ. ყველაზე მეტად ბავშვების თამაშმა გამაოცა. მეგონა, მათთან ბევრი მუშაობა მომიწევდა, მაგრამ გამაოგნეს – საოცარი პროფესიონალიზმი გამოავლინეს და როლები სანიმუშოდ შეასრულეს. უმეტესობა პირველად თამაშობდა. მათ არასოდეს ჰქონიათ უდარდელი ცხოვრება, ამიტომ სიუჟეტის ემოციები მარტივად გაითავისეს. კარგად ესმოდათ ამ ამბის მნიშვნელობა, და საქმეს, რომელიც მათი სამშობლოს წარსულს ეხებოდა, შესაშური სერიოზულობითა და მონდომებით უდგებოდნენ.

**როგორც უკვე აღნიშნეთ, თქვენ და ლუნგ უნგი დიდი ხნის მეგობრები ხართ და ერთმანეთს 16 წლის ასაკიდან იცნობთ...**

ა.ჯ. ერთმანეთს ლტოლვილების ამბებზე მუშაობისას შევხვდით და მალევე დავახლოვდით. როცა ქარიან ღამეში ვინმესთან ერთად ჰამაკში ზიხარ და სხვადასხვა თემაზე საუბრობ, სწრაფად უმეგობრდები...

**რითი პანიც თქვენთან ერთად მუშაობდა. რამდენად დაგეხმარათ მისი ხედვა?**

ა.ჯ. ის არის ადამიანი, რომელმაც გენოციდის ჯოჯოხეთი საკუთარ თავზე გამოსცადა და ამ სისასტიკის ზუსტად გადმოცემაში დამეხმარა. გულწრფელად გეტყვით, რომ ის ჩემი საყვარელი რეჟისორი, არაჩვეულებრივი პროფესიონალი, ადამიანი და პარტნიორია. უკეთესს ვერც ვინატრებდი და მის გარეშე ეს ფილმი ვერ შეიქმნებოდა.

**რამ გადაგაწყვეტინათ, რომ პრემიერა კამბოჯაში გაგემართათ?**

ა.ჯ. ეს კამბოჯელების ამბავია – მათ ეკუთვნის. ამიტომ, რასაკვირველია, ფილმი პირველებს სწორედ მათ უნდა ენახათ. შევარჩიეთ ადგილი, რომელიც კულტურულ დატვირთვას ატარებდა და მაქსიმალურად ბევრ მაყურებელს იტევდა. მეორე დღეს ჩვენებაზე 5000-ზე მეტი ადამიანი მოვიდა! სკამებიც კი არ იყო – თავისივე პლედებზე ისხდნენ და ასე უყურებდნენ ისტორიას, რომელიც ყველაზე მეტად სწორედ მათ ეხებოდათ... H

ტექსტი: MICHELLE JOHNSON. ROSALIND POWELL. ფოტო: GETTY IMAGES.

# BEAUTY CONSULTING GROUP

SPA CONCEPT • NATALI GROUP

## ნატალი ჯგუფი - 21 წელი სილამაზის ინდუსტრიაში




### ჩვენ შესახებ

მომსახურების სრული პაკეტი როგორც ბიზნესის შესაქმნელად სპა და სილამაზის სფეროში ასევე თქვენი პირადი კომფორტისთვის სახლის პირობებში.(სასტუმროები, სილამაზის და ესთეთიკური ცენტრები და სხვ.)

ნატალი ჯგუფი გთავაზობთ ცოდნას, 21 წლიან გამოცდილებას,მაღალი ხარისხის სერვისს და ინვენტარს. ჩვენი საკონსულტაციო ჯგუფი მზად არის მოგაწოდოთ:

-იდეა
-დიზაინი
-დაგეგმარება
-ავეჯი
-პროდუქცია
-აქსესუარები
-პროექტის განხორციელება
-ბიზნესის ამუშავება
და ფუნქციონირება.

სპა კონცეპტის მიზანია მიაღწიოს თქვენთვის სასურველ შედეგს თქვენი სურვილების და ნებისმიერი წვრილმანის გათვალისწინებით.

მობრძანდით და ნახეთ როგორ იქცევა თქვენი სურვილი რეალობად.

### პარტნიორული პროექტები

ნატალი ჯგუფი, როგორც **GERMAINe DE DE CAPUCCINI**-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში,სპა პროდუქციით უზრუნველყოფს სასტუმროებს:

**RIXOS BORJOMI HOTEL**
**BILTMORE HOTEL**
**AMBASSADOR HOTEL**
**SHERATON BATUMI HOTEL**

### სპა კონცეპტი გთავაზობთ ევროპული ლიდერი კომპანიების პროდუქციას

- ორთქლის და თურქული აბაზანები
- ფინური და რუსული საუნები
- მარილების კაბინები
- არომათერაპიის კაბინები
- ყინულის ოთახები
- ემოციური საშხაპეები
- სველი მაგიდები
- მაგიდები ჰიმალაის მარილით
- ჰიდროთერაპიის აბაზანები და ჯაკუზი
- მინი აუზები და მკურნავი სავარძლები
- მასაჟის ტახტები(ელექტრო, ჰიდრავლიკური და სხვ.)
- მრავალფუნქციური სპა მაგიდები
- ორთქლის დანადგარები
- სტერილიზატორები
- აქსესუარები სარიტუალო მასაჟისთვის
- ელექტროთერაპიის აღჭურვილობა
- მანიკურის მაგიდები
- პედიკურის სავარძლები
- სილამაზის სალონის ავეჯი
- ლაზერული აპარატები ესტეტიკურ და ქირურგიულ მედიცინაში.
- სოლარიუმები
- სახის,ტანის,თმის,ხელების და ფეხების მოვლის საშუალებები.








SPA CONCEPT
NATALI CONSULTING GROUP

ცინცაძის ქ.12 თბილისი
საქართველო 0160
ტელ: +995(0)32 245 45 93
მობ: +995 577 50 70 38

**www.spaconcept.ge**
**www.natali.ge**

# LUXURY WEDDINGS

## ქეთა თოფურია და ლევ გეიხმანი

მომღერალ ქეთა თოფურიასა და ბიზნესმენ ლევ გეიხმანის ქორწილი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ და ძვირადღირებულ ღონისძიებად რჩება. ქეთამ ამ დღეს ორი მოვლენა იზეიმა – პატარძალმა ქორწილი საკუთარ დაბადების დღეს დაამთხვია. გრძნობებში 3-წლიანი გარკვევის შემდეგ, ქეთა ლევ გეიხმანს ცოლად 2013 წლის სექტემბერში გაჰყვა, თუმცა მნიშვნელოვან დღემდე ცნობილი რუსული ჯგუფის სოლისტმა დიდი სამზადისი გამოიარა. ის საოცნებო საპატარძლო კაბის შესარჩევად მოდის მექაში – პარიზში გაემგზავრა. ლამაზმანმა არაერთი ცნობილი მოდის სახლი მოიარა, თუმცა არცერთ მათგანს არ გაუმართლა ისე, როგორც სტეფან როლანს. ამ უკანასკნელის ანგარიშზე კაბების ისეთი ვარსკვლავებისთვის შექმნაა, როგორებიც ლედი გაგა, ბიონსე, შერილ კოული, კიმ კარდაშიანი,  და სხვები არიან. აბრეშუმისა და ატლასის სინთეზით შექმნილი კაბის დამზადებას, რომლის კორსეტიც SWAROVSKI-ის თვლებით იყო მოქარგული, რეკორდული დრო დასჭირდა. ეს ატრიბუტი 1 თვეში შეიკერა.

თავდაპირველად, ქეთას და ლევის ქორწილის ჩატარება საფრანგეთის ერთ-ერთ უძველეს ციხესიმაგრეში იგეგმებოდა, თუმცა გარკვეული სირთულეების გამო, საბოლოოდ წყვილმა არჩევანი ელიტარულ კომპლექსზე შეაჩერა. ჯგუფ A-Studio-ს ქართველი სოლისტის ბედნიერი დღე, მასთან ერთად 200-ზე მეტმა სტუმარმა აღნიშნა.

შემსრულებლის საპატარძლო კაბა ისეთივე გამორჩეული და პომპეზური გახლდათ, როგო-



კაბის სიდიდის გამო, მომღერალს გადაადგილებაში მისი მეგობრების შვილები ეხმარებოდნენ, რომლებსაც შლეიფი მოჰქონდათ.





რიც თავად მომღერლის ხასიათია. კაბის სიდიდის გამო, ქეთას გადაადგილებაში მისი მეგობრების შვილები ეხმარებოდნენ, რომლებსაც შლეიფი მოჰქონდათ. ღამის ორი საათისთვის კი ლამაზმანმა მეორე, შედარებით მოკრძალებული საპატარძლო კაბა მოირგო.

საღამოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი თაიგულის სროლა გახდა. A-Studio-ს ულამაზესი სოლისტის ბედის გასაზიარებლად, მსურველები სცენაზევე შეიკრიბნენ. ქეთას თაიგულის დაჭერის პატივი კი ცნობილი ჯგუფის მენეჯერის – ევგენი სელეზნიოვის 14 წლის ქალიშვილს ერგო. ▶

ფოტო: ANNA TEMERINA, ANNA MAKAREVICH.





**საპატარძლო კაბა ისეთივე გამორჩეული და პომპეზური გახლდათ, როგორც თავად მომღერლის ხასიათია**



ქორწილის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი სტუმრების წინაშე ნატას გამოჩენა იყო



ნატამ კაბის შექმნა Zuhair Murad-ს მიანდო სპეციალურად კაბისთვის მანვე შექმნა დიადემა.

## ნატა ფხაკაძე და მიხაილ ჩიგირინსკი

ერთ-ერთი ზღაპრული წვეულება, რომელზეც საქართველოში დღემდე საუბრობენ, ცნობილ ბიზნესმენ ვახტანგ ფხაკაძის ქალიშვილის – ნატა ფხაკაძის, და რუსი ოლიგარქის ვაჟის – მიხაილ ჩიგირინსკის ქორწილია. ბედნიერი დღე წყვილმა ორჯერ აღნიშნა.

ქორწილისთვის სამზადისი ხუთი თვით ადრე დაიწყეს. ამ დღეზე დიდი ხანი ოცნებობდნენ, ამიტომ იმთავითვე ზუსტად იცოდნენ, რა სურდათ. თავიდან გაცილებით „კომპაქტური“ ქორწილი იგეგმებოდა საზღვარგარეთ, მაგრამ 1000 ადამიანის გადაადგილება პრობლემა აღმოჩნდა, ასე რომ არჩევანი მოსკოვზე შეაჩერეს.

ნატა ამბობს, რომ იდეალური ქორწილის დასაგეგმად გვერდით „სწორი“ ადამიანის ყოფნაა საჭირო. აღმოჩნდა, რომ მისი და მიხაილის გემოვნება იდეალურად ემთხვევა ერთმანეთს. ერთადერთი, რასაც პატარძალი ყოველთვის თავისებურად აკეთებს, საპატარძლო კაბის არჩევანია, რომლის საპოვნელად ლამაზმანი ქორწილამდე ხუთი თვით ადრე პარიზში გაემგზავრა. მოდის ბევრი სახლი მოიარა თუ ცოტა, საბოლოოდ კაბის შექმნა Zuhair Murad-ს მიანდო. სპეციალურად კაბისთვის მანვე დაამ-

## პატარძალი ამბობს, რომ იდეალური ქორწილის დასაგეგმად სამი პუნქტის შესრულებაა საჭირო: გვერდით უნდა გყავდეთ საყვარელი ადამიანი, უნდა გქონდეთ გემოვნება და იპოვოთ კარგი ორგანიზატორი

ზადა დიადემა. საპატარძლო კაბისთვის Manolo Blahnik-ის ლიმიტირებული მოდელი შეირჩა. ზუსტად ასეთი ფეხსაცმელი ეცვა Twilight-ში კრისტენ სტიუარტის გმირს ქორწილის დროს.

ნატა ფხაკაძისა და მიხაილ ჩიგირინსკის ქორწილს 1000-მდე სტუმარი დაესწრო. ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ მათ უმეტესობას რუსეთის ნაღები საზოგადოება წარმოადგენდა. სტუმრებს შორის გახლდათ ქეთა თოფურიაც.

ქორწილის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი სტუმრების წინაშე ნატას გამოჩენა გახლდათ. ასეთივე ემოციური იყო მამასთან – ვახტანგ ფხაკაძესთან ერთად შესრულებული ცეკვა.

ქორწილის მეორე დღისთვის წყვილმა ლოკაციად კინოთეატრი „მოსკოვი“ შეარჩია, სადაც ნატა ქართველი დიზაინერის – ჯაბა დიასამიძის მიერ შექმნილი მეწამული ფერის ბუმბულებიანი კაბით გამოცხადდა.

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პატარძალი ამბობს, რომ იდეალური ქორწილის დასაგეგმად სამი პუნქტის შესრულებაა საჭირო: გვერდით უნდა გყავდეთ საყვარელი ადამიანი, უნდა გქონდეთ გემოვნება და იპოვოთ კარგი ორგანიზატორი.

**ტექსტი:** ნინუცა მაისურაძე. **ფოტო:** RESHAT ALIEV, INHO KO.






ქორწილის მეორე დღისთვის წყვილმა ლოკაციად კინოთეატრი „მოსკოვი“ შეარჩია, სადაც ნატა ქართველი დიზაინერის – ჯაბა დიასამიძის მიერ შექმნილი მეწამული ფერის ბუმბულებიანი კაბით გამოცხადდა.



## ექსკლუზიური მოსაწვევი HELLO!-ს მკითხველებს

# გაიცანით მომავალი დედოფლები

### კაბები, გლამური, სტუმრების სია და ვარსკვლავები, რომლებიც ქორწილისთვის ემზადებიან

გაზაფხული თითოეული ჩვენგანისთვის ბევრი სიახლის მომტანია, თუმცა განსაკუთრებული დრო დგება მათთვის, ვინც საქორწინო ფიცის დასადებად ემზადება და ცხოვრების გაგრძელებას საყვარელ ადამიანებთან ერთად აპირებს. გამონაკლისს არც მსოფლიო ვარსკვლავები წარმოადგენენ. სცენის, ეკრანის, სპორტისა თუ პოდიუმის ცნობილი სახეები ყველაზე ბედნიერი წვეულებისთვის ემზადებიან და სიხარულს გულშემატკივრებსაც უზიარებენ. საქორწილო ციებცხელებაში ჩართულთაგან ყველაზე გამორჩეულები პიპა მიდლტონი, როუზი ჰანტინგტონ-უაიტლი და მირანდა კერი არიან. სტუმართა სიაში კი განსაკუთრებული ადგილი პრინც ჯორჯსა და პრინცესა შარლოტას უჭირავთ – ისინი დეიდის გათხოვებას მაისის თვეში იზეიმებენ. კაბების მოზომვის, ყვავილების შერჩევისა და დეკორაციების მომზადების პროცესი უკვე დაწყებულია. შედგენილია სტუმართა სრული სიაც. მანამდე კი, სანამ საკურთხეველთან საბოლოოდ დაადასტურებენ ოჯახის შექმნის სურვილს, ამ წლის გამორჩეულ პატარძლებს გაგაცნობთ.



ირინა შეიკი და მისი რჩეული ჰოლივუდელი ბრედლი კუპერი, რომლისგანაც შვილსაც ელოდება.



# პოდიუმის დედოფლები

რამდენიმე მოდელი მალე ყველაზე საპასუხისმგებლო ბილიკს გაივლის და საკურთხეველთან საქორწინო ფიცს დადებს. პირველი მათგანი ინგლისელი როუზი ჰანტინგტონ-უაიტლი იქნება. მისი რჩეული 49 წლის მსახიობი – ბრაიტონ ჯეისონ სტეტჰემია. როგორც ამბობს, ამ მამაკაცმა როუზიზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა. მათი ურთიერთობა უკვე შვიდ წელზე მეტს ითვლის. ნიშნობის შესახებ ინფორმაციამ კი „ოქროს გლობუსის“ რიგით 73-ე დაჯილდოებაზე გაჟონა. მაყურებლები თვალს ვერ აშორებდნენ მოდელის ბრილიანტის ბეჭედს, რომელიც მინიმუმ 250 000 დოლარი ეღირებოდა. რასაკვირველია, ვარსკვლავური წყვილის ქორწილი სავსე იქნება გლამურული დეტალებითა და ტრადიციული ელფერით. როგორც ამბობენ, მრავალფეროვნება მენიუს ასორტიმენტსაც დაეტყობა.

დაოჯახებას ავსტრალიელი მირანდა კერიც გეგმავს. მისი მომავალი მეუღლე 26 წლის მილიარდერი ევან სპიგელია, რომელიც ცნობილი აპლიკაციის – SNAPCHAT-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. შეგახსენებთ, რომ 33 წლის მოდელი მანამდე ორლანდო ბლუმის ცოლი გახლდათ და მისგან 5 წლის ვაჟიშვილიც ჰყავს. ევანზე საუბრისას მირანდა აღნიშნავს: „ჩვენ საერთო ღირებულებები გვაქვს – ლოიალურობა, ოჯახის სიყვარული და გულწრფელობა. ევანი ჩემი სულიერი მეგობარია“.

აი, ირინა შეიკის ცხოვრება კი ძირფესვიანად იცვლება. რუსი მოდელი არა მხოლოდ დაოჯახებას, არამედ ბავშვის გაჩენასაც აპირებს. ეს ცხადი გახდა VICTORIA'S SECRET-ის პარიზულ შოუზე, სადაც შეიკს აშკარად ეტყობოდა ოდნავ მოზრდილი მუცელი. როგორც უკვე ყველამ იცის, მისი რჩეული ბრედლი კუპერია. მათი ერთობლივი გეგმების შესახებ ბევრი დაიწერა, თუმცა ზუსტად როდის იქნება ქორწილი, ან როდის გაჩნდება ბრედლისა და ირინას პირველი შვილი, ჯერჯერობით უცნობია. ▶



როუზი ჰანტინგტონ-უაიტლი და მისი საქმრო – ჯეისონ სტეტჰემი, მალე ვარსკვლავურ ოჯახს შექმნიან.



მირანდა კერი საქმროზე, ევან სპიგელზე, ყოველთვის გაბრწყინებული თვალებით საუბრობს და ამბობს, რომ ისინი სულიერი მეგობრები არიან.

# სამეფო პატარძლები

ვინაიდან ბრიტანეთის სამეფო ოჯახში დიდი ქორწილი ჯერ არ იგეგმება, ყველა მოუთმენლად ელის არანაკლებ მნიშვნელოვან წვეულებას, რომელიც მაისში გაიმართება. საუბარია 33 წლის პიპა მიდლტონის ქორწილზე. კეიტის უმცროსი და ცოლად 41 წლის ჯეიმს მეთიუსს მიჰყვება. რასაკვირველია ცერემონიას და წვეულებას კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინიაც დაესწრებიან. ჯორჯი და შარლოტა კი ფორმალურ როლებს მოირგებენ – პატარა პრინცი ბეჭდებს დაიჭერს, პრინცესა კი საპატარძლო წითელ ხალიჩას ყვავილებით შეამკობს. გამორიცხული არ არის, ქორწილს პრინცი ჰარიც დაესწროს. იმასაც ვარაუდობენ, რომ ის ამერიკელ შეყვარებულთან – სერიალის SUITS მსახიობ მეგან მარკლთან ერთად გამოჩნდება.

უკვე ცნობილია, რომ საეკლესიო ცერემონია, რომელსაც 100-მდე ადამიანი დაესწრება, ბერკშირის წმინდა მარკოზის ტაძარში გაიმართება. წვეულება კი პატარძლის მშობლიურ სახლთან, ღია სივრცეში მოეწყობა. „პიპა ტრადიციების მიმდევარია და ძალიან უნდოდა ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება სახლთან ახლოს გამართულიყო“, – გაუმხილა HELLO!-ს მიდლტონების მეგობარმა, – „ყველამ იცის, რომ გასაგები მიზეზების გამო, ამ ქორწილის მიმართ უზარმაზარი ინტერესია, მაგრამ პიპას ოჯახი მაქსიმალურად ცდილობს პირადი სივრცის შენარჩუნებას“.

განსაკუთრებულად აინტერესებთ იმ დიზაინერის ვინაობა, რომელსაც პატარძალი აირჩევს. არანაკლებ ელიან თაიგულის გადაგდების მომენტსაც – ყველა იმედოვნებს, რომ ყვავილებს 35 წლის მეგან მარკლი დაიჭერს და მალე საკუთარ სამეფო ქორწილსაც გამართავს. სხვა თუ არაფერი, უკვე საუბრობენ იმაზე, რომ მსახიობის ოჯახს ძალიანაც მოსწონს პრინცი ჰარი. მეგანის ნახევარძმა – თომას მარკლ უმცროსი აღნიშნავს, რომ მამამისი პრინცს ექვსი თვის წინ შეხვდა: „მამაჩემს ძალიან უხარია ჰარისა და ჩემი დის ამბავი. ერთად ისე ბედნიერად გამოიყურებიან, როგორ არ უნდა გიხაროდეს?! მეგანი ყურებამდეა შეყვარებული. ის მხიარული, ძალიან, ძალიან კარგი გოგოა, და ჩემი აზრით პრინც ჰარის საოცრად გაუმართლა“.









წლის პირველი ვარსკვლავური ქორწილის მთავარი გმირები პიპა მიდლტონი (მარცხნივ) და მისი რჩეული – ჯეიმს მეთიუსი (ქვევით მარცხნივ, პიპასთან ერთად) იქნებიან. წვეულებას პრინცი ჰარიც (ზევით მარჯვნივ) ესტუმრება, რომელიც, სავარაუდოდ, ამერიკელ შეყვარებულთან – მეგან მარკლთან (ზევით მარცხნივ) ერთად გამოჩნდება.



# ჰოლივუდელი პატარძლები

ჰოლივუდის ვარსკვლავები ყველაზე მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად ემზადებიან. ისინი ამჯერად ნამდვილი პატარძლები იქნებიან და რეალურ ოჯახებს შექმნიან. მუსიკოსმა ალექს გრინვალდმა „ოსკაროსან“ ბრი ლარსონს ხელი ტოკიოში მოგზაურობისას სთხოვა. მას შემდეგ კი, რაც მსახიობმა ROOM-ში შესრულებული როლისთვის „ოსკარი“ დაიმსახურა, საყვარელ მამაკაცს საჯაროდ მიმართა: „ალექს გრინვალდ, მიყვარხარ და ეს ჩემთვის ყველაფერია!“ შემდეგ კი ინტერვიუშიც სიყვარულით აღნიშნა: „ის ჩემი მეორე ნახევარია, ჩემი ყველა კითხვის პასუხია, ჩემი საუკეთესო მხარე და საუკეთესო მეგობარია“.

როგორც კულუარებში ამბობენ, განსაკუთრებული დღისთვის ემზადება კეიტ აპტონიც, რომელმაც მკაცრი დიეტა დაიწყო და ტკბილეული ხილით ჩაანაცვლა. როგორც ჩანს, 24 წლის მოდელი და მსახიობი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საკუთარ ქორწილში იდეალურად გამოიყურებოდეს. ის ჯერ კიდევ გასული წლის მაისში დაინიშნა ბეისბოლის ვარსკვლავზე – 33 წლის ჯასტინ ვერლანდერზე, რომელთან ერთად ბევერლი-ჰილსზე 5 მილიონად ღირებული სახლიც შეიძინა.

აპრილში უნდა დაგვირგვინებულიყო 31 წლის ამანდა სეიფრიდის რომანიც. MAMMA MIA!-ს ვარსკვლავი და 40 წლის თომას სადოსკი, ერთმანეთს სპექტაკლში THE WAY WE GET BY თამაშისას შეხვდნენ. მათი მეგობრობა მალევე გადაიზარდა სიყვარულში და შემოდგომაზე ნიშნობითაც დადასტურდა. მაშინ კი, როცა გულშემატკივრები ქორწილის ზუსტი თარიღის გამოცხადებას ელოდნენ, ჯეიმს კორდენის შოუში მისულმა თომასმა ამანდა მეუღლედ მოიხსენია და საჯაროდ აღიარა, რომ რჩეულზე ყველასგან მალულად, ყოველგვარი წვეულების გარეშე დაქორწინდა. H







ამანდა სეიფრიდსა (მარჯვნივ) და თომას სადოსკის (ქვევით მარცხნივ, ამანდასთან ერთად) ერთმანეთთან ხანგრძლივი რომანი აკავშირებთ. ასეთივე ურთიერთობა აქვთ კეიტ აპტონსა და ჯასტინ ვერლანდერს, რომლებიც ყოველთვის იდეალურად გამოიყურებიან (ქვევით მარცხნივ). ბედნიერებას ვერ მალავს „ოსკაროსანი“ ბრი ლარსონიც, რომელიც ალექს გრინვალდზე (ზევით მარცხნივ) ყურებამდეა შეყვარებული.

ფოტო: ALAMY. FAME FLYNET UK. FILM MAGIC. GETTY IMAGES. MEGA. REUTERS. REX FEATURES. SPLASH NEWS. VANTAGE NEWS. WIREIMAGE










# ECCO & GEOX ახალი კოლექციები ახალ მაღაზიებში

**კომპანია ICR**-მა, რომელიც საქართველოში ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, აქსესუარების, ავეჯისა და კვების ობიექტების წარმომადგენელია, ფეხსაცმლის ორი საერთაშორისო ბრენდის – **ECCO**-სა და **GEOX**-ის ახალი მაღაზიები გახსნა.

დანიური ბრენდი **ECCO** თბილისში აქამდე ორ მისამართს ითვლიდა, სულ ცოტა ხნის წინ კი გაფართოვდა და ბინა ***„ისთ-ფოინთში“*** დაიდო. **ICR**-ის წარმომადგენელმა HELLO!-ს გაუმხილა, რომ ფილიალის გახსნა სულ მალე ***„თბილისი მოლშიც“*** იგეგმება. ***„ECCO-ს ახალი, 2017 წლის კოლექცია მოდის ახალი ტენდენციების***
















***გათვალისწინებითაა შექმნილი“***, – აღნიშნა ნინო მამუჩაშვილმა, – ***„რაც მთავარია, ეს ბრენდი ტრადიციას არ ღალატობს და წარმოებისთვის უახლეს ტექნოლოგიებს იყენებს“***.

ქსელის გაფართოება ამით არ დასრულებულა – 12 მარტს ბათუმში კიდევ ერთი კომბინირებული ფილიალი გაიხსნა, რომელმაც **ECCO** და **GEOX**-ი გააერთიანა. ეს უკანასკნელი აქამდე ორი მაღაზიით იყო წარმოდგენილი. ბათუმის შემდეგ კი, აპრილიდან, **GEOX**-ის გახსნა ***„თბილისი მოლშიც“*** დაიგეგმა.

იტალიური ბრენდი აწარმოებს ***„ფეხსაცმელს, რომელიც სუნთქავს“***. მისი კოლექციები ტრენდულობით გამოირჩევა და ევროპულ ბაზარზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ***„ბათუმში კომბინირებული მაღაზიის გახსნა მომხმარებლების მოთხოვნამ გადაგვაწყვეტინა“***, – აღნიშნა **ნინო მამუჩაშვილმა** HELLO!-სთან საუბრისას, – ***„ადგილობრივებისა და ტურისტებისთვის ყველაზე ხარისხიანი ფეხსაცმლის ორი უმსხვილესი ბრენდის მაღაზია გავაერთიანეთ“***.

შეგახსენებთ, რომ **ECCO**-სა და **GEOX**-ს საქართველოში საერთაშორისო კომპანია **ICR** წარმოადგენს. ის უკვე 25 წელზე მეტია, ქართველ მომხმარებელს ხარისხიანი ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და აქსესუარების ყველაზე პოპულარული ბრენდებით ამარაგებს. ჩამონათვალშია: **OKAIDI**, **OBAIBI**, **BATA**, **BAMBINO**, **STUDIO BY SHOES GALLERY**, **LABORATORY SHOES GALLERY**, **CORSO ITALIA**, **SKECHERS** და **PARFOIS**.





# თვის დღიური







## „ესპოს“ თასი 2017



ყველა გამოწვევა საინტერესოა. განსაკუთრებით ის გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებს. უკვე მე-7 წელია გუდაურში სათხილამურო ტურნირი **ESPO CHALLENGE** ტარდება და მოყვარულ სპორტსმენ **ლევან ცხვარაძის** სახელის მატარებელ შეჯიბრში ასობით ათლეტს აერთიანებს. ტურნირში, რომელიც ორ – გოგონებისა და ვაჟების კატეგორიად იყოფა, მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ორივე ჯგუფს 3-3 გამარჯვებული





**ტექსტი:** ნინუცა მაისურაძე. **ფოტო:** ბაჩო ტაბატაძე.








ჰყავს, მათ შორის საუკეთესო კი „**ესპოს**“ გარდამავალი თასის მფლობელი ხდება.

წელს გოგონებში საუკეთესო დროის ჩვენება და პირველი ადგილის მოპოვება **ლიზა** (პაწიკო) **აბრამიძემ** შეძლო. „**ესპოს**“ გარდამავალი თასის მფლობელი კი **გუგა რცხილაძე** გახდა. მთავარ ჯილდოსთან ერთად, ორგანიზატორებისგან მას ჯგუფ **Aerosmith**-ის კონცერტზე დასასწრები ორი ბილეთი გადაეცა.

სპორტსმენთა თხოვნით, წელს შეჯიბრზე პირველად დაუშვეს პროფესიონალი მოთხილამურეები. სიახლეა ისიც, რომ 2017 წელს „**ესპოს**“ თასის ორგანიზატორებმა კიდევ ერთი ნომინაცია დააწესეს – „ესპოს თასის ორგანიზატორთა სიმპათია“. აღნიშნულ ნომინაციაში **სანდრო ცისკარიძემ** გაიმარჯვა.









საგაზაფხულო საჩუქარი HELLO!-სგან

პირველი 3 გამომწერი

საჩუქრად მიიღებს ჩანთას MAY-სგან



# გამოიწერეთ ფასდაკლებით

HELLO! GEORGIA

38₾ ერთი წლით

DHL

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით HELLO! თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**


ალექსა ჩანგთან ერთად, GUCCI-ს ჩვენებას შარლოტა კასირაგი და სელმა ჰაიეკიც დაესწრნენ.

ᲢᲔᲥᲡᲢᲘ: ᲗᲐᲛᲗᲐ ᲚᲔᲟᲐᲕᲐ. ᲤᲝᲢᲝ: GETTY IMAGES.


1


2


3


4


5

*SHOPPING*

# *GET THE LOOK!*

**ალექსა ჩანგმა** **GUCCI**-ს ჩვენებაზე დასასწრებად ზედმიწევნით გაითვალისწინა მოდური პროტოკოლი. მოდელმა იტალიური მოდის სახლის მილანური ჩვენებისთვის მხოლოდ **GUCCI**-ს სამოსისა და აქსესუარების ტარება არჩია. ლურჯ კუბოკრულ პიჯაკთან ერთად ჩანგმა ნაქარგებიანი ჯინსის შარვალი, ტყავის ჩანთა ჯაჭვის საკიდითა და ვინტაჟური სტილის დახურული ქუსლიანი ფეხსაცმელი მოირგო. საკმაოდ ორიგინალურ Casual-სტილს ალექსამ სადად გაშლილი თმა და ბუნებრივი მაკიაჟი შეუხამა.

**1.** ტოპი წვრილი ბრეტელებით **BENETT** 290₾ **johnlewis.com; 2.** ლურჯი ანდროგენული პიჯაკი ზოლებით **ROMANO RIDOLFI** 630₾ **yoox.com; 3.** მაღალწელიანი ჯინსი ნაქარგებით **MANGO** 153₾; **4.** ტყავის ჩანთა ორმაგი ჯაჭვის სახელურით **ZARA** 270₾; **5.** შავი ფეხსაცმელი Midi ქუსლით **GABOR** 138₾ **gaborshoes.co.uk**




.ბელა ჰადიდმა **OSCAR DE LA RENTA**-ს ჩვენება კრისტალებით გაფორმებული ხავერდის შავი კაბით დახურა.













FASHION

# NEW YORK FASHION WEEK

სუპერმოდელების არმია ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ამ სეზონზე პოდიუმის მთავარ ვარსკვლავებად **ჯიჯი** და **ბელა ჰადიდები**, **კენდალ ჯენერი**, **ჯორდინ დანი** და **ჯოან სმოლსი** იქცნენ. მათგან შედარებით ახალბედა და გამოუცდელმა – **ბელა ჰადიდმა** სიამაყით განაცხადა, რომ **OSCAR DE LA RENTA**-ს შოუს დახურვის პატივი მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ემოციური პასუხისმგებლობა იყო. ***„ეს მომენტი ჩემი ცხოვრებისა და კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ***“, – აღნიშნა სუპერმოდელმა.

ამავდროულად, ჩვეული თავდაჯერებულობით გამოჩნდა პოდიუმზე ბელას უფროსი და – ჯიჯი, რომელიც **JEREMY SCOTT**-ის ჩვენებაზე **VICTORIA'S SECRET**-ის სხვა ანგელოზებთან – **სტელა მაქსველსა** და **ლეის რიბეიროსთან** ერთად ვიხილეთ. ჯიჯი მოდის კვირეულზე ლოს-ანჯელესიდან ჩავიდა, სადაც მოდელი **TOMMY HILFIGER**-თან ერთად კოლაბორაციაზე მუშაობდა. დასამახსოვრებელი იყო პოდიუმზე **კენდალ ჯენერის** გამოჩენაც – **ALEXANDER WANG**-ისა და **LA PERLA**-ს ჩვენებებზე მოდელმა ყურადღება ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, ახალი, მოკლე ვარცხნილობითაც მიიქცია. რეალითი-შოუს ვარსკვლავს მოდის კვირეულზე მისი უმცროსი და – კაილი ამხნევებდა, რომელიც ქალაქში საკუთარი ახალი კოსმეტიკური ხაზის გამო იმყოფებოდა.

თუმცა ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე მთელი ყურადღება სუპერმოდელებისკენ არ იყო მიმართული – **პარის ჰილტონმა**, რომელმაც **CHRISTIAN COWAN**-ის ჩვენებაზე მოდელის ამპლუა შეითავსა, ორი ავანგარდული LOOK-ი წარმოადგინა. ვარსკვლავების პრინტიანი ყელიანი ტოპისა და ქვედაბოლოს შემდეგ, პერისმა მეტალიკის კაბა-გვირგვინი მოირგო. ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იყო **PHILIPP PLEIN**-ის პირველ ნიუ-იორკულ ჩვენებაზე. **სოფია რიჩისთან** ერთად, შოუს რეპერი **FETTY WAP**-იც დაესწრო.





YEEZY-ს რიგით მეხუთე კოლექციას კიმ კარდაშიანიც დაესწრო.



პოპის დედოფალი მადონა, კაილი ჯენერი და რეპერი TYGA.



VOGUE-ის მთავარი რედაქტორი ანა ვინტური



LA PERLA

კენდალ ჯენერმა LA PERLA-ს შოუზე ოქროსფერმაქმანებიანი კაბა მოირგო. მოდელის ახალმა ვარცხნილობამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია – „მოდის კვირეული ახალი სტილის მორგებისთვის საუკეთესო დროა“, – აღნიშნა მან.



ANNA SUI



ZADIG & VOLTAIRE

**კეიტი ჰოლმსი**, მოდის კვირეულის ფარგლებში **AMERICAN HEART ASSOCIATION**-ის ღონისძიებას გაუძღვა, რომელსაც სხვა ცნობილ სახეებთან ერთად **ჯულიეტ ლუისი, ჯესი ჯეიმს დეკერი** და **რეიჩელ პლატენიც** დაესწრნენ. მოდის კვირეულმა მსოფლიო დონის ვარსკვლავებსაც მოუყარა თავი – **მადონა** და **სარა ჯესიკა პარკერი A-LIST** დიზაინერების ჩვენებებს საპატიო პირველი რიგიდან ადევნებდნენ თვალს. მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით ჯდომა არავის სურდა, რამდენიმე შოუს დაესწრო **დონალდ ტრამპის ქალიშვილი ტიფანიც**. ამერიკის პრეზიდენტის უმცროსი ქალიშვილი წინა რიგიდან ადევნებდა თვალს **TAORAY WANG**-ის ჩვენებას. სწორედ ჩინელმა დიზაინერმა იზრუნა მის საინაუგურაციო ჩაცმულობაზე.

ნიუ-იორკის მოდის კვირეულის ყველაზე გახმაურებული ჩვენების სტატუსი მოდის კრიტიკოსებმა ერთხმად მიანიჭეს **KANYE WEST**-ის ხაზის, **YEEZY**-ს რიგით მეხუთე სეზონის კოლექციას. ჰიჯაბებსა და ბეწვის გრძელ ლაბადებში გამოწყობილმა მოდელებმა, დადებით შეფასებასთან ერთად კრიტიკაც დაიმსახურეს. ავსტრალიელმა შემსრულებელმა – **სიამ**, შოუს დაწყებამდე **KANYE WEST**-ს საკუთარი TWITTER-ის მეშვეობით მიმართა და მოუწოდა, უარი ეთქვა ბუნებრივი ბეწვის გამოყენებაზე.

მეუღლის ჩვენებას ამაყად ადევნებდა თვალს **კიმ კარდაშიანი**, რომელიც საპატიო პირველ რიგში ტრადიციულად VOGUE-ის მთავარ რედაქტორ **ანა ვინტურთან** ერთად იჯდა. კარდაშიანების კლანი ამჯერად შოუზე სრული შემადგენლობით არ იყო წარმოდგენილი – ოჯახის ნაწილი ლოს-ანჯელესში იმყოფებოდა, კენდალი კი **YEEZY**-ს ჩვენების პარალელურად მიმდინარე, **ANNA SUI**-ს ჩვენებაში იღებდა მონაწილეობას. მოგვიანებით ჯენერი უფროს დასა და მის მეუღლეს წვეულებაზე შეუერთდა. მოდელმა მეგობარ **ბელა ჰადიდთან** ერთად მანამდე McDonald's-შიც შეიარა.



BURBERRY

ჰენრი მურის სკულპტურებით ინსპირირებული კოლექციის შექმნისას კრისტოფერ ბეილიმ დიდი დოზით მარგალიტი, ბუმბული, მაქმანი და მეტალის დეტალი გამოიყენა.

# LONDON FASHION WEEK

ფერადი და ეკლექტური – ლონდონის მოდის კვირეულის განწყობა და კოლექციები ასე მარტივად და კონკრეტულად შეფასდა. **BURBERRY**, **MULBERRY**, **SIMONE ROCHA** – ლეგენდარულ ბრიტანულ მოდის სახლებთან ერთად, წელს ლონდონმა **ROLAND MOURET**-ის ჩვენებასაც უმასპინძლა, რომელმაც პარიზიდან ბრიტანეთში დაბრუნება ბრენდის 20 წლის იუბილეს დაამთხვია.

**ნაომი კემპბელი**, **პენელოპა კრუზი**, **სუკი უოთერჰაუსი** და სხვა **A-LIST** ვარსკვლავები **კრისტოფერ ბეილის BURBERRY**-ს ჩვენებას წინა რიგებიდან ადევნებდნენ თვალს. კოლექციის ძირითადი ხაზი თეთრი პერანგები, მაქმანები და მოქანდაკე ჰენრი მურის სკულპტურებით ინსპირირებული სილუეტები და პრინტები იყო. ბრენდის საფირმო საწვიმარი ლაბადები ცხადია არც ამ სეზონზე მოხვდა უმცირესობაში – ბეილიმ უკვე კლასიკადქცეულ ფორმებს ამჯერად უფრო რომანტიკული და ნაზი შტრიხები შემატა.

***„ყველაზე მთავარია საკუთარი საქმიანობა ბედნიერებას განიჭებდეს. მუშაობის პროცესში თითოეული წუთით ვტკბები“***, – აღნიშნა დიზაინერმა ჩვენების შემდეგ. მის 2017 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციას სიხარული და დადებითი ემოციები ნამდვილად გასდევდა. დინამიკური და სექსუალური იყო **VERSUS VERSACE**-ს ჩვენება, სადაც სპორტული Tomboy-სტილი კოლექციის ძირითადი აქცენტი გახლდათ. სუპერმოდელმა დებმა – **ჯიჯი** და **ბელა ჰადიდებმა** იტალიური მოდის სახლის ლონდონურ ჩვენებაში



VERSUS VERSACE



ERDEM


ANTONIO BERARDI


MARY KATRANTZOU


CHRISTOPHER KANE

**დონატელა ვერსაჩეს** პირადი თხოვნით მიიღეს მონაწილეობა და შოუს მთავარ ვარსკვლავებადაც იქცნენ.

შემოდგომა-ზამთრის კოლექციისთვის უჩვეულოდ ნაზი, სადა ფერები და მინიმალისტური სილუეტები ლონდონის მოდის კვირეულის ძირითადი აქცენტები აღმოჩნდა – თუ არ ჩავთვლით **ANYA HINDMARCH**-ის, **SIMONE ROCHA**-სა და **MARY KATRANTZOU**-ს ფერად და მხიარულ კოლექციებს. სრულიად მოულოდნელი იყო პოდიუმზე ამ დოზით ნაქსოვი სამოსის ხილვა – ზამთრის თბილი სვიტერები **TOPSHOP UNIQUE**-ს ჩვენებაზე თხელი ფაქტურის ჩახსნილ ქვედაბოლოებთან იყო შეხამებული. აღნიშნულ კოლექციაში ასევე დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ასიმეტრიული კაბები და ფერთა საკმაოდ ფართო გამა. **ROLAND MOURET**-მა, **CHRISTOPHER KANE**-მა და **JW ANDERSON**-მა საკმაოდ ინოვაციური და ექსპერიმენტული კოლექციები შემოგვთავაზეს – ფუტურისტული გეომეტრიული სილუეტებითა და კონტრასტული ფაქტურებით.

მკვეთრი პრინტებითა და ასიმეტრიული ჭრებით გამოირჩეოდა **PREEN**-ის კოლექცია, რომელიც პირველ რიგში მჯდომმა **ლუის რედნეპმა** ძალზე დადებითად შეაფასა. ***„უზომოდ მომეწონა ფერთა შეხამება, და განსაკუთრებით პრინტები“***, – დასძინა მან. დასამახსოვრებელი იყო **JULIEN MACDONALD**-ის ჩვენებაც: საკმაოდ განსხვავებული სტილითა და RED CARPET READY საღამოს კაბებით განთქმულმა დიზაინერმა მთავარი აქცენტი ამჯერადაც დელიკატურ დეტალებზე გაამახვილა. ***„ჯულიენი სწორედ ის დიზაინერია, რომელიც თავს გლამურულად და სექსუალურად მაგრძნობინებს. მის შოუებზე დასწრება შთამბეჭდავ სანახაობასთან ერთად ყოველთვის დიდი გამოცდილებაცაა“***, – აღნიშნა შოუს სტუმარმა, მომღერალმა **ელა ეირმა**.

ლონდონელი მოდის მოყვარულების ფავორიტმა ბრენდმა – **TEMPERLEY LONDON**-მა, წინა სეზონის იბიცური წვეულებებით შთაგონებული საკმაოდ მხიარული კოლექციის შემდეგ, ამჯერად პრინცესა დაიანას სტილით ინსპირირებული, მკაცრი ინგლისური სამოსი შემოგვთავაზა, **ANTONIO BERARDI**-მ კი შექსპირის ეპოქის ელემენტებით გაჯერებული, საკმაოდ დახვეწილი კოლექცია წარმოადგინა.

მთლიანობაში, კვირეული ძალზე განსხვავებული და მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა – უკლებლივ ყველა კოლექციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი უნიკალურ ბრიტანულ ესთეტიკასა და თანამედროვე დიზაინერების უნარს – იპოვონ ეკლექტური ელემენტები ყოველ სეზონზე ისე, რომ არ დაკარგონ საკუთარი ხელწერა.


ბელა ჰადიდი და კენდალ ჯენერი Annabel's-ის წვეულებას შოუებს შორის დაესწრნენ. კენდალის დიდი ზომის ნაქსოვი სვიტერი BURBERRY-ს ჩვენებიდან პირდაპირ სუპერმოდელის ტანზე აღმოჩნდა.


კეტი პერი


დეიზი ლოვი



GUCCI

FENDI




DOLCE & GABBANA

# MILAN FASHION WEEK

მილანის მოდის კვირეულის ყველაზე გამორჩეული და დასამახსოვრებელი შოუ, როგორც მოსალოდნელი იყო, **DOLCE & GABBANA**-ს ჩვენება გახდა. 140-მა მოდელმა და ცნობილმა სახემ ბრენდის კოლექცია სეზონის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ და სანახაობრივ შოუზე წარმოადგინეს.

კოლექციისა და შოუს მთავარი თემატიკა ოჯახი, თაობების ცვლილება და Mini-Me სტილი გახდა.

რაც შეეხება საპატიო სტუმრებს, არანაკლები ვარსკვლავთცვენა იყო წინა რიგებშიც: **მიროსლავა დუმა**, **პამელა ანდერსონი**, **ჯეიმი ფოქსი** და სხვა ცნობილი სახეები იტალიელი დუეტის კოლექციას საპატიო ადგილებიდან ადევნებდნენ თვალს.

**A-LIST** ვარსკვლავებმა, **DOLCE & GABBANA**-ს მსგავსად კიდევ უამრავ ჩვენებაზე მოიყარეს თავი – **სელმა ჰაიეკი GUCCI**-ს შოუს **ალექსა ჩანგსა** და **შარლოტა კასირაგისთან** ერთად დაესწრო; იტალიური მოდის ყველაზე გავლენიანი სახეები იყვნენ წარმოდგენილნი **PRADA**-ს ჩვენებაზეც – STREET STYLE-ის ლეგენდა **ანა დელო რუსო**, და ყველაზე გავლენიანი მოდის ბლოგერი და დიზაინერი – **კიარა ფერანი**.

რაც შეეხება კოლექციებს, ზღაპრულ ფერთა შეხამებებითა და პრინტებით იყო გამორჩეული **GUCCI**-ს ჩვენება: გეიშას სტილი და მდიდრული აღმოსავლური აბრეშუმი, მასიური პრინტები, თამამი ფორმები და საოცრად ეკლექტური ესთეტიკა.

ჩვეულ ხელწერას არც **PRADA**-მ უღალატა და საზოგადოებას კიდევ ერთი შთამბეჭდავი კოლექცია წარუდგინა – ბეწვის დელიკატური დეტალები, ბუმბულებით, პრინტებითა და ფემინური სილუეტების ვარიაციებით.



PRADA

EMPORIO ARMANI



ჯეი ჯეი მარტინი, გალა გონსალესი, კიარა ფერანი და ბრაიან ბოი PRADA-ს ჩვენებაზე.



შარლოტა კასირაგი, ალექსა ჩანგი და მარკო ბიზარი GUCCI-ს შოუს საპატიო სტუმრების რანგში დაესწრნენ.

# PARIS FASHION WEEK

მოდის კვირეულების დასკვნით, ყველაზე გლამურულ ნაწილს ტრადიციისამებრ პარიზმა უმასპინძლა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის გამო, საფრანგეთის დედაქალაქში შოუბიზნესისა და მოდის ნაღებმა საზოგადოებამ მოიყარა თავი.

ყველაზე დასამახსოვრებელი კვლავაც **CHANEL**-ის ჩვენება აღმოჩნდა. ბრენდის კრეატიულმა ხელმძღვანელმა **კარლ ლაგერფელდმა** ამჯერად პოდიუმი კოსმოსურ სადგურად გადააქცია. ბრჭყვიალა შუზები, ტვიდის პიჯაკები და კაბები, დიდი დოზით ვერცხლისფერი და ასტრონავტის უნიფორმით ინსპირირებული სილუეტები – კოლექცია **CHANEL**-ის ტრადიციული ხელწერისგან საკმაოდ განსხვავებული იყო.

კოლექციასთან ერთად, ძალზე საინტერესო აღმოჩნდა სტუმრების სიაც: **ანა ვინტური**, **მარიო ტესტინო**, **სოფია კოპოლა**, **კარა დელევინი**, **ვანესა პარადი** და მისი ქალიშვილი **ლილი როუზ დეპი** – საპატიო პირველი რიგიდან **CHANEL**-ის ჩვენებას უამრავი A-LIST ვარსკვლავი ადევნებდა თვალს.

საკმაოდ ემოციური აღმოჩნდა **STELLA MCCARTNEY**-ს შოუ – ჯორჯ მაიკლისადმი მიძღვნილი ჩვენება დეკემბერში გარდაცვლილი მომღერლის საკულტო ჰიტით Faith დაგვირგვინდა. კოლექცია ცხენოსანთა სამოსითა და სპორტული სტილის ინსპირაციით იყო შექმნილი, თუმცა ქალური სილუეტებითა და ფორმებით იყო გაჯერებული.

პარიზის მოდის კვირეულის Highlight-ებს შორის იყო **LOUIS VUITTON**-ის შოუც. ბაიკერების სტილით ინსპირირებული კოლექციის ჩვენებას ამჯერად ლუვრის სასახლის შუშის-ჭერიანმა დარბაზმა უმასპინძლა. ტრადიციულად, ქალურობის ზეიმი აღმოჩნდა **VALENTINO**-სა და **DIOR**-ის კოლექციები – ფემინური სილუეტები, ფერთა მდიდარი გამა და დახვეწილი პრინტები.




CHANEL

**კარა დელევინი CHANEL-ის ჩვენებაზე ახალი, მოკლე ვარცხნილობით გამოცხადდა.**





CHRISTIAN DIOR



VALENTINO



STELLA MCCARTNEY



STELLA McCARTNEY-ის ჯორჯ მაიკლისადმი მიძღვნილი ჩვენება მომღერლის საკულტო ჰიტით Faith დაგვირგვინდა.

ყველაზე დასამახსოვრებელი კვლავაც CHANEL-ის ჩვენება აღმოჩნდა. ბრენდის კრეატიულმა ხელმძღვანელმა კარლ ლაგერფელდმა პოდიუმი ამჯერად კოსმოსურ სადგურად გადააქცია.



SALOME GVINIASHVILI
ყვითელი პერანგი ორგანზას დეტალებით
380₾



MAISON MICHEL
ყვითელი შლაპა
1 044₾
farfetch.com



CALVIN KLEIN
ბეჭედი ორმაგი რკალით
Arttime



CALVIN KLEIN
ოქროს კოლიე
Arttime

CALVIN KLEIN
საყურე ორმაგი რკალით
Arttime

FASHION

# ინსპირაცია ციტრუსი

წლევანდელი გაზაფხული მოდური ფერების ვარიაციების თვალსაზრისით საკმაოდ გამორჩეული და განხვავებულია, სეზონის ერთ-ერთი ყველაზე ტრენდული ფერი კი მკვეთრი ყვითელია

ტენდენცია, რომელიც გასულ სეზონზე პოდიუმზე საკმაოდ დიდი დოზით ვიხილეთ, ქუჩის მოდის ერთ-ერთი ფავორიტიც მალევე გახდა. **BOTTEGA VENETA**-მ ლიმონისფერი ტყავის კაბები შემოგვთავაზა, **CHLOE**-მ კი ნაზი სილუეტების ყვითელი სამოსი. გრაფიკასა და გეომეტრიაზე გაამახვილა აქცენტი **EMILIO PUCCI**-მ, **MOSCHINO**-მ კი ყვითელის ყველაზე მკვეთრ და თვალშისაცემ ტონს მიაგნო. ამ ტრენდული ყვითელი ფერის სამოსის მორგება ნებისმიერ სიტუაციაში შეგიძლიათ. თხელი ქურთუკები, პრინტიანი კაბები, ფეხსაცმელი და ჩანთები – ყვითელის მონოქრომული ტონები თქვენი საგაზაფხულო გარდერობისა და განწყობის განუყრელი კომპონენტი გახდება!



SALVATORE FERRAGAMO S/S 2017



BOTTEGA VENETA S/S 2017



AVTANDIL
ყვითელი სვიტერი კაპიუშონითა და პრინტით
120₾



DOLCE & GABBANA
ტყავის ყვითელი ესპადრელები კრისტალებით
1 140₾
farfetch.com



JIL SANDER
ტყავის დიდი ზომის ყვითელი ჩანთა
2 700₾
farfetch.com



**MARNI**
უსაყელო პიჯაკი
დაფარული ღილებით
2 100₾
**farfetch.com**

**RED VALENTINO**
ხელოვნური აბრეშუმის
მიდი კოქტეილის კაბა
1 100₾
**farfetch.com**

**ROSIE ASSOULIN**
ყვითელი გაშვებული
შარვალი ორნამენტებით
3 500₾
**farfetch.com**

**AVTANDIL**
ყვითელი გამჭვირვალე
პერანგი ფოჩებით
600₾

**TATUNA NIKOLAISHVILI**
**S/S 2017**

**CHLOE**
**S/S 2017**

**MOSCHINO**
**S/S 2017**

**EMILIO PUCCI**
**S/S 2017**

**MAX MARA**
**S/S 2017**





**MAX MARA**
აბრეშუმის ლურჯი შარვალი
მაღალი წელით
973₾
**net-a-porter.com**

**SWATCH**
საათი ლურჯი
ციფერბლატითა
და სამაჯურით
**Arttime**



**ALBERTA FERRETTI**
აბრეშუმის ცისფერი კაბა
გოფრირებული მანჟეტით
1 700₾
**farfetch.com**



**AVTANDIL**
ლურჯი მაღალწელიანი
შარვალი შავი ზოლებით
70₾



MAX MARA S/S 2017

GVANTSA JANASHIA S/S 2017

SALVATORE FERRAGAMO S/S 2017

DKNY S/S 2017

MIUMIU S/S 2017

TAMUNA INGOROKVA S/S 2017



**PRADA**
აბრეშუმის ზედა ღია
ცისფერი ღილებით
1 440₾
**net-a-porter.com**



**SALOME GVINIASHVILI**
აბრეშუმის ცისფერი
გამოსასვლელი შარვალი
320₾



**MANU ATELIER**
ზამშესა და ტყავის ცისფერი
ზურგჩანთა ჯიბეებით
1 340₾
**net-a-porter.com**



**MACH & MACH**
ხავერდის
ლაჟვარდისფერი
კოქტეილის კაბა

*FASHION*

# Shades of BLUE

დელიკატური ცისფერი, ნაზი ლაჟვარდისფერი და მკვეთრი ლურჯი – ასე გამოიყურება აპრილის მოდურ ფერთა პალიტრა, რომელიც გაზაფხულისთვის ერთი შეხედვით უჩვეულო, თუმცა საკმაოდ აქტუალური ტენდენციაა

ლურჯის ვარიაციები ამ სეზონზე თითქმის ყველგან გვხვდება – **SALVATORE FERRAGAMO** მკვეთრ ლურჯ გრაფიკულ კომბინეზონებს გვთავაზობს **CHIC** სპორტულ სტილში, **EMILIO PUCCI** კი ძირითად აქცენტს სადა ფაქტურებსა და ნაზ ლაჟვარდისფერზე ამახვილებს. **ALTUZARRA-**ს ქალბატონი 2017 წლის გაზაფხულისთვის დელიკატურ ცისფერს საკმაოდ თამამად ირგებს და ლურჯის მონოქრომულ ტონებს ერთმანეთთან კარგად ახამებს.



EMILIO PUCCI S/S 2017



ALTUZARRA S/S 2017



**BOTTEGA VENETA**
ზამშეს ჩანთა მაგნიტის
შესაკრავით
3 000₾
**net-a-porter.com**



**DOLCE & GABBANA**
ზამშეს ცისფერი ფეხსაცმელი
წვრილ ქუსლზე
1 240₾
**farfetch.com**

FASHION

# Bad Girls Club

## 1990-იანი წლების სუბკულტურების ესთეტიკითა და გრანჟის ელემენტებით გაჯერებული სტილი გაზაფხულისთვის ყველაზე მოულოდნელი, თუმცა გამოკვეთილად HOT ტრენდია

**ტყავის ქურთუკები** და **ჟილეტები**, **კუბოკრული პერანგები**, **დენიმი**, **მასიური სამკაულები** და **აქსესუარები** – პანკური შტრიხების, სკინჰედების ესთეტიკისა და **1970-**იანების ჰიპების სტილის საკმაოდ ჰარმონიული სინთეზი ქუჩის მოდის წამყვან ტრენდად საკმაოდ მარტივად იქცა. თქვენ კი, **KEY**-ნივთებით ძალიან მარტივად შეგიძლიათ სეზონური გარდერობი ამ ტრენდის შთაგონებით გაამდიდროთ.



**ZARA**
ტყავის ქურთუკი მეტალის დეტალებითა და ქამრით
559₾




**ZARA**
თხელი სვიტერი პრინტებით
79₾



**SWATCH BIJOUX**
საყურე ლურჯი თვლით
**Arttime**



**SALOME GVINIASHVILI**
ტყავის პრიალა შორტი
200₾



**TOPSHOP**
ლაქის პრიალა მაღალწელიანი შარვალი
170₾



**ZARA**
მუქი ლურჯი ბოტფორდები მსხვილ ქუსლზე
79₾



**MANGO**
პრინტებიანი ყელსახვევი
52₾




**STRADIVARIUS**
მუქი ლურჯი მაისური პრინტით
55₾



**TOPSHOP**
ტყავის ვერცხლისფერი სანდლები პლატფორმაზე
160₾



**MACH & MACH**
მასიური ზამთრის ფეხსაცმელი თასმებითა და ქამრით



**STRADIVARIUS**
მკვეთრი ვერცხლისფერი ჯუზი მსხვილ ქუსლზე
99₾




**TOPSHOP**
შავი კლატჩი ორნამენტებით
40₾



**AVTANDIL**
მუქი მელნისფერი
შარვალი პრინტებით
600₾

**TOPSHOP**
ჯინსის ქურთუკი
ორგანზას დეტალებით
210₾

ALEXANDER MCQUEEN
S/S 2017

GUCCI
S/S 2017

**TISSOT**
მასიური საათი
ტყავის სამაჯურით
**Arttime**

ELIE SAAB
S/S 2017

ALEXANDER ARUTYUNOV
S/S 2017

COACH 1941
S/S 2017

BESSARION
S/S 2017

**TOPSHOP**
ტყავის ქამარი
მეტალის არწივის
ფიგურით
100₾

FASHION

# TOP 10 Street style

ამ სეზონზე ფუტურისტული სპორტული სტილი საკმაოდ მოდურია. **HELLO!**-ს მოდის ექსპერტების რეკომენდაციები დაგეხმარებათ თქვენი გარდერობი MUST HAVE ტრენდული ნივთებით გაამდიდროთ

## 1



**MIUMIU**
სპორტული ფეხსაცმელი კრემისფერი და თეთრი პრინტით
1 350₾
**net-a-porter.com**

## 2




**RETROSUPERFUTURE**
ორიგინალური Unisex სათვალე ჩარჩოს გარეშე
485₾
**farfetch.com**

## 3




**KENZO**
სპორტული სვიტერი პრინტით
460₾
**net-a-porter.com**




**TISSOT**
სპორტული საათი ოქროსფერი ჩარჩოთი
**Arttime**

## 4




**MIUMIU**
ატლასის ხაკისფერი ზურგჩანთა სტიკერებით
3 200₾
**net-a-porter.com**

5



**ZARA**
პრიალა ვერცხლისფერი
სპორტული ლაბადა
149₾

6



**AVTANDIL**
სპორტული მოსაცმელი
ურბანული სტილის
პრინტებით
240₾



**AVTANDIL**
სპორტული შარვალი
ურბანული სტილის
პრინტებით
160₾

7



**TOPSHOP**
მეტალისფერი
მბზინვარე ბომბერი
79₾

8



**GUCCI**
ტანზე მომდგარი სპორტული
შარვალი პრინტებით
2 900₾
**farfetch.com**

9



**PHILIPP PLEIN**
სპორტული შარვალი
მასიური ორნამენტებით
1 335₾
**farfetch.com**





**FENDI**
ნაზი ვარდისფერი კაბა პრინტებითა და საყელოთი
600₾
**farfetch.com**



**ZARA**
ქვედაბოლო ჯინსის ორ კონტრასტულ ფერში
59₾





**IKKS**
მეზღვაურის სტილის მაისური
141₾
**fb.com/IKKSTbilisi**

*HIT-LIST*

# *HELLO!* LOVES

## როცა საქმე სამოსს ეხება, პატარებს ხშირად უფროსების სტილის გამეორება და მიბაძვა უყვართ. სწორედ ამიტომ, საბავშვო მოდური ტენდენციები ხშირად ემთხვევა უფროსებისას

ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა Mini-Me სტილი – მშობლებისა და ბავშვებისთვის უკვე უამრავი ბრენდი ქმნის ერთნაირ სამოსს. HELLO!-მ სპეციალურად თქვენი პატარებისთვის, ფერადი და მხიარული საგაზაფხულო გარდერობი შეადგინა, რა თქმა უნდა, მოდური ტენდენციების გათვალისწინებით.



**IKKS**
ჯინსის კომბინეზონი
263₾
**fb.com/IKKSTbilisi**



**STELLA MCCARTNEY**
პულოვერი შავი საქსოფონის პრინტით
190₾
**farfetch.com**



**ZARA**
ჯინსის ცისფერი ზურგჩანთა თასმებიანი შესაკრავით
59₾



**MONNALISA**
ტყავის თეთრი კედები ყვავილებიანი პრინტით
333₾
**farfetch.com**



**ZARA**
ღია მწვანე მაისური პრინტებით
29₾



**ZARA**
მენთოლისფერი
ე.წ. გაბერილი ჟილეტი
59₾



**IKKS**
ნარინჯისფერი ქურთუკი
ღილებით
235₾
**fb.com/IKKSTbilisi**




**IKKS**
მაისური საგაზაფხულო
პრინტით
114₾
**fb.com/IKKSTbilisi**




**FENDI KIDS**
ფერადი ჟაკეტი მაღალი
საყელოთი და ელვით
1070₾
**farfetch.com**




**IKKS**
კოსმოსის თემით
ინსპირირებული პულოვერი
141₾
**fb.com/IKKSTbilisi**




**MOSCHINO**
მკვეთრი ლურჯი ჟაკეტი
საბავშვო პრინტით
290₾
**farfetch.com**



**DIESEL**
ჯინსის მუქი ლურჯი
დახეული შარვალი
310₾
**farfetch.com**




**IKKS**
ჟაკეტი Pop Art-ის
სტილის პრინტებით
204₾
**fb.com/IKKSTbilisi**



**ZARA**
ნაცრისფერი ბოტასი
89₾





www.facebook.com/ioverdegeo

IO VERDE

ვერტიკალური ბაღი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში


HELLO!
wedding
370
საქორწილო
იდეა
CAROLINA HERRERA
BRIDAL SPRING 2017
საქორწილო კაბები · აქსესუარები · საქორწილო ლოკაციები · თაფლობისთვე



## კერი ბრედშოუ
### SEX AND THE CITY

**მიუხედავად იმისა**, რომ ფილმის გამოსვლიდან თითქმის 10 წელი გავიდა, კერის **VIVIENNE WESTWOOD**-ის კაბა **SEX AND THE CITY**-ს პირველი ნაწილიდან დღემდე მოდური და საკულტოა. ბევრი ქალბატონისთვის მისაბაძმა, განსაკუთრებული სტილის მქონე პერსონაჟმა უმნიშვნელოვანესი დღისთვის საკმაოდ დახვეწილი, კრემისფერისა და ღია ოქროსფრის კომბინაციით შექმნილი საპატარძლო კაბა შეარჩია. გაშლილ კლასიკურ სილუეტსა და ორიგინალური ფორმის კორსეტს კერიმ გრძელი ფატა და თმაში ჩამაგრებული ბუმბულები შეუხამა.



**KENNETH JAY LANE**
მოოქროვილი ვერცხლის საყურე ცირკონის თვლით
**net-a-porter.com**



**ETSY**
ფარშევანგის ბუმბულისგან დამზადებული აქსესუარი
**net-a-porter.com**

*WEDDING*

# *Get the* BRIDAL LOOK

საოცნებო კაბის შერჩევისას, მომავალი პატარძლები ხშირად იღებენ ინსპირაციას საყვარელი ფილმებიდან. საკულტო პერსონაჟების სტილი არცთუ იშვიათად ხდება მოდური ტენდენციების დასაბამი და სწორედ ამიტომ, **HELLO!** უამრავი ქალბატონისთვის მისაბაძი და საყვარელი პერსონაჟის – კერი ბრედშოუს საპატარძლო LOOK-ს წარმოგიდგენთ.



**JIMMY CHOO**
ლაქის კრემისფერი ფეხსაცმელი მაღალ ქუსლზე
**net-a-porter.com**



**SOTTERO AND MIDGLEY**
გაშლილი საქორწილო კაბა კორსეტით
**maggiesottero.com**



MARILISI

Georgian Jewelry House

Tbilisi, I. Abashidze str. 43
www.marilisi.com
fb/MARILISI
+995 595 11 55 04

WEDDING

# თავბრუდამხვევი მბზინვარება

მარგალიტები, ძვირფასი კრისტალები, ბუნებრივი ქვები და ორნამენტები – თუ თქვენი საქორწილო კაბა მდიდრული დეტალებით გსურთ გააფორმოთ, მაშინ მაქსიმალურად ბრჭყვიალა და თვალშისაცემი დეტალები შეარჩიეთ

თვლები და ორნამენტები თანაბრად უხდება როგორც კლასიკურ მდიდრულ, ასევე მინიმალისტურ და შედარებით სადა სტილის კაბებს. ბოლო პერიოდში ძალიან მოდური გახდა Old School ჰოლივუდის ესთეტიკის თვლებით მოჭედილი კაბებიც. **MONIQUE LHUILLIER**, **NAEEM KHAN**, **JENNY PACKHAM** – ყველაზე ჯადოსნური საქორწილო კაბების შემქმნელი დიზაინერები სწორედ ამ სტილს ანიჭებენ უპირატესობას.





HERMES F/W 16/17

HERMES F/W 16/17

HERMES F/W 16/17

HERMES F/W 16/17


HERMES F/W 16/17
HERMES F/W 16/17
HERMES F/W 16/17
HERMES F/W 16/17
HERMES F/W 16/17

WEDDING

# მაქმანის აქცენტები

**საქორწილო კაბის ყველაზე დელიკატური სტილი სწორედ მაქმანებთან ასოცირდება. უბერებელი სილუეტი და ყველაზე ფემინური ფაქტურა ნებისმიერ დროსა და ეპოქაში საოცრად მდიდრული და დახვეწილია**

სტილი, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალურობას, პირდაპირ ასოცირდება გრეის კელისთან – მონაკოს პრინცესად ქცეულმა ჰოლივუდის ვარსკვლავმა მაქმანებით გაწყობილი კაბა საკუთარ ქორწილში ჯერ კიდევ 1956 წელს მოირგო. მისსავე კვალს მიჰყვა კემბრიჯის ჰერცოგინია **კეიტ მიდლტონი** – საუკუნის ყველაზე გახმაურებული სამეფო ქორწილის მთავარი გმირი ამ მნიშვნელოვან დღეს სწორედ **ALEXANER MCQUEEN**-ის მაქმანებიან კაბაში იყო გამოწყობილი.



PRONOVIAS



REEM ACRA

REEM ACRA


PRONOVIAS
REEM ACRA
REEM ACRA
OSCAR DE LA RENTA
MONIQUE LHUILLIER
MONIQUE LHUILLIER
NAEEM KHAN
NAEEM KHAN
OSCAR DE LA RENTA
INES DI SANTO

WEDDING

# Haute Couture პატარძალი

## ყველა A-LIST დიზაინერს, რომელიც საქორწილო სამოსს ქმნის, ამ საკითხისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულება და გამოკვეთილი ხელწერა აქვს

სეზონიდან სეზონამდე იცვლება ტენდენციები, დეტალები, სილუეტები და ესთეტიკა, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, დაკვირვებული თვალი მარტივად გამოარჩევს, რომელია **ELIE SAAB**-ის, და რომელი **VERA WANG**-ის ქმნილება. მომავალ პატარძლებს სასურველი კაბის შერჩევა პირდაპირ პოდიუმიდან, ქორწილის თემატიკისა და სტილის მიხედვით შეუძლიათ. **RALPH & RUSSO** ყოველთვის დელიკატური და კლასიკური სილუეტების ჰარმონიულ სინთეზს გვთავაზობს, **ELIE SAAB** აქცენტს მდიდრულ დეტალებზე, აღმოსავლურ ორნამენტებზე და ზღაპრულ მბზინვარებაზე ამახვილებს, **JENNY PACKHAM**-ისა და **MONIQUE LHUILLIER-**ის ხელწერა ქალურ, ნაზ ფორმებსა და ფაქტურებთან ასოცირდება, **GIAMBATTISTA VALLI**-ს კაბები კი ყოველთვის ავანგარდული შტრიხებით გამოირჩევა.



RALPH & RUSSO



RALPH & RUSSO



ELIE SAAB


ZIAD NAKAD
ZIAD NAKAD
ZUHAIR MURAD
GIAMBATTISTA VALLI
CHANEL



**CARTIER**
ოქროს ბურთულებით შექმნილი საყურე ბრილიანტებით მოჭედილი პანტერის თავით



**KATERINA MAKRIYIANNI**
მოოქროვილი ვერცხლის საყურე კვარცის თვლებითა და მარგალიტებით



**CARTIER**
ოქროს ბეჭედი მორგანიტებითა და მარგალიტებით





**CARTIER**
ოქროს საყურე ყვითელი ბრილიანტებითა და ცრემლის ფორმის ოპალებით

WEDDING

# BRIDAL *Jewellery*

## ძვირფას სამკაულებს პატარძლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ემოციური დატვირთვა აქვს

გარდა იმისა, რომ ნიშნობისა და ქორწინების სიმბოლო სწორედ ბეჭდებია, დედოფლები ამ დღეს საჩუქრადაც უმეტესად სამკაულებს იღებენ. ის აქსესუარები კი, რომელთა ტარებას ცერემონიალზე გადაწყვეტთ, შემდგომში ყოველთვის ამ უბედნიერეს დღეს გაგახსენებთ. თუ თავად ხართ მომავალი პატარძალი და დელიკატური საიუველირო ნაწარმის შერჩევაში დახმარება გჭირდებათ, HELLO!-მ თქვენთვის ყველაზე მოდური და დახვეწილი სამკაულები შეარჩია. ჩვენი HOT LIST-ი მათთვისაც იდეალური გზამკვლევი იქნება, ვინც ქორწილისთვის საჩუქარს არჩევს.



**MARILISI**
ოქროს მასიური საყურე ბრილიანტებით



**MARILISI**
ოქროს დაკიდული საყურე ტოპაზებითა და ბრილიანტებით



**MARILISI**
ოქროს ბეჭედი მასიური ტოპაზის თვლითა და ბრილიანტებით



**MARILISI**
თეთრი და ყვითელი ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლებით



**MARILISI**
ოქროს ბეჭედი აქვამარინითა და ბრილიანტებით



**MARILISI**
ოქროს დელიკატური ბროში ტოპაზებითა და ბრილიანტებით



**CARTIER**
ოქროს ჯაჭვებით შექმნილი მასიური ბეჭედი



**CARTIER**
ვარდისფერი ოქროს ყელსაბამი
მასიური მალაქიტებით

**MARILISI**
ოქროს ორნამენტებიანი
საყურე ბრილიანტებით

**CARTIER**
ვარდისფერი ოქროს ყელსაბამი
ამეთვისტოებით, ტოპაზებითა
და ბრილიანტებით

**MARILISI**
ოქროს დაკიდული საყურე
ბრილიანტებითა და ცრემლის
ფორმის ტოპაზებით

**CARTIER**
ოქროს სამაჯური „პანტერა“
ბრილიანტებით

**MARILISI**
ოქროს დელიკატური
გულსაკიდი ბრილიანტებით

**MARILISI**
ოქროს „დუო“ ბეჭედი
ტოპაზებითა და ბრილიანტებით

**CARTIER**
ოქროს ბეჭედი ვარდისფერი
საფირონებითა და ბრილიანტებით

**CARTIER**
ოქროს რკალებითა და
ბრილიანტებით მოჭედილი
ბეჭედი აქვამარინისა
და საფირონის
ფერადი თვლებით

**CARTIER**
18-კარატიანი ოქროს
სამაჯური პანტერის თავით

**MARILISI**
ოქროს ბეჭედი ბრილიანტებითა
და აქვამარინის თვლით



FASHION

# BRIDAL
# *beauty routine*

ქორწილისთვის მზადების პერიოდში, გაანებივრეთ თქვენი თავი სახის, ტანისა და თმის მოვლის ჯადოსნური პროდუქციით. შეიქმენით შესანიშნავი განწყობა და ჩადექით იდეალურ ფორმაში **HELLO!**-ს სილამაზისა და თავის მოვლის ექსპერტების მიერ შერჩეული TOP პროდუქციის წყალობით, და რაც ყველაზე მთავარია – იყავით თვალისმომჭრელი ქორწილის დღეს. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ მნიშვნელოვანი მომენტის მთავარი გმირი თავად ხართ, ამიტომ დატკბით მზადების პროცესისა და ცერემონიალის თითოეული წუთით.




**იდეალური** დეტოქსი თქვენი კანისთვის – გაიუმჯობესეთ სტრუქტურა მაშინ, როდესაც გძინავთ. ინტენსიური ეფექტის ამპულები თქვენს კანს მომენტალურად აცოცხლებს, სძენს გლუვ ეფექტს და შესანიშნავ სტრუქტურას. გამოიყენეთ ყოველდღე – ძილის წინ, სუფთა სახის კანზე. ყელსა და დეკოლტეს მიდამოზე ნაზი, წრიული მოძრაობით შეიზილეთ.

**GERMAINE DE CAPUCCINI NIGHT DETOX CONCENTRATE, NATALI**




**წამწამების** გამახშირებელი გელი, რომელიც სიგრძესა და მოცულობას სულ მოკლე დროში გაგიუმჯობესებთ და თქვენს მზერას უფრო იდუმალსა და მომაჯადოებელს გახდის.

**GERMAINE DE CAPUCCINI EYELASH & EYEBROW BOOSTER, NATALI**




**ინოვაციური**, ყველაზე ძვირფასი და ექსკლუზიური საშუალება თვალის მოვლისთვის გველის შხამის მსგავსი პეპტიდისა და ხიზილალის ბაზით, რომელიც თვალის გარშემო არეს მბზინვარე ელფერს მატებს და მიმიკურ ნაოჭებს 52%-ით ამცირებს.

**CHRISTIAN BRETON ANTI WRINKLE EYE SERUM, GPC**




**სახის** დელიკატური კრემი ინოვაციური ფორმულით, რომელიც თქვენს კანს, დატენიანებასთან ერთად, რბილ და ხავერდოვან სტრუქტურას ანიჭებს.

**LIERAC HYDRAGENIST MOISTURIZING CREAM, GPC**




**გამაჯანსაღებელი**, ფერის შემანარჩუნებელი ნიღაბი ხანგრძლივად უნარჩუნებს თმას ფერსა და მბზინვარებას, კვებავს და აღადგენს თმას. შამპუნის შემდეგ 5 წუთია საკმარისი, რათა თმას ახალი სიცოცხლე შევძინოთ და 78%-ით გამოვაცოცხლოთ მისი ფერი.

**PHYTO  COLOR-TREATED RADIANCE MASK, GPC**




**შრატი** მომენტალური ეფექტით, რომელიც ელვის სისწრაფით მოგიხსნით დაღლილობას და თქვენს კანს გლუვ, ჯანსაღ იერს მიანიჭებს. იდეალურია ნებისმიერი ტიპის კანისთვის და ლიფტინგთან ერთად, დამატენიანებელი და გამაჯანსაღებელი ფუნქციითაც გამოირჩევა.

**GERMAINE DE CAPUCCINI INSTANT ACTION TENSOR SERUM, NATALI**

**დაღლილობის** საწინააღმდეგო თვალის გელი შეუდარებელი საშუალებაა შეშუპებული ქუთუთოებისა და ნაოჭების შემცირებისთვის. ფანტასტიკურია მათთვის, ვისაც ხანგრძლივად უწევს მანქანის მართვა, კომპიუტერთან მუშაობა, კითხვა და გვიანობამდე მუშაობა. გამოიყენება დილით, რათა გამოაცოცხლოს თვალები და სიკაშკაშე შესძინოს.

**CHRISTIAN BRETON EYE-CARE ANTI FATIGUE, GPC**




**გელი**, რომელიც თვალის გარშემო შეშუპებებსა და ჩაშავებულ ქუთუთოებს მომენტალურად აქრობს, მიმზიდველ მზერასაც შეგძენთ. ინოვაციური ფორმულა, რომელიც ანტიეიჯ და დეტოქსის ფუნქციებს ჰარმონიულად ითავსებს, იდეალური ლიფტინგის ეფექტითაც გამოირჩევა.

**GERMAINE DE CAPUCCINI TIMEXPERT SRNS EYES, NATALI**







**გელი** ბოტოქსის თხევადი ალტერნატივაა, რომელიც ინიექციების გარეშე დაგეხმარებათ ახალგაზრდული იერი შეინარჩუნოთ და ნაოჭებს შეებრძოლოთ. ბოტულინის ტოქსინის შემცველი გელი თქვენს კანს საოცრად გლუვსა და ჯანსაღს გახდის. კრემის ეფექტურობა სპეციალური, გორგოლაჭიანი ჯოხით წასმის შემთხვევაში, ერთიორად იზრდება.

**BIOTULIN SUPREME SKIN GEL & SKINROLLER**
**WWW.BIOTULIN.COM**




**ძვირფასი**, ბოტანიკური ზეთების ბაზაზე დამზადებული ტანის სურნელოვანი ლოსიონი ინტენსიურად ატენიანებს და ხავერდოვან ელფერს სძენს თქვენს კანს.

**NUXE PRODIGIEUX PERFUMED MILK, GPC**

**მკვებავი** ზეთი ბრჭყვიალა მინერალური ნაწილაკებით, რომელიც არბილებს და ანათებს თქვენს კანსა და თმას. აქვს უნიკალური, უცხიმო ტექსტურა და მომაჯადოებელი სურნელი.

**NUXE SHIMMERING DRY OIL, GPC**





WEDDING

# ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ

## *Step To Step Guide*

საქორწილო აურზაური და ყველაზე მნიშვნელოვანი დღისთვის მზადება, სასიამოვნოსთან ერთად, საკმაოდ სტრესული პროცესიცაა. ხშირად საორგანიზაციო საკითხებზე ზრუნვის გამო, მომავალ პატარძლებს საკუთარი თავისთვის საკმარისი დროც კი არ რჩებათ. **HELLO!** თანამედროვე კოსმეტოლოგიისა და სტომატოლოგიის უკანასკნელ მიღწევებსა და იმ ჯადოსნურ პროცედურებს გაგაცნობთ, რომლებიც ქორწილის დღეს თავს ნამდვილ დედოფლად გაგრძნობინებთ.



### ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲐᲚᲘ ᲘᲧᲝᲗ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ

- **იზრუნეთ, რომ გქონდეთ მომაჯადოებლად თეთრი კბილები;**
- **გააქრეთ ზედმეტი ცხიმი პრობლემურ ადგილებში** (*გვერდები, მუცელი*);
- **დაიტენიანეთ, გაისუფთავეთ და გაიჯანსაღეთ სახის კანი;**
- **გათავისუფლდით არასასურველი თმისგან მთელ სხეულზე.**

**ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲨᲘ „ᲛᲔᲓᲘ“** საპატარძლოს პირველი გაჩერება სწორედ სტომატოლოგიური განყოფილებაა. აქ ჯადოსნური ღიმილის საიდუმლო იციან. კაშკაშა, თეთრი, თავდაჯერებული ღიმილის გასაღები – ეს გახლავთ მსოფლიო სენსაცია, ყველაზე უსაფრთხო და ეფექტური აპარატი **BEYOND POLUS**, რომელიც კბილებს 4-8 ტონით ათეთრებს.

**BEYOND POLUS** ინოვაციური ტექნოლოგიაა, რომელშიც კომბინირებულია ძლიერი ჰალოგენები და მსუბუქი გამოსხივების დიოდური სხივები. მას აქვს უმაღლესი ხარისხის ფილტრაციის სისტემა და ფილტრავს ყველა ულტრაიისფერ და სხვა მავნე სხივებს, რაც მაქსიმალურად ამცირებს კბილების მგრძნობელობას. გაიღიმეთ! თქვენ შეუდარებელი ხართ!

დამეთანხმებით, ყველაზე მეტად პატარძალს არ სურს საქორწილო კაბა პრობლემურ ადგილებში (მუცელი, გვერდები) ზედმეტი ცხიმების გამო ცუდად ადგეს ტანზე. თან უმეტეს შემთხვევაში, კაბა თეთრი თუ არა, საკმაოდ ღია

ფერისაა, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს სხეულის კონტურებს. არ იდარდოთ! ამ პრობლემასთან საბრძოლველად „მედის“ კოსმეტოლოგიურ განყოფილებაში მსოფლიოში აღიარებულ, ჯადოსნურ ტექნოლოგიას შემოგთავაზებენ. ეს „ზელტიკია“, რომელიც გახლავთ ერთსაათიანი პროცედურა ცხიმის დაშლა-მოყინვის მეთოდით – რეაბილიტაციის გარეშე, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ. „ზელტიკის“ აპარატი ყინავს და ანადგურებს პრობლემურ ადგილებში ჩალაგებულ ცხიმის უჯრედებს. პროცედურიდან ორი თვის განმავლობაში კრისტალიზებული ცხიმის უჯრედების 40% იშლება და ბუნებრივად გამოდის თქვენი ორგანიზმიდან. თქვენი სხეული კი უწინდელ ფორმას იბრუნებს!

სანამ საბოლოო შტრიხად მაკიაჟს გაიკეთებდეთ, მოუარეთ სახის კანს. კანის სიგლუვისა და მბზინვარებისთვის **კლინიკა „მედი“** ტექნოლოგიათა სრულ სპექტრს გთავაზობთ.

## გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს:

**ბიორევიტალიზაცია** ეს პროცედურა ამკვრივებს კანს და ასწორებს წვრილ ნაოჭებს. კანი ხდება ელასტიკური და გლუვი. პროცედურის დროს კანქვეშ მიკროინექციის გზით ჰიალურონის მჟავა შეიყვანება.

**PRP თერაპია** პლაზმოთერაპია, გაახალგაზრდავების ლაბორატორია (*REGENLAB*). ეს არის სახის კანისთვის ფორმის დაბრუნებისა და გაახალგაზრდავების ინოვაციური მეთოდი ორგანიზმის რესურსების გამოყენებით. ამ პროცედურის შემდეგ კანი არა მარტო გამოიყურება, არამედ ფუნქციონირებს ახალგაზრდულად.

**თერმაჟი** თუ პატარძალს უკვე 30 წელი შეუსრულდა, რა თქმა უნდა, სჯობს ჩაიტაროს უნიკალური პროცედურა აპარატით THERMAGE. მხოლოდ ერთ ვიზიტში, ერთ საათში, ყოველგვარი რეაბილიტაციის გარეშე, თერმაჟის პროცედურა მოშვებულ კოლაგენს სიმკვრივეს უბრუნებს! ხდება კანის ლიფტინგი ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე. გამოსცადეთ თქვენს თავზე ნამდვილი რევოლუცია გაახალგაზრდავების მეთოდებს შორის!

**დაბოლოს** არ დაგავიწყდეთ ლაზერული ეპილაცია. ალექსანდრიტის ლაზერი ოქროს სტანდარტად აღიარებული პროცედურაა არასასურველი თმის მოსაშორებლად. შედეგიანად ებრძოლეთ ერთ-ერთ უდიდეს ესთეტიკურ პრობლემას – ჭარბთმიანობას! მიაკითხეთ „მედის“ 20 ფილიალიდან ნებისმიერს, საქართველოს მასშტაბით!

**ფასები?** **კლინიკაში „მედი“** 0%-იანი განვადებით ნებისმიერი სურვილის მარტივად ასრულება შეგიძლიათ. მაგალითად: კბილების გათეთრება – თვეში 27 ლარი, „ზელტიკი“ – თვეში 46 ლარი, ხოლო ბიორევიტალიზაცია – თვეში 25 ლარი დაგიჯდებათ. არავითარი ხელფასის ცნობა – განვადებას 15 წუთში კლინიკაშივე დაგიმტკიცებენ.

***კლინიკა „მედი“***
*მ. კოსტავას ქ. 52, თბილისი*
*ტელ: (+995) 322 91 00 00*







WEDDING

# იყავით თავდაჯერებული თეთრ კაბაში!

ქორწილისთვის მზადებისას, თქვენს სხეულსა და სახის კანზე ზრუნვა განსაკუთრებით აქტუალურია. იმისათვის, რომ მნიშვნელოვან დღეს უნაკლოდ გამოიყურებოდეთ, მზადება წინასწარ შედგენილი Beauty სტრატეგიის მიხედვით უნდა დაიწყოთ.

ჭარბთმიანობა ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომელიც მომავალი პატარძლების უმეტესობას აწუხებს. სწორედ ამიტომ, HELLO!-მ თქვენთვის ძალიან მარტივ, უმტკივნეულო და ეფექტურ გამოსავალს მიაგნო.

ვინაიდან პატარძლებს ყოველთვის დროის პრობლემა აქვთ და სასურველი ფორმის შეძენა თუ ჭარბთმიანობასთან გამკლავება მოკლე ვადაში სურთ, **ალექსანდრიტის ლაზერი** იდეალური გამოსავალია. ეს უკანასკნელი ეპილაციის კუთხით ყველაზე ეფექტურ, უსაფრთხო და სწრაფ საშუალებად მიიჩნევა, აქვს კანის გაგრილების ეფექტური სისტემა და არასასურველი თმის მომენტალურად გაქრობის კუთხით ნამდვილად უკონკურენტოა.

ესთეტიკური მედიცინის ცენტრ **„ლოტუსში“** მსოფლიოს ოქროს სტანდარტად აღიარებული ამერიკული ფირმის – **Candela**-ს აპარატის წყალობით, არასასურველ თმას სხეულის ნებისმიერი უბნიდან ელვის სისწრაფით მოიშორებთ.

## უპირატესობები

- **ალექსანდრიტის ლაზერით** პროცედურის ჩატარებამდე, არ არის საჭირო საეპილაციო ზონის გაპარსვა;
- **ალექსანდრიტის ლაზერს** თმის მომენტალური ცვენა ახასიათებს. პირველივე პროცედურის შემდეგ ზონა 100%-ით თავისუფლდება თმისგან;
- **ალექსანდრიტის ლაზერით** ეპილაციის შემდეგ, თმა თვენახევრიდან 2 თვემდე (*6-8 კვირა*) არ იზრდება. ეს ყველაზე ხანგრძლივი მაჩვენებელია, განსხვავებით სხვა ტიპის ლაზერული ეპილაციისგან;
- 5-10 პროცედურის შემდეგ, პაციენტი სამუდამოდ იკურნება არასასურველი თმისგან;
- თმის მოშორება შედარებით დიდი ზონიდან დროის მოკლე პერიოდში ხორციელდება;
- **ალექსანდრიტის ლაზერს** აქვს გაგრილების სისტემა, რომელიც პროცედურის კომფორტულად ჩატარებას უზრუნველყოფს;
- **„ლოტუსში“** ამერიკული ფირმა **Candela**-ს **ალექსანდრიტის ლაზერია** წარმოდგენილი;
- **Candela**-ს ფირმის **ალექსანდრიტის ლაზერი** ერთადერთია, რომელსაც მიღებული აქვს **FDA სერტიფიკატი**.

**ალექსანდრიტის ლაზერის** დამატებითი უპირატესობებიდან, აღსანიშნავია გაახლგაზრდავების ეფექტი, რომელიც წარმოიქმნება ლაზერული იმპულსის ზემოქმედებით. კანის სტრუქტურა უმჯობესდება – უფრო გლუვი და ხავერდოვანი ხდება.

**პროცედურით სარგებლობა შესაძლებელია „ლოტუსის“ ხუთივე ფილიალში**.

*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი*
**ლოტუსი**
*ტელ: 322 90 38 03*
*www.lotus.ge*
*facebook.com/LotusMedCenter*






WEDDING

# ჯადოსნური გარდასახვა

წინასაქორწილო პერიოდი ზუსტად ის დროა, როდესაც საკუთარ გარეგნობაში თამამად შეგიძლიათ რადიკალური ცვლილებები შეიტანოთ და ისეთი ექსპერიმენტები ჩაატაროთ, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდით

ყველა ქალს აქვს სურვილი, ჰქონდეს ლამაზი და მიმზიდველი ტუჩები, რადგან ტუჩის ფორმა და ვიზუალია ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი ქალის სილამაზისა. ტუჩი ადვილად გასცემს ასაკს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის გარეგნობაზე. ლამაზი და მოვლილი ტუჩები ახალგაზრდულ იერს შეგინარჩუნებთ.

**როგორი უნდა იყოს ლამაზი ტუჩები?** ამისათვის ორი კომპონენტია საჭირო – მაქსიმალური მოცულობა და მკვეთრი, კაშკაშა ფერი. იმისათვის, რომ გქონდეთ ლამაზი და მიმზიდველი ტუჩები, უნდა იცოდეთ როგორ მოუაროთ მას. არსებობს სხვადასხვა მეთოდი სასურველი შედეგის მისაღებად – ესთეტიკურ მედიცინაში აპრობირებულია პლასტიკური ქირურგია და კოსმეტოლოგიური შემავსებლები (*ფილერი-ჰიალურონის მჟავით*).

HELLO!-მ თქვენთვის ჯადოსნურ ფილერს მიაკვლია, რომელიც პროცედურის ჩატარებისთანავე მოგცემთ სასურველ შედეგს. **BELOTERO INTENSE** – ინოვაციური ფილერი მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა (*HA-25.5mg/1ml*) და ელასტიკური სტრუქტურის წყალობით ქსოვილში საოცრად მარტივად ინტეგრირდება. გარდა ტუჩისა, მისი გამოყენება შესაძლებელია ღრმა ნაოჭების ამოსავსებად. ფილერის ჯადოსნურობა გამოიხატება კანის სტრუქტურული ელასტიკურობის აღდგენი-თაც, ის საკმაოდ მარტივად და კომფორტულად ავსებს ნებისმიერ დეფექტს და სახეს სრულფასოვან, მიმზიდველ იერს სძენს.

*„**ფარმადეპოს**“ აფთიაქი, ესთეტიკური კაბინეტი*
*ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი*
*ტელ.: 0322 145 000; მობ.: 577 477 903*






WEDDING

# საქორწილო მანიკიურის დელიკატური დეტალები

ზღაპრული კაბა და აქსესუარები, იდეალური მაკიაჟი, თაიგული თქვენი საყვარელი ყვავილებით – მნიშვნელოვან დეტალებზე ზრუნვით, თქვენი ქორწილის დღე თავადვე უნდა გახადოთ დაუვიწყარი, თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ ეშმაკი ზუსტად ერთი შეხედვით ყველაზე უმნიშვნელო ნიუანსებში იმალება

მანიკიური ზუსტად ასეთი უწყინარი დეტალია, რომლის არასწორად შერჩევას მთელი სამზადისის წყალში ჩაყრა შეუძლია. არავითარ შემთხვევაში არ შეარჩიოთ მკვეთრი ან ფერადი ლაქი, უარი თქვით გადატვირთულ ორნამენტებსა და დიდი დოზით კრისტალებზე. აქცენტი გაამახვილეთ სადა ტონებზე – კრემისფერი, მკრთალი თეთრი, ღია ვარდისფერი. შეუხამეთ მანიკიური თქვენს საქორწილო თაიგულს – დელიკატური იისფერი ძალიან მოუხდება პიონებს, ხოლო სადა კრემისფერი – თეთრ ვარდებს. იყავით ორიგინალური, თუმცა ეცადეთ არ გადაუხვიოთ საპატარძლო პროტოკოლს ზედმეტად მკვეთრი და თვალშისაცემი დიზაინით.



საკონსულტაციო კომპანია

# ETERE PR AGENCY

- ბრენდინგი
- მედიადაგეგმარება
- საკომუნიკაციო კამპანიები
- სოციალური მედიის მარკეტინგი
- პროდუქციის რეკლამირება
- ღონისძიებების დაგეგმვა

fb.com/EtereAgency
+ 995 0322 98 03 98



WEDDING

# საპატარძლო მაკიაჟის ოქროს წესები

იდეალური საქორწილო LOOK-ი უპირველესად უნაკლო ვიზაჟს გულისხმობს. სადა და ნაზი ფერები, მაქსიმალური ბუნებრივობა და არანაირი მკვეთრი ტონები - საპატარძლოები ამ დღისთვის როგორც წესი მინიმალისტურ და კლასიკურ სტილს ირჩევენ

საკმაოდ რთულია, კაბას, სამკაულებსა და ვარცხნილობას შესაბამისი მაკიაჟი მოარგოთ, თუმცა პროფესიონალი ვიზაჟისტებისა და HELLO!-ს რჩევებს თუ მიჰყვებით, საქმე ერთიორად გაიოლდება. პირველი და ყველაზე მთავარი, თქვენი სახის კანის შესაბამისი ტონის ბაზის შერჩევაა. ეცადეთ ტონალური კრემი მაქსიმალურად მდგრადი და თქვენს ბუნებრივ კანის ფერთან მიახლოებული იყოს. უარი თქვით თვალის მკვეთრ „ჩრდილებსა“ და ტუჩსაცხზე, აქცენტი მქრქალის ეფექტის პასტელურ ფერებსა და სადა ტონალობებზე გაამახვილეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ქორწილის დღეს, უამრავი ფოტოობიექტივი და თვალი ზუსტად თქვენკენ იქნება მომართული, ამიტომ ეცადეთ თავიდან აიცილოთ კანის აჭრელება და თვალის ვიზაჟის შელახვა. ამ ყველაფერში კი ჩვენი სილამაზის ექსპერტების შერჩეული პროდუქცია დაგეხმარებათ.

## თვალი




**1.** თვალის ფანქარი გამოკვეთილი კონტურებისა და სექსუალური მზერისთვის
**MARC JACOBS BEAUTY HIGHLANDER MATTE GEL EYE CRAYON EYELINER**
**2.** წამწამების წყალგამძლე ტუში მაქსიმალური მოცულობისთვის
**DIOR DIORSHOW ICONIC MASCARA**
**3.** თვალის „ჩრდილების“ ნაკრები პასტელის ნაზ ტონებში
**SMASHBOX COVER SHOT: EYE PALETTES**

## ტუჩი




**1.** ნაზი ჟოლოსფერი პომადა მაქსიმალური მოცულობისთვის
**YVES SAINT LAURENT VOLUPTE TINT-IN-BALM**
**2.** მქრქალის ეფექტის წითელი ტუჩსაცხი მაქსიმალური მდგრადობით
**TOM FORD LIP COLOR**
**3.** ტუჩის კონტური სექსუალური ფორმებისა და ფერის ფიქსაციისთვის
**MARC JACOBS BEAUTY OUTLINER LONGWEAR LIP LINER PENCIL**

## სახე




**1.** პროფესიული ფუნჯების ნაკრები სახის იდეალური ტონისა და აქცენტებისთვის
**TARTE MAGIC WANDS BRUSH SET**
**2.** რუჟი მსუბუქად მბზინვარე ელფერით
**TOM FORD THE ULTIMATE BRONZER**
**3.** ტონალური კრემი მაქსიმალური მდგრადობისა და ერთგვაროვანი ტონისთვის
**EST LAUDER DOUBLE WEAR STAY-IN-PLACE MAKEUP**

WEDDING

# სანამ თეთრ კაბას მოირგებთ...

პატარძლებო, ქორწილის საორგანიზაციო საკითხებზე ზრუნვა რამდენიმე საათით დაივიწყეთ და ძვირფასი დრო თქვენს თავსა და სხეულს დაუთმეთ! საკმაოდ შრომატევადი მოსამზადებელი პერიოდის ფონზე, გოგონებს ხშირად ავიწყდებათ ის აუცილებელი პროცედურები, რომელთა გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია მნიშვნელოვან დღეს საქორწილო კაბაში თავი თავდაჯერებულად და შესანიშნავად იგრძნონ

საქორწილო ცერემონიალი და წვეულება სწორედ ის დროა, როდესაც ყველა სტუმრის ყურადღება უშუალოდ თქვენკენ იქნება მომართული ზუსტად ამიტომ, უნდა ეცადოთ, რომ იდეალურად გამოიყურებოდეთ, ამაში კი ჩვენ დაგეხმარებით!

სხეულსა და სახის კანზე ზრუნვა საპატარძლო **Beauty Routine**-ის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. HELLO!-მ თქვენთვის დიოდური ლაზერული ეპილაციის ინოვაციურ მეთოდს მიაგნო, რათა ქორწილის დღეს არასასურველი თმისგან თავისუფალი, მაქსიმალურად თავდაჯერებული და თვალისმომჭრელი იყოთ.

ლაზერული ეპილაცია **დიოდის ლაზერით** თანამედროვე Beauty ინდუსტრიაში არასასურველი თმის სამუდამოდ მოცილების კუთხით, ყველაზე უსაფრთხო და ეფექტურ მეთოდადაა მიჩნეული. უმტკივნეულო და კომფორტული პროცედურა, რომელიც ნებისმიერ საპატარძლოს მოუხსნის ჭარბთმიანობის დელიკატურ პრობლემას,

**7 მნიშვნელოვანი უპირატესობით გამოირჩევა**:

- *პროცედურა დაუჯერებლად სწრაფია. არის სრულიად კომფორტული, უმტკივნეულო და უსაფრთხო;*
- *ეპილაცია შესაძლებელია გარუჯულ კანზეც;*
- *თანაბარი ეფექტურობით აშორებს სხეულიდან მუქი და ღია ფერის თმას;*
- *ნაკლებია მუქ კანზე პიგმენტური ლაქების გაჩენის რისკი;*
- *პროცედურებს შორის ხანგრძლივი ინტერვალია;*
- *ეფექტის შემჩნევა შესაძლებელია მეორე პროცედურის შემდეგ;*
- *არასასურველი თმა სხეულიდან სამუდამოდ ქრება 6-10 პროცედურაში.*

***ჩაჩავას კლინიკა***
*კოსტავას ქუჩა, 38*
*თბილისი*
*ტელ: (+995) 322 95 33 11*
*www.chachava.ge*
*info@chachava.ge*
*fb.com/chachavaclinic1*





WEDDING

# დედოფლის ვარცხნილობა

ვარცხნილობის შერჩევა საქორწილო სამზადისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია და მასზე ფიქრი დათქმულ თარიღამდე მინიმუმ ორი თვით ადრე უნდა დაიწყოთ

თქვენი თმის სიგრძის, ფერის, საპატარძლო კაბის სტილისა და საქორწილო წვეულების თემატიკის მიხედვით სწორი ვარცხნილობა რომ შეარჩიოთ, აუცილებლად დაგჭირდებათ პროფესიონალ სტილისტთან კონსულტაცია, რასაც თქვენ ნაცვლად ამჯერად HELLO! გააკეთებს. ჩვენი რედაქციის რჩეული სალონი-მაღაზია **PROF BEAUTY**-ა (*ა. თვალჭრელიძის ქ. 2*). მაშ ასე, **გთავაზობთ 5 Smart-რეკომენდაციას**, რომელიც ნებისმიერ პატარძალს გამოადგება.



## მიხეილ ავდალოვი

სტილისტი

**1.** თუ საქორწილოდ თმის შეღებვა ან დაგრძელება გსურთ, ეს ყველაფერი ცერემონიალამდე რამდენიმე კვირით ადრე დაგეგმეთ, რათა სტილისტს ვარცხნილობის შერჩევისთვის საკმარისი დრო მისცეთ;

**2.** დაგეგმეთ თმის მოვლის ინტენსიური თერაპიები, გამოიყენეთ შინ მოხმარების ნიღბები, დამატენიანებელი და თმის სტრუქტურის გამაუმჯობესებელი ზეთები და შამპუნები;

**3.** საქორწილო ვარცხნილობის ინსპირაციისთვის, იდეალური საშუალება თქვენი საყვარელი ფილმები, სამეფო ქორწილები და „წითელი ხალიჩის" LOOK-ებია. კარგად დააკვირდით ამა თუ იმ ვარცხნილობასთან როგორი სტილის სამკაულებს ატარებენ ვარსკვლავები და თქვენი საყვარელი პერსონაჟები;

**4.** თუ ზუსტად არ იცით როგორ სტილზე მოგიხდებათ თმა ყველაზე მეტად, წინასწარ გაიკეთეთ რამდენიმე სატესტო ვარცხნილობა. სცადეთ კლასიკური, გადაწეული თმა, ნახევრად გაშლილი ვარცხნილობა, თხელი ნაწნავები და თმის აქსესუარები. აუცილებლად მოსინჯეთ რამდენად ეფექტურია ესა თუ ის ვარცხნილობა ფოტოზე და რამდენად შეესაბამება თქვენ მიერ დაგეგმილ ქორწილის თემატიკას;

**5.** აუცილებლად წინასწარ აჩვენეთ თქვენი კაბა, თავსაბურავი და სამკაულები სტილისტს, რათა ზუსტად განსაზღვროთ როგორი სტილი უფრო მოგიხდებათ. ბოჰემური სტილის გაშვებულ საპატარძლო კაბას ნახევრადგაშლილი, ტალღოვანი თმა უხდება – ნაწნავების დეტალებითა და თმაში ჩამაგრებული ყვავილებით და ლენტებით. თუ პრინცესული სტილის, მდიდრული კორსეტიანი კაბის მორგება გადაწყვიტეთ, მაშინ თმა უმჯობესია სადად ზემოთ აიწიოთ, რათა შესაბამისი სამკაულები და გვირგვინი უკეთ გამოჩნდეს. ნაზი ვარცხნილობა გრძელ ფატასაც უფრო უხდება.










სპრეი იდეალური ფიქსაციისა და მბზინვარებისთვის
**MOROCCANOIL GLIMMER SHINE**
**PROF BEAUTY**

არგანის ზეთის სპრეი თმას სიღრმისეულად დაატენიანებს და მისცემს მბზინვარე ეფექტს
**MOROCCANOIL LUMINOUS HAIRSPRAY**
**PROF BEAUTY**


MARIGOLD
სიყვარულით აღიარებული ქართული ბრენდი
„ჩვენთვის ეს ხელოვნებაა“
მარიგოლდი
დ. აღმაშენებლის გამზ. 71, თბილისი
322 95 29 29; 577 56 51 76
www.marigold.ge
nadiradzetamar@yahoo.com
FACEBOOK: marigoldis saqorwilo kebebi
YOUTUBE: georgianmarigold

WEDDING

# „თეთრი დიეტა“

**არავის სურს საკუთარ ქორწილში მსუქანი იყოს ან თავს არაკომფორტულად გრძნობდეს. ამ განსაკუთრებულ დღესასწაულს ყველაზე მეტად უხდება სიმსუბუქე, სინაზე და ჰაეროვნება**



გთავაზობთ კომპეტენტური ნუტრიციოლოგის – იან მარბერის „თეთრ დიეტას“, რომელიც იდეალურია მათთვის, ვინც აპირებს წარმოთქვას ორი ჯადოსნური სიტყვა: „თანახმა ვარ“.

ქორწილი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ დღესასწაულისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან პატარძლები, რომლებმაც ზუსტად იციან, რომ ფოტოების მთავარი გმირები გახდებიან და მათი ყველა ნაკლი თუ ღირსება თვალშისაცემი იქნება. რასაკვირველია, ყველას სურს თეთრ კაბაში ისე გამოიყურებოდეს, როგორც ბავშვურ ოცნებებში წარმოედგინა. სრულყოფილ იერს კი არაფერი ამშვენებს ისე, როგორც დახვეწილი სხეული და ლამაზი ფორმები.

HELLO! სპეციალურად ესაუბრა ცნობილ ნუტრიციოლოგს, ლექტორსა და ჯანსაღი კვების თემებზე დაწერილი წიგნების ავტორს – **იან მარბერს**. მისი თქმით, მთავარია დავიცვათ ზომიერება და მკაცრი დიეტის შემდეგ ერთიანად არ მივირთვათ მანამდე აკრძალული პროდუქტები. საერთოდაც, მას მიაჩნია, რომ დიეტა სულაც არ ნიშნავს შიმშილს, და სწორად კვება ბედნიერების შეგრძნებაში ხელს საერთოდ არ უნდა გვიშლიდეს: ***„დიეტა სულაც არ ნიშნავს ჭამასა და სმაზე უარის თქმას. ასე თუ მოიქცევით, საკუთარი ქორწილით ვერც კი ისიამოვნებთ. საკმარისია სამზადისი დროულად დაიწყოთ და გარკვეულ რეკომენდაციებს მიჰყვეთ“***.

## რა შევზღუდოთ

**შაქარი:** ***„ტკბილეული ბაქტერიების ფერმენტებად გარდაქმნას აჩქარებს, რაც გასუქებას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ხილი ვიტამინებითაა მდიდარი, ისიც დიდი რაოდენობით ფრუქტოზას შეიცავს, რაც წონაში მატებას იწვევს“***, – აღნიშნავს იანი, – ***„ამიტომ უპირატესობა მიანიჭეთ, მაგალითად, ვაშლს, და მაქსიმალურად შეზღუდეთ ფრუქტოზით მდიდარი ხილი: ყურძენი, ბანანი, ლეღვი, კარალიოკი და სხვ.“***

**ალკოჰოლი:** ***„ალკოჰოლში შემავალი ეთანოლი გასუქების ერთ-ერთი სტიმულატორია“***, – გვაფრთხილებს იანი, – ***„ქორწილამდე აკრძალეთ გაზიანი სასმელიც. რასაკვირველია, ცერემონიის შემდეგ შეგიძლიათ 1-2 ჭიქა შამპანურით ისიამოვნოთ“***.

**პარკოსნები:** ***„ზოგადად, პარკოსნები სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა, მაგრამ ლობიოს, ბარდისა თუ ოსპის ჭამას არ გირჩევთ წინასაქორწილო დღეებში. სამივე მუცლის შებერილობას და სიმძიმის შეგრძნებას იწვევს, რაც ყველა პატარძლისთვის არასასურველი მდგომარეობაა“***.

## რა მოვიმარაგოთ

**პროტეინი:** პროტეინით მდიდარი საკვები წინასაქორწილო დიეტის მთავარი გმირია, მაგრამ იანი გვაფრთხილებს: ***„არ შეიძლება მხოლოდ პროტეინის დიეტაზე ყოფნა. აუცილებლად მიირთვით ბოსტნეული და მარცვლეულიც. ეს აუცილებელია კუჭ-ნაწლავის სწორად ფუნქციონირებისთვის. თუ სტრესი ან კუჭის შეკრულობა შეგაწუხებთ, შეგიძლიათ ძილის წინ დალიოთ ვიტამინი, რომელიც მაგნეზიუმს შეიცავს. ეს განტვირთვაში დაგეხმარებათ და ორგანიზმში წყლის ბალანსს აღადგენს, რაც სასურველ შედეგებამდე მიგიყვანთ“***. იანი გვირჩევს, დოზირების საკითხი ექიმთან გავარკვიოთ.

**პრობიოტიკები:** იანი გვირჩევს, ქორწილამდე ორი კვირით ადრე პრობიოტიკების შემცველი კაფსულები დავლიოთ: ***„ამ გზით სასარგებლო ბაქტერიების საჭირო დოზას გამოიმუშავებთ, რაც ორგანიზმიდან მავნე ბაქტერიების განდევნაში დაგეხმარებათ. მე რეკომენდაციას Optibac Extra Strength Probiotics-ს ვუწევ, რომელიც 25 დოლარამდე ღირს. თქვენთვის სწორი დოზირების დასადგენად აუცილებლად მიმართეთ ექიმს“***.

**წყალი:** საჭირო რაოდენობით წყლის მიღება ხშირად გვავიწყდება. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება მაშინ, როცა ბევრი საქმე გვაქვს და ძალიან დაძაბულები ვართ. არადა, იანისა და კიდევ უამრავი კომპეტენტური ადამიანის თქმით, ბევრი წყალი დიეტის აუცილებელი პირობაა, რომელიც ორგანიზმს სწორად ფუნქციონირებაში ეხმარება და ხელს უშლის გასუქებას. გარდა ამისა, აგლუვებს და აჯანსაღებს კანს. ასე რომ, წყლის სმა მხოლოდ ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე კი არა, ახლავე უნდა დაიწყოთ და განაგრძოთ მას შემდეგაც, რაც სანუკვარ სიტყვებს წარმოთქვამთ და საყვარელ ადამიანთან ერთად ახალ ცხოვრებას დაიწყებთ. H

*ქორწილში რომ ბრწყინავდეთ, კვება შესაბამისი რაციონით უნდა დაიწყოთ*



#BE YOUR OWN SUPERHERO
ნედლი მთელი კაკაოს მარცვლები
Raw Cacao Beans
ყიდვა
მატჩას ჩაი
Matcha Tea
ყიდვა
კაკაოს კარაქი
Cacao Butter
ყიდვა
#healthyliving
გოჯის ნაყოფი
Goji Berry
ყიდვა
ასაიას კენკრის ფხვნილი
Acai Berry
ყიდვა
Organika.ge
ჩიას თესლები
Chia Seeds
ყიდვა
#superfood
#detox
ამარანტი
Amaranth
ყიდვა
სპირულინას ფხვნილი
Spirulina
ყიდვა
ქოქოსის ზეთი
Coconut Oil
ყიდვა
გუარანის ფხვნილი
Guarana
ყიდვა
SUPERFOODS
KAKAO ZIARNA SUROWE
cacao beans raw
SUPERFOODS
SPIRULINA W PROSZKU (GLONY)
spirulina powder
BIOFOOD premium
ekologiczny olej kokosowy
VIRGIN
PUR YA!
SUPER GREENS
PUR YA!
DETOX-MIX
PŁATKI AMARANTUSOWE
CHIA
ONLINE SHOP OF SUPERFOOD AND ORGANIC PRODUCTS
/organika.ge
info@organika.ge
(995) 595 045004



ჩაცმულობა, **CO.LAB**

ჩანთები, GEPHERRINI

ფეხსაცმლი, **ALDO**

ვერცხლის კოლექცია ფირუზით - ყელსაბამი, სამაჯური ბეჭდები. მინანქრის ყელსაბამი მარაბუს ბუმბულით, **MARILISI**

საათები - Balmain, Calvin Klein **ARTTIME**

საპატარძლო თაიგული, **FIORI**

WEDDING

# Your WEDDING

## დღე, რომელზეც ყველა ქალი ოცნებობს

დახუჭეთ თვალები! წარმოიდგინეთ მომენტი, როდესაც ყველაზე ბედნიერი ხართ და მისი ასრულება მიზნად დაისახეთ. ეს არც ისე რთულია! იდეალური ქორწილისთვის სულ რაღაც რამდენიმეთვიანი სამზადისი, იდეალური ადგილის პოვნა, კაბის არჩევა, გოგონების წვეულების დაგეგმვა და ქორწილის დღემდე განტვირთვაა საჭირო.



ჩაცმულობა, **CO.LAB**

ვერცხლის კოლექცია - წვეთები გულსაკიდი, საყურე; ვერცხლის კოლექცია ფირუზით ბეჭდები „დუო“ და „მონო“; ყელსაბამი - მინანქარი მარაბუს ბუმბულით, **MARILISI**

საათები - **Balmain, Calvin Klein ARTTIME**

საპატარძლო თაიგული, **FIORI**

ცქრიალა ღვინო - „ბაგრატიონი კლასიკა“ **ბაგრატიონი 1882**

***დამღლელი სამზადისის შემდეგ, მიეცით თავს განტვირთვის საშუალება. ამისთვის RIXOS BORJOMI სპაცენტრი იდეალური ადგილია. სულ რომ არაფერი, თქვენ და თქვენმა საუკეთესო მეგობრებმა გართობა დაიმსახურეთ.***







*არაფერი სჯობს დაქალების გარემოცვაში გატარებულ მშვიდ დღეებს, როდესაც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ და ძალას იკრებ. ამისათვის **RIXOS BORJOMI** სპა არაერთ პროცედურას გთავაზობთ.*



ფრანგული თხელი გიპიურის
საპატარძლო კაბა, საბის
ქსოვილით, მძივებით,
მარგალიტებითა და ბუმბულებით;
ფრანგული შიფონის კაბები
მეჯვარეებისთვის, **MARIGOLD**

ბრილიანტების კოლექცია
ვარდისფერი ტურმალინებით:
საყურე, სამაჯური, ბეჭედი;
აქვამარინის კოლექცია
ბრილიანტებით: ბეჭედი, საყურე;
ძოწის საყურეები, **MARILISI**

საპატარძლო თაიგული –
ვარდების, ქრიზანტემების,
ტიტების, გიფსოფილების,
რანუნკულუსისა და ეუსტომიას
ყვავილებით, **FIORI**



ფრანგული შიფონის კაბები
მეჯვარეებისთვის, **MARIGOLD**

აქვამარინის კოლექცია
ბრილიანტებით: ჯვარი, საყურე,
ბეჭდები, სამაჯური, **MARILISI**

თაიგული ვარდების, ქრიზანტემების,
ტიტების, გიფსოფილების,
რანუნკულუსისა და ეუსტომიას
ყვავილებით, **FIORI**

ცქრიალა ღვინო –
„ბაგრატიონი ოქრო“,
**ბაგრატიონი 1882**



ფრანგული აბრეშუმისა და კოჭის გიპიურის საპატარძლო კაბა, მძივებითა და მარგალიტებით; ფრანგული შიფონის კაბა მეჯვარისათვის **MARIGOLD**

ბრილიანტების კოლექცია – „ფოთლები“, **MARILISI**

საპატარძლო თაიგული – ვარდების, ქრიზანტემების, ტიტების, გიფსოფილების, რანუნკულუსისა და ეუსტომიას ყვავილებით, **FIORI**



ფრანგული აბრეშუმისა
და კოჭის გიპიურის
საპატარძლო კაბა,
მძივებითა და
მარგალიტებით,
**MARIGOLD**

ბრილიანტების
კოლექცია –
საყურე „ფოთლები“,
ოქროს კოლექცია –
ბეჭედი ოქროს ლომი,
**MARILISI**



*იყავით ისეთი თვალისმომჭრელი, რომ თავი ყველას დაამახსოვროთ. **MARIGOLD**-ის საპატარძლო კაბაში გამოწყობილი და **MARILISI**-ის სამკაულებით დამშვენებული თავს ყველაზე ლამაზ დედოფლად იგრძნობთ. სასტუმრო **RIXOS BORJOMI** კი თქვენს ბედნიერ დღეზე იზრუნებს.*

ფრანგული აბრეშუმისა და კოჭის გიპიურის საპატარძლო კაბა, მძივებითა და მარგალიტებით, **MARIGOLD**

საყურე „ფოთლები“
ბეჭედი ბრილიანტებითა და ალმასებით
ბრილიანტების კოლექცია **MARILISI**

საპატარძლო თაიგული – ვარდების, ქრიზანტემების, ტიტების, გიფსოფილების, რანუნკულუსისა და ეუსტომიას ყვავილებით. კომპოზიცია ეუსტომას, ასტრომერიას, ქრიზანტემების, მიხაკებისა და გიფსოფილების ყვავილებით, **FIORI**

ცქრიალა ღვინო „კლასიკა“ და „ოქრო“, **ბაგრატიონი 1882**



**ფოტო**: იკა პირველი
**მოდელები**: ანა შელია,
ალინა ეფიმოვა, მარიამ გავაშელი
**სამოდელო სააგენტო:** GEOMODELS
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**: MARIGOLD, CO.LAB, ALDO
**აქსესუარები**: MARILISI, ARTTIME,
GEPHERRINI
**ვარცხნილობა & მაკიაჟი**: KEUNE
**თაიგულები**: FIORI
**ლოკაცია**: RIXOS BORJOMI




WEDDING

# BEST WEDDING LOCATIONS

საქორწილო სამზადისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი სწორი ლოკაციის შერჩევაა. სივრცე, რომელიც თქვენს დღესასწაულს უმასპინძლებს, ყველაზე მყუდრო, ჯადოსნური და ზღაპრული უნდა იყოს. HELLO!-მ ამ საკითხზე წინასწარ იზრუნა და გამოარჩია ადგილები, სადაც თქვენი „თეთრი ოცნებები" რეალობად გადაიქცევა...



## რიქსოს ბორჯომი

საოცნებო ქორწილი თითოეული ადამიანის ფანტაზიაში განსხვავებულია, თუმცა ყველას ერთნაირად სურს, ბედნიერი წვეულება იმ ზღაპარს დაემსგავსოს, რომელსაც შემდეგ შვილებსა და შვილიშვილებს ღიმილით მოუყვებიან. უმნიშვნელოვანესია სტუმრების კომფორტი და სადღესასწაულო განწყობაც – აუცილებელია, შეყვარებული წყვილის ბედნიერებას თითოეული მათგანი გრძნობდეს და იზიარებდეს. ამ ყველაფრის მისაღწევად კი იდეალური გარემოს პოვნაა საჭირო. თქვენ და თქვენი მეორე ნახევარი ნამდვილად იმსახურებთ ყველაფერ საუკეთესოს. სწორედ ამიტომ, HELLO!-მ „**რიქსოს ბორჯომი**" შეარჩია.

დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ აქ ყველა პატარძალი ბავშვურ ოცნებას აისრულებს. ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ულამაზესი ბაღი სწორედ ის ადგილია, რომელიც ორიგინალურ, რომანტიკულ და დახვეწილ საქორწილო წვეულებას უმასპინძლებს. მნიშვნელობა არ აქვს, ვინტაჟური სტილი მოგწონთ, ევროპული თუ ტრადიციული ქართული – „**რიქსოს ბორჯომში**" თქვენს ყველანაირ ფანტაზიას ფრთებს შეასხამენ და ოცნებებში წარმოდგენილ სურათებს რეალობად გიქცევენ.

წვეულების მოსაწყობად, რასაკვირველია, პროფესიონალთა მთელი გუნდი იმუშავებს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თქვენს ქორწილსა და მის დიდებულებაზე დიდხანს, ძალიან დიდხანს ისაუბრონ. ბედნიერების შეგრძნებას კიდევ უფრო გაამძაფრებს ის ჯადოსნური აურა, რომელიც „**რიქსოს ბორჯომის**" საუკუნოვან პარკში ტრიალებს. გარშემორტყმული მთები, უმშვენიერესი ბუნება, მდინარე, უნიკალური მცენარეები და ზღაპრული დეკორაციები – ყველაფერი ეს „იზრუნებს" იმაზე, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დღის მოგონებები თქვენს მეხსიერებასა და საქორწილო ალბომში ულამაზეს კადრებად აღიბეჭდოს.

***ტელ.:*** *(+995) 0322 292 292*
***ელ. ფოსტა:*** *borjomi@rixos.com*

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო**: HOTEL RIXOS.



# შატო მუხრანი



თუ თქვენი საქორწილო წვეულებისთვის მდიდრულ მასპინძელს ეძებთ, „**შატო მუხრანის**“ რესტორანი „**სამეფო მარანი 1878**“ საუკეთესო არჩევანი იქნება. ზღაპრული სასახლე, ჯადოსნური ინტერიერი, მეფური ატმოსფერო, პრემიალური ღვინო და გაზაფხულივით მრავალფეროვანი მენიუ – აქ ყველაფერი დაგხვდებათ იმისათვის, რომ ბედნიერი საღამო თქვენი ცხოვრების საუკეთესო მოგონებად აქციოთ და საყვარელ ადამიანებს თავი ისე აგრძნობინოთ, როგორც ნამდვილ ზღაპარში. რასაკვირველია, ყველა დეტალი თქვენს გემოვნებასა და სურვილებს მოერგება. საუკეთესო მომსახურე პერსონალი კი დამატებით კომფორტს უზრუნველყოფს. შედეგად გაგიჩნდებათ შეგრძნება, რომ თქვენი ყველა ოცნება ერთ სივრცეში ახდა და ყველამ და ყველაფერმა, რაც თქვენთვის ძვირფასია, თავი სწორედ აქ – „**შატო მუხრანში**“ მოიყარა. მნიშვნელობა არ აქვს, ოჯახის შექმნას ბევრ სტუმართან ერთად აღნიშნავთ თუ მცირერიცხოვანი ამალით დაკმაყოფილდე-ბით – ბაგრატიონთა მამულში თქვენი სიყვარულის ისტორია აუცილებლად მხიარულად, ემოციურად და ძალიან, ძალიან ბედნიერად დაგვირგვინდება!

მოკლედ რომ გითხრათ, „**შატო მუხრანში**“ დედოფლის გვირგვინს ყველაზე მოხდენილად მოირგებთ. ასე რომ, არჩევანი თქვენზეა...

***ტელ.:*** *(+995) 595 99 13 14/15/16*
***ელ. ფოსტა:*** *1878@mukhrani.com*
*www.chateaumukhrani.com*

**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: CHATEAU MUKHRANI







# სასტუმრო მუზეუმი

თუ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ახლოვდება და გსურთ სტუმრები სრულყოფილად მოწყობილ სივრცეში მიიპატიჟოთ, „**სასტუმრო მუზეუმი**“ იდეალური არჩევანია. აქ შეძლებთ საქორწილო წვეულება ქართულ, ევროპულ ან ავანგარდულ სტილში გადაწყვიტოთ და ინტერიერიც თქვენი გემოვნებისამებრ მოაწყოთ. დეტალები, რომლებიც სხვაგან არსად მეორდება, საღამოს უნიკალურ ელფერს შესძენს და მოგონებებში ყველაზე ბედნიერ მომენტებს აღბეჭდავს.

თუ თქვენი ქორწილი თანამედროვე, მოდერნიზებულ სტილში წარმოგიდგენიათ, მაშინ „**მიქსოლოგიურ ბარ 810**“-ს უნდა მიაშუროთ. აქ წვეულებას პროფესიონალი დიზაინერები, ფურშეტის გემრიელი კერძები, ცოცხალი მუსიკა და დიჯეი გააფორმებენ. გარდა ამისა, სტუმრებს საუცხოო ინტერიერი და დაუვიწყარი ხედებიც გააოგნებთ.

ყველაზე ზღაპრულ და ჯადოსნურ განწყობას შექმნის „**კაფე მუზეუმი**“, რომელიც სარკეებიან დარბაზში სიძველესა და თანამედროვეობას ჰარმონიულად გააერთიანებს და ქორწილის მთავარ გმირებს „დიდებული გეტსბის“ სტილში გადაწყვეტილ, გლამურულ და მდიდრულ წვეულებას აჩუქებს.

გაზაფხულის თემატიკას იდეალურად მოერგება „**სასტუმრო მუზეუმის**“ ვერანდა, რომელიც თქვენთვის ყველაზე მიმზიდველ, ელეგანტურ საღამოს მოაწყობს და ზღაპრულ წუთებს ჯადოსნური მუსიკალური ჰანგებით გააფორმებს.

„**სასტუმრო მუზეუმი**“ ტრადიციის მოყვარულ წყვილებზეც განსაკუთრებულად იზრუნებს და მათ ქართული ელემენტებით სავსე გარემოს „**სირაჯხანაში**“ შესთავაზებს. აქ მოწყობილი წვეულება პასტელის ფერებითა და შეუდარებელი კერძებით გაფორმდება.

იდეალურ საქორწილო ალბომს შექმნით, თუ ფოტოსესიას ერთმანეთისგან გამორჩეულ სამ სივრცეში მოაწყობთ და „**სასტუმრო მუზეუმის**“ უპირატესობებს ბოლომდე გამოიყენებთ. უპირატესობათა სიაშია საქორწილო ნომერიც, რომელიც ახალდაქორწინებულებს განსაკუთრებული საუზმით გაუმასპინძლდება.

მოკლედ, თუ გსურთ შთამბეჭდავი დიზაინი, გემოვნებით შერჩეული მუსიკა, საუკეთესო მომსახურება და ჯადოსნური ინტერიერი ერთ სივრცეში გააერთიანოთ, საქორწილო წვეულება „**სასტუმრო მუზეუმში**“ მოაწყვეთ.

***ტელ.:*** *(+995) 322 24 49 99*
***მის.:*** *ვახტანგ ორბელიანის ქ. 8/10, თბილისი*

**ტექსტი:** ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო:** MUSEUM HOTEL



# ფუნიკულიორი

ᲗᲣ ᲒᲡᲣᲠᲗ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ თბილისშივე დაგეგმოთ და იგი ზღაპრულ დღესასწაულს დაამსგავსოთ, არჩევანი ფუნიკულიორის „**წვეულებათა დარბაზზე**“ შეაჩერეთ. ჯადოსნური გარემო, რომელიც თქვენი სტუმრებისთვისაც დაუვიწყარ ატმოსფეროს შექმნის, ქალაქის ცენტრიდან სულ რაღაც 3 წუთის სავალზე მდებარეობს.

ამ ადგილს კიდევ უფრო მეტ დიდებულებას მატებს ის ფაქტი, რომ შენობა, სადაც „**ფუნიკულიორი**“ მდებარეობს, ჯერ კიდევ 1936-1938 წლებში აშენდა და დღემდე მიიჩნევა თბილისის ისტორიულ და არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობად. რესტორანი ძველ უნიკალურ დეტალებსა და ინტერიერის თანამედროვე აქცენტებს აერთიანებს, რითაც საოცრად მყუდრო და მდიდრულ ატმოსფეროს ქმნის. უკვე დიდი ხანია, თბილისელებს აქაურობა განსაკუთრებულად უყვართ. რასაკვირველია, ამ სიყვარულს მთაწმინდის პარკი და ის შთამბეჭდავი ხედებიც განაპირობებს, რომლებიც სტუმრების თვალწინ იშლება. სწორედ ეს ხედები და გარემო უზრუნველყოფს იმას, რომ თქვენმა საქორწილო ფოტოსესიამაც ისევე სრულყოფილად ჩაიაროს, როგორც თავად წვეულებამ.

უგემრიელესი სამზარეულო, ხელმისაწვდომი ფასები, დახვეწილი ინტერიერი და გემოვნებით შერჩეული აქცენტები – აქ ნებისმიერი გემოვნების, სურვილებისა და ასაკის მქონე სტუმარი თავს იდეალურად იგრძნობს და სიხარულით დაგეხმარებათ იმაში, რომ ახალი ცხოვრება ყველაზე ბედნიერი შეგრძნებებით დაიწყოთ.

*__ტელ.:__ (+995) 322 98 00 00 / 577 74 44 00*  
*__მის.:__ მთაწმინდის პლატო, თბილისი*  
*__ელ. ფოსტა:__ info@funicular.ge*  
*www.funicular.ge*



**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: FUNICULAR.



WEDDING

# DREAM Wedding Ideas

იდეალური ქორწილისთვის სამზადისი ბავშვობის ოცნებებით იწყება. სურვილების რეალობად გადასაქცევად კი, მინიმუმ კარგი ორგანიზატორის, ან ივენთკომპანიის პოვნაა საჭირო. HELLO! მზადაა, თქვენი ქორწილისთვის საჭირო იდეებისა და კონტაქტების შეგროვებაში დაგეხმაროთ. ოცნების ქორწილის დასაგეგმად **TEAM 4 EVENTS**-ის გოგონები HELLO!-ს მკითხველს აუცილებლად გასათვალისწინებელ რჩევებს აძლევენ.



1

## შეარჩიეთ თქვენი ქორწილის იდეალური ლოკაცია

**ნინი დედალამაზიშვილი:** იდეალური ქორწილისთვის იდეალური ადგილის პოვნაა საჭირო, თუმცა საკუთარ სურვილებზე ნებისმიერი ლოკაციის მორგებაა შესაძლებელი. მთავარია, კარგი ორგანიზატორი იპოვოთ. თუ დიდ წვეულებას გეგმავთ, კარგი იქნება ღია ლოკაციის პოვნა. ბუნებაში ქორწილის მოწყობა გაფორმების მხრივაც მომგებიანია. ზღაპრული ადგილის მოსაწყობად ბუშტები და თეთრი ფერის ინვენტარიც საკმარისია.

2

## ქორწილის მორთულობაში აქცენტი ცოცხალ ყვავილებზე გაამახვილეთ

**თათია ხელაია**: კრისტიან დიორი ამბობდა, რომ ქალბატონების შემდეგ, ყვავილები ყველაზე მშვენიერი რამაა, რაც ღმერთმა სამყაროს არგუნა. მიუხედავად ქორწილის მასშტაბებისა, ბევრი ყვავილი ზედმეტი არასოდესაა. გირჩევთ ქორწილის მორთულობაში მაგიდის თავზე დაკიდებული კომპოზიციებიც შეიტანოთ.

3

## იყავით კრეატიულები და პროგრამაში საინტერესო სიურპრიზები ჩართეთ

**თათული ცქიტიშვილი:** სამზადისში ყველაზე კრეატიული მეგობრები ჩართეთ! ხშირად Team 4 Events ქორწილებში სიურპრიზებს ამზადებს, რომელთა ინიციატორები წყვილის მეგობრები არიან ხოლმე. დღე გაცილებით ლამაზი და განსაკუთრებული გამოდის, როდესაც იგი სიურპრიზებითაა აღსავსე. ქორწილის იდეალური აკორდი ყველასთვის მოულოდნელი მომენტია – ის, რასაც ნეფე-პატარძალი არ ელის.

4

## გამოიყენეთ 21-ე საუკუნის ტექნიკური მიღწევები

**ნათია ტეტიაშვილი:** ისე ვერაფერი გახდის ქორწილს იდეალურს, როგორც სწორი დაგეგმარება, ეს კი სტუმრების განაწილებით იწყება. თქვენს ორგანიზატორებს აუცილებლად მოსთხოვეთ სტუმრების სიის ტაბლეტებში გადანაწილება. გარდა იმისა, რომ ეს კარგი ტონია, სიის ონლაინვერსიით ხელმძღვანელობა ბევრ უხერხულ მომენტს აგაცილებთ თავიდან.

**ტექსტი**: ნინუცა მასხარაძე. **ფოტო**: LEKO STUDIO, ISTOCK.










**MESKHETI** Street, 16
**BORJOMI**, GEORGIA
+ 995 322 29 22 92
borjomi@rixos.com | www.rixos.com



TRAVEL

# HONEYMOON GETAWAY

თაფლობისთვე იმაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ეს დღეები თქვენი ოჯახური ისტორიის პირველ, ყველაზე მნიშვნელოვან „ფურცელზე“ იწერება. სწორედ ამიტომ, თბილი ქვეყნებისკენ საუკეთესო განწყობითა და მინიმალური საზრუნავით უნდა გაფრინდეთ. **HELLO!** საქმეს გაგიადვილებთ და რჩეულ სამოგზაურო მიმართულებებს გაგაცნობთ...





პერის ჰილტონი



## ბალი, ინდონეზია

### ოქროსფერი სანაპიროების ეგზოტიკა

წარმოუდგენელი პეიზაჟები, ეგზოტიკა, ღვთაებრივი ბუნება და ოქროსფერი სანაპიროები – ბალი ყველაფერს აერთიანებს იმისათვის, რომ ახალი ცხოვრების დასაწყებად იდეალური გარემო შეგიქმნათ. ეს ინდონეზიური ედემი ყველა ფანტაზიას სცდება და ყველაზე ფერად მოგონებებს გჩუქნით. სწორედ ამიტომ ამბობენ ხოლმე, რომ ბალი ახალდაქორწინებულთათვის ნამდვილი სამოთხეა. პირველი ადგილი, რომელსაც ჩასვლისთანავე უნდა მიაშუროთ, ნუსა-დუას სანაპიროა. იქაურობა სილამაზით ყველა ტურისტს აჯადოებს. ასეთივე მომაჯადოებელია რელიგიური რიტუალები, რომელთაც ფეხის ყოველ ნაბიჯზე გადაეყრებით. თუ ადგილობრივი კულტურა მეტად დაგაინტერესებთ, უბუდის „ხელოვნების სასახლეს“ ეწვიეთ – აქ ტრადიციული ცეკვებით „გაგიმასპინძლდებიან“. ეცადეთ მაქსიმალურად დატკბეთ ჯადოსნური მასაჟებითა და ყველა იმ საშუალებით, რომელიც თქვენი სხეულისა და გონების გაჯანსაღებას მოემსახურება. გირჩევთ, გაფრენამდე რომანტიკული კინოსეანსი მოიწყოთ და თქვენს რჩეულთან ერთად უყუროთ ფილმს „ჭამე, ილოცე, შეიყვარე“, რომელიც უკვე დიდი ხანია ბალის სავიზიტო ბარათად ითვლება.

**ვარსკვლავები** ბექჰემები, ჯულია რობერტსი, ლინდსი ლოჰანი, პარის ჰილტონი – აქ შეიძლება ყველას გადაეყაროთ!

**დამატებითი ინფორმაცია**
თაფლობისთვის ბალიზე გატარება დაახლოებით 900 ევრო დაგიჯდებათ. რასაკვირველია, პირობები და ფასები სასტუმროების მიხედვით იცვლება. თუ გსურთ დიდი ფასდაკლებით ისარგებლოთ, მოგზაურობა წინასწარ უნდა დაგეგმოთ.

****დეტალური ინფორმაციისა და ექსკლუზიური ფასებისთვის დაუკავშირდით **„კაპიტან პლუსს“** ტელეფონის ნომერზე +995 032 242 40 40 და ელექტრონული ფოსტის მისამართზე: captain@captain.ge, ან ეწვიეთ ოფიციალურ გვერდს Facebook-ზე - **Captain Plus**.*

**ტექსტი:** ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო:** GETTY IMAGES.

# ხმელთაშუა ზღვის კრუიზი

## ხუთვარსკვლავიანი „ოცნების ქალაქი“



ტეილორ ლოტნერი

ყველამ იცის, რომ მოგზაურობა აბედნიერებს, მაგრამ ეს შემთხვევა ბედნიერების საზღვრებსაც სცდება. მნიშვნელობა არ აქვს, თაფლობისთვეს აღნიშნავთ თუ ქორწინების რომელიღაც იუბილეს – ხმელთაშუა ზღვის კრუიზი ყველა წყვილისთვის „ერთად ყოფნის დღესასწაულს“ მოაწყობს. ვინაიდან საქართველოში სავიზალიბე-რალიზაციო ციებ-ცხელებაა და ევროპული არდადეგების დაგეგმვა უფრო და უფრო მარტივდება, ეს ტური მართლაც იდეალური არჩევანია. კრუიზი საშუალებას მოგცემთ ოთხი ოცნება ერთდროულად აიხდინოთ და საყვარელ ადამიანთან ერთად ეწვიოთ ესპანეთს, იტალიას, პორტუ-გალიასა და საფრანგეთს. რაც შეეხება საკრუიზო ლაინერს, იქ თავი ოცნების ქალაქში გეგონებათ. ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, ფაქტობრივად, თქვენთან ერთად იმოგზაურებს და ყველაფერს შემოგთავაზებთ იმისათვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნოთ. კაფეები, რესტორნები, მაღაზიები, კლუბები, აუზები, სპაცენტრები, ამფითეატრი, ბევრი სართული, დაუვიწყარი ხედები, ვარსკვლავები, მზის აბაზანები, უამრავი ადამიანი და საოცარი მომსახურე პერსონალი – ეს ყველაფერი თქვენთვის სწორედ ხმელთაშუა ზღვის კრუიზზე გაერთიანდება.

**ვარსკვლავები** შეუძლებელია წინასწარ გათვალო, რომელი ვარსკვლავი ისურვებს ამ ჯადოსნური კრუიზით მოგზაურობას. ჯასტინ ბიბერი, ტეილორ ლოტნერი, მერაია ქერი და „დისნეის“ ვარსკვლავები სხვადასხვა კრუიზის ხშირი სტუმრები არიან.

### დამატებითი ინფორმაცია

MSC-ის ხუთვარსკვლავიან საკრუიზო ლაინერზე ერთკვირიანი დასვენება დაახლოებით 1000 ევრო დაგიჯდებათ. ფასი ფრენას, სასტუმროს, გემის კაიუტას, სამჯერად კვებასა და კრუიზის ყველანაირ მომსახურებას მოიცავს.



****საქართველოში **MSC Cruises**-ის ექსკლუზიური წარმომადგენელია **„კაპიტან პლუსი“**, რომელსაც შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: +995 032 242 40 40 და ელექტრონული ფოსტის მისამართზე: captain@captain.ge. ინფორმაცია ხელმისაწვდომია Facebook-ის ოფიციალურ გვერდზეც - **Captain Plus**.*

captain plus



COOKERY

# ჯადოსნური ტკბილეული

ყველამ კარგად ვიცით, რომ ტკბილეული განწყობის უებარი „წამალია“, საყვარელი ნუგბარი კი ორმაგად გემრიელი ხდება მაშინ, როცა ის ჩვენსავე ხელითაა მომზადებული



## ქოქოსის შაქარყინული

თუ HELLO!-ს ფერად-ფერად რეცეპტებს გაითვალისწინებთ, საგაზაფხულო განწყობას მხოლოდ ჯადოსნური გემო კი არა, საყვარელი ადამიანებისგან მიღებული ქათინაურებიც შეგიქმნით. ჩვენ მიერ შერჩეული ტკბილეული იდეალურია საქორწინო მენიუს გასაფორმებლად.

ქოქოსის ნატიფი გემო და მსუბუქი ფაქტურა ყოველთვის ნოსტალგიურ შეგრძნებებს იწვევს. ეს ტკბილეული ნებისმიერი სუფრის გაფორმებაში დაგეხმარებათ. თუმცა, გაცრეცილი ფერები და ქოქოსის ფანტელები განსაკუთრებულად უხდება საქორწინო დღესასწაულს. გირჩევთ გამჭვირვალე ჭურჭელი გამოიყენოთ და მაგიდა შესაბამის ფერებში გააწყოთ.

**რეცეპტი** 64 კუბი

**მოსამზადებელი დრო** 20 წუთი

**ინგრედიენტები**
- 397 გრ დაკონსერვებული რძე
- 350 გრ ქოქოსის ფანტელი
- 375 გრ შაქრის ფხვნილი
- ვარდისფერი ესენცია

**მომზადების წესი**

**1.** დიდ ჯამში ათქვიფეთ დაკონსერვებული რძე, ქოქოსი და შაქრის ფხვნილი. აუცილებელია შაქარი ბოლომდე გაიხსნას და ერთიანი, სქელი მასა მიიღოთ.

**1.** გაამზადეთ ბისკვიტის გამოსაცხობი ჭურჭელი და მიღებული მიქსის ნახევარი მასზე თანაბრად გადაანაწილეთ.

**2.** ჯამში დარჩენილ მიქსს ვარდისფერი ესენცია მოაყარეთ და კარგად მოურიეთ. ესენციის დოზირება თქვენთვის სასურველი ფერის ინტენსივობაზეა დამოკიდებული.

**3.** ვარდისფერი მიქსი თეთრის ზედაპირზე გადაიტანეთ და თანაბრად გადაანაწილეთ.

**4.** საცხობი ჭურჭელი ფოლგაში შეფუთეთ და მაცივარში ერთი ღამით დატოვეთ.

**5.** მეორე დღეს ქოქოსის შაქარყინული დაფაზე გადაიტანეთ და პატარა კუბებად დაჭერით.

**6.** ქოქოსის შაქარყინულის შენახვა დახურულ ჭურჭელში ერთ კვირამდე შეგიძლიათ.

**ფოტოგრაფი**: SARAH HAMILTON-WALKER.

SIRAJKHANA
wine restaurant

# Original Georgian - Persian Cuisine

The place, where you can discover original food & finest Georgian and international wine varieties.




wine restaurant

Orbeliani st. 10, Tbilisi, Georgia
+995 322 244 999



HALF HOUR...

# ბესო თურაზაშვილი

## ახალგაზრდა დიზაინერსა და მის შემოქმედებას სამშობლოში ნაკლებად იცნობენ, თუმცა ბესო ტურაზაშვილი საკმაოდ წარმატებულია მოსკოვის მოდურ სამყაროში

ნიჭიერ შემოქმედს Mercedes Benz-ის მოდის კვირეულის ფარგლებში გამართული შოუს შემდეგ HELLO! ესაუბრა. ბესომ ძალიან საინტერესო რჩევები მოგვცა 2017 წლის საგაზაფხულო გარდერობის შერჩევის საკითხებში და სამომავლო კარიერული გეგმებიც გაგვაცნო, რომლებიც საქართველოსაც უკავშირდება.

**საქართველოში კარგად არ იცნობენ თქვენს შემოქმედებას. რამდენი ხანია რაც მოდის სფეროში საქმიანობთ? მოგვიყევით თქვენი საქმიანობის შესახებ.**

ბ.ტ. დაახლოებით 4 წლის წინ ნიუ-იორკში Stella McCartney-სთან ვმუშაობდი, შემდეგ მოსკოვში დავბრუნდი და სწორედ იქ დავაარსე საკუთარი ბრენდი. უკვე მესამედ მივიღე მოსკოვის Mercedes Benz-ის მოდის კვირეულში მონაწილეობა. ვფიქრობ, საქართველოში ნაკლებად იმიტომ მიცნობენ, რომ რუსეთში ვსაქმიანობ. თუმცა პრესაში ყოველთვის ხაზს უსვამენ ჩემს წარმომავლობას და აღნიშნავენ, რომ ქართული სტილი მაქვს. რამდენიმე თვის წინ თბილისში ჩემი კოლექციის პრეზენტაცია მოვაწყვე, რომელმაც ძალზე წარმატებით ჩაიარა.

**როგორ ჩაიარა თქვენმა ჩვენებამ, რომელიც მოსკოვში სულ ცოტა ხნის წინ ჩატარდა?**

ბ.ტ. ჩვენება, რომელიც 15 მარტს გაიმართა, გამორჩეულად წარმატებული იყო ბრენდის არსებობის ისტორიაში. შოუს უამრავი ადგილობრივი თუ საერთაშორისო პრესის წარმომადგენელი და ცნობილი სახე დაესწრო. კოლექციას The Devil Is A Woman („ეშმაკი ქალია“) ვუწოდეთ.

**ჩვენებას ცნობილი ადამიანებიც დაესწრნენ? როგორი გამოხმაურება ჰქონდა კოლექციას ადგილობრივ მედიაში?**

ბ.ტ. საერთაშორისო სტუმრების თვალსაზრისით, მოსკოვის მოდის კვირეული ყოველთვის ძალიან მრავალფეროვანია. წელსაც, ჩემს ჩვენებას ამერიკული VOGUE-ის, Business of Fashion-ის, L'Officiel-ისა და სხვა გავლენიანი გამოცემების წარმომადგენლები დაესწრნენ, ადგილობრივ IT-გოგონებთან, მოდის რედაქტორებსა და ბაიერებთან ერთად, ჩემი ჩვენების სტუმარი ქსენია სობჩაკიც იყო.

**რა იყო კოლექციის მთავარი ინსპირაცია, გამოყენებული ფაქტურები და ფერთა ძირითადი გამა?**

ბ.ტ. კოლექციის ძირითადი თემატიკა ფემინური და მასკულინური სტილის შერწყმა იყო. ყოველთვის ვცდილობ ქალური, დახვეწილი, სექსუალური სამოსი შევქმნა და ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ დეტალებს. დიდი დოზით მქონდა გამოყენებული კრისტალები, მბზინვარე აბრეშუმი და ხავერდი, ფერებში კი შავი, მუქი წითელი და ვერცხლისფერი დომინირებდა. ამ სეზონზე პირველად წარვადგინე ფეხსაცმლის ხაზიც – ტყავისა და ხავერდის ფაქტურებით. კოლექცია საკმაოდ ნათელ და მკვეთრ ფერებში გადავწყვიტე.

**როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და აპირებთ თუ არა საკუთარი ნამუშევრების ქართველი საზოგადოებისთვის გაცნობას?**

ბ.ტ. სამომავლო გეგმებს შორის აუცილებლად მოვიაზრებ კოლექციის ევროპული პუბლიკისთვის გაცნობას. სავარაუდოდ, შემდეგი სეზონისთვის. იმედი მაქვს, თბილისის Mercedes Benz-ის მოდის კვირეულშიც შევძლებ მონაწილეობის მიღებას. ვფიქრობ ეს კარგი შანსი იქნება ქართულ ბაზარს უკეთ გავეცნო. ჩვენ უბრალოდ ლამაზ სამოსს არ ვქმნით – გვყავს კონკრეტული მომხმარებელი და ამიტომ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, ვისთვის იქმნება ეს ყველაფერი.

**როგორც დიზაინერი, რას ურჩევდით ქალბატონებს? როგორი სტილის სამოსი ატარონ 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე?**

ბ.ტ. ამ სეზონზე ძალიან მოდურია ხავერდის სამოსი. ქალბატონებს ვურჩევდი ყურადღება მიაქციონ ფორმებსა და სილუეტებს – არ დამალოთ თქვენი სხეული, მოირგეთ წელში გამოყვანილი სამოსი. რაც შეეხება ფერებს – გირჩევთ ყვითელი, მდოგვისფერი, წითელი, ლურჯი და ზურმუხტისფერი სამოსი ჩაიცვათ. H

ტექსტი: თამარ ლუღაშაური. ფოტო: HELLO!-ს არქივი.

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი ნანკა კიკალია

საგარეო ურთიერთობების მენეჯერი Santiago Velo
რედაქცია ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, ნინუცა მაისურაძე
სტილის რედაქტორი ელენე მარგალიტაშვილი
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
მოდის სტილისტი თეონა ელიზბარაშვილი
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
მარკეტინგი მარიამ ზაქარეიშვილი, ნანუკა კაკაბაძე
დიზაინერის ასისტენტი ნინი ოძელაშვილი

მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62
ISO 9001:2008

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

რედაქციის მისამართი: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; ტელ.: +995 32 298 03 98; ელ-ფოსტა: info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



# KING DAVID

## LIMITED EDITION

### მუკუზანის საფერავი

ქართული პრემიალური ღვინო




ესპანელი მხატვრის

**აუგუსტო ფერერ დალმაუს**

ტილოზე აღბეჭდილი ქართული ისტორია


Elegance is an attitude
Kate Winslet
LONGINES®
ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge
Longines DolceVita